დაგეგმილი სტრუქტურული ცვლილებები მინისტრთა კაბინეტის შექმნას გამორიცხავს A3
9/11 A8
ავტო-მონადირე B4-B5

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური
ოთხშაბათი, 11 სექტემბერი, 2002 წელი. №101
ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

ჩვენ ისტორიის დასასრულთან ვრჩებით

ფრენსის ფუკუიამა

გადმობეჭდილია „უოლ სტრიტ ჟორნელიდან", ავტორის ნებართვით

მრავალმა მიმომხილველმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ 11 სექტემბრის ტრაგედიამ ცხადყო ჩემ მიერ ათი წლის წინ გამოთქმული მოსაზრების სიმცდარე. მე ვამტკიცებდი, რომ ჩვენ ისტორიის დასასრულს მივუახლოვდით. კრიტიკის ტალღა სწრაფად გავრცელდა მას შემდეგ, რაც ჯონ უილმა განაცხადა, რომ ისტორია არდადეგებიდან დაბრუნდა, ხოლო ფარიდ ზაქარიას თანახმად, ეს ისტორიის დასასრულის დასასრული იყო.

მართლაც, უაზრო და 11 სექტემბრის ტრაგედიისა და ავღანეთის სამხედრო მოქმედებებში დაღუპულთა ხსოვნისათვის შეურაცხმყოფელი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ეს უპრეცედენტო თავდასხმა ისტორიული მოვლენის დონეზე არ აიყვანება. მაგრამ სიტყვა "ისტორია" ჩემს მიერ სხვაგვარ კონტექსტში იყო ნახსენები. აქ ნაგულისხმევი იყო კაცობრიობის მიერ მოდერნიზაციისაკენ განვლილი საუკუნეობრივი პროგრესი, რომლის სიმბოლოდაც ისეთი ინსტიტუტი გვევლინება, როგორიცაა, ლიბერალური დემოკრატია.

გაგრძელება A2 გვერდზე

გაქცევა ისტორიის დასასრულიდან.

ნინო ბურჯანაძემ პარლამენტი "დაიმორჩილა"
საკითხავია - რამდენი ხნით?

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარემ ადრევე დაიჭირა თადარიგი საიმისოდ, რათა საშემოდგომო სესიის პირველი კვირა სკანდალური და ხმაურიანი არ ყოფილიყო. მან შეაგუა დეპუტატები აზრს, რომ ამჯერად ტრადიცია დაირღვეოდა და პოლიტიკური დებატები სესიის გახსნისთანავე არ გაიმართებოდა; ამისათვის პარლამენტში პრეზიდენტ შევარდნაძის სტუმრობის დღე (დაახლოებით, 24-27 სექტემბერი) გამოიყო. "წითელი შუქი აენთოთ" ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის სიტყვიერად მებრძოლებსაც - დღის წესრიგში ვერც აფხაზეთის საკითხი მოხვდა. იმედგაცრუებულნი დარჩნენ ქართული ენის და რელიგიის შესახებ კანონპროექტების "სპეციალისტებიც" - მათ პირველ სასესიო კვირაში არ მიეცემათ იმის საშუალება, რომ ამომრჩევლებს თავისი განსწავლულობა დაუმტკიცონ.

გაგრძელება A3 გვერდზე

ნუთუ პარლამენტი პოზიციას ასე იოლად შეიცვლის?!

თამარ ხორბალაძე

"საქართველოს მთავრობამ ცალმხრივად უნდა განსაზღვროს სამხედრო ბაზების გაყვანის ვადები და მიიღოს შესაბამისი ზომები მის შესასრულებლად... დაუყოვნებლივ შეუწყვიტოს მანდატი დსთ-ს კოლექტიურ სამშვიდობო ძალებს და მათ უმოკლეს ვადებში დაატოვებინოს საქართველოს ტერიტორია... საქართველოს პრეზიდენტმა დაიწყოს დსთ-ში საქართველოს გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულების დენონსაციისთვის აუცილებელი პროცედურები"... - 26 აგვისტოს საგანგებო სხდომაზე საქართველოს პარლამენტმა, დიდი დებატებისა და ალიაქოთის შემდეგ, მიიღო აღნიშნული შინაარსის განცხადება.

ამ განცხადებას მიღების დღესვე სკეპტიკურად გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი და განაცხადა: **"ჩვენი განცხადებები იმ დონემდე მწვავე უნდა იყოს, რომ მარტო ლაპარაკად არ დარჩეს",** მაგრამ ფაქტი

გაგრძელება A3 გვერდზე

დასვენებულმა დეპუტატებმა მიკროფონები მოსინჯეს A3

11 სექტემბერს 400 ათასი სამუშაო ადგილი შეეწირა A4

"საქართველომ თავი მხოლოდ ამერიკელებს არ უნდა ჩაუგდოს ხელში" A4

სამშენებლო ბიზნესი ახლებურად დაიბეგრება A4

2002 წლის 11 სექტემბერი - ტრაგედიის წლისთავი ამერიკაში A5

ფალსიფიცირებული შესაფუთი მასალა უსინათლოთა სტამბაში იბეჭდება A6

შევიწროებულ პროკურატურას უფლებები ეზრდება A7

თბილისის ყოფილი შერიფის ახალი ამპლუა A7

ვინ მოკლა პრორუსული ორიენტაციის ჩეჩენი ჩინოვნიკი A7

დაისჯებიან ჟურნალისტები A7

გამონაკლისი - უცხოელის დამყაჩაღებლები დააკავეს A7

„ბოდენის პროექტი აფხაზეთის სუვერენიტეტს აღიარებს"

ვერიკო თევზაძე

"ჩვენამდე მოაღწია ხმებმა, რომ საქართველოში ეუთო-ს მისიის ყოფილი მეთაურისა და აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის ყოფილი წარმომადგენლის დიტერ ბოდენის მიერ შემუშავებული პროექტი აფხაზეთის სტატუსს შემდეგნაირად განსაზღვრავს: აფხაზეთი არის სუვერენული სახელმწიფო საქართველოს შემადგენლობაში", - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ.

ნათაძე ამ ფაქტს საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ მას აქტიურად უნდა გამოეხმაუროს ჩვენი საზოგადოება. **"სუვერენული ნიშნავს: პირველი - დამოუკიდებელს საგარეო ურთიერთობებში; მეორე - უზენაესს ქვეყნის შიგნით. ე. ი. ამ პროექტის თანახმად, აფხაზეთს დამოუკიდებლად შეუძლია, დადოს ხელშეკრულება ნებისმიერ ქვეყანასთან. იმავდროულად, თუ აფხაზეთში ერთმანეთის პარალელურად იმოქმედებს საქართველოსა და ადგილობრივი კანონები, უპირატესობა ამ უკანასკნელს მიენიჭება. საქართველოს კანონი მას უნდა შეეწყოს."**

ბოდენის მიერ შემუშავებული დოკუმენტის არსებობა უკვე რამდენიმე თვეა, რაც ცნობილია. ამ პროექტს დათანხმდნენ ე. წ. მეგობარი სახელმწიფოები - საფრანგეთი, ინგლისი, აშშ, გერმანია, რუსეთი. პროექტში დაფიქსირებული აფხაზეთის სტატუსის შესახებ მასმედიის წინაშე პირველად ნოდარ ნათაძემ განაცხადა. ბატონი ნათაძე ეჭვს გამოთქვამს, რომ ქართველმა მაღალჩინოსნებმა იციან ამ ფაქტის შესახებ, მაგრამ არ ახმაურებენ.

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე განიხილავს 30 იანვრის გერმანულ გაზეთ "დი ველტში" გამოქვეყნებულ ინტერვიუს ბოდენთან. **"ბოდენი პრესაში ამბობს, რომ რუსეთი, რომელიც აქამდე კონფლიქტურ წერტილებს – ჩეჩნეთს და აფხაზეთს - იყენებდა საქართველოზე ზეწოლისთვის, მისი ნატოსკენ მიდრეკილების გამო, უკვე**

გაგრძელება A3 გვერდზე

პანკისი კვაშნინის ბრძანებით დაიბომბა
″ნოვაია გაზეტა″ ხელს რუსეთის გენშტაბის უფროსს ადებს

"ნოვაია გაზეტას" 9 სექტემბრის 66-ე ნომერში დაიბეჭდა სენსაციური ინტერვიუ რუს გენერლებთან, რომლებიც ვარაუდობენ, რომ რუსეთის ავიაციამ პანკისის ხეობა რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის, არმიის გენერალ ანატოლი კვაშნინის ბრძანებით დაბომბა.

"ნოვაია გაზეტას" ჟურნალისტის ვალერი გრომოვის სტატიას – **"გენშტაბის უფროსის საიდუმლო ომი – ვინ დაფრინავს საქართველოს თავზე?"** – პოლიტიკური ინტრიგის სუნი უდის, მაგრამ საინტერესოა იმდენად, რამდენადაც პროფესიონალი სამხედროების თვალსაზრისს გადმოსცემს 23 აგვისტოს პანკისის ხეობის დაბომბვის შესაძლო დამკვეთისა და შემსრულებლების შესახებ.

ჟურნალისტი წერს: **"სპეცკომისიის** (იგულისხმება პანკისის ინციდენტის გამომძიებელი რუსი სამხედროების კომისია – *"24 საათი"*) **საქართველოში გამგზავრებამდე, მის წევრებს გენერალური შტაბის უფროსმა, არმიის გენერალმა ანატოლი კვაშნინმა ინსტრუქტაჟი პირადად ჩაუტარა. სწორედ ამიტომ, ცხელ წერტილებში დიდი ხნის წინ გაცნობილი გენშტაბისა და სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი შტაბის ოფიცრებიც კი, ამ თემაზე საუბარს მხოლოდ მკაცრი ანონიმურობის პირობით დათანხმდნენ".**

გაგრძელება A5 გვერდზე

რელიგიური ექსტრემიზმით დაავადებული საზოგადოება ინფორმაციის, ცოდნის დეფიციტს განიცდის

ინტერრელიგიური საბჭო, რომელიც რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა, მართლმადიდებლების გარდა, იუდეველებს, მაჰმადიანებს, კათოლიკეებს, ბაპტისტებს და სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლებს აერთიანებს. ბოლო დროს ლუთერანებმაც გამოთქვეს საბჭოში გაწევრიანების სურვილი.

ინტერრელიგიური საბჭო რელიგიური საკითხებით არ არის დაკავებული. მისი ამოცანაა სოციალურ პრობლემებზე ზეგავლენის მოსახდენად გზების ძიება. თავდაპირველად საბჭო შეიქმნა, როგორც კორუფციისა და კრიმინალის წინააღმდეგ მიმართული გაერთიანება; ბოლო ორი წელწადია, რაც მისი ყურადღების ცენტრში ტერორიზმი მოექცა.

დღევანდელი ჩვენი დიალოგი 11 სექტემბრის წლისთავს უკავშირდება. შეკრების მონაწილეები ისაუბრებენ ტერორიზმის ფესვებზე საქართველოში, ტერორიზმისა და კორუფციის ურთიერთმიმართებაზე, ტერორიზმის გამომწვევ მიზეზებზე – ხელისუფლების უმოქმედობით დაწყებული, დამთავრებული საზოგადოების ინდიფერენტულობით და ეკლესიის უნიათობით, რომელიც ამ საზოგადოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

"24 საათის" სადისკუსიო კლუბის დღევანდელი სტუმრები არიან ინტერრელიგიური საბჭოს წევრები: საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის წინამძღოლი, ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი, წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა გიორგი (ჩაჩავა), საქართველოში სომხური ეპარქიის მდივანი ვილი გრიგორიანი, ფილოსოფიის დოქტორი გიგი თევზაძე და "24 საათის" მიმომხილველი გიორგი გახელაძე.

გაგრძელება A6 გვერდზე

ხევსურეთში შეიარაღებული ჩეჩნები არ არიან

თამარ კაციტაძე

რამდენიმე კვირის წინ, ვიდრე შინაგანი ჯარი პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩასატარებლად შევიდოდა, შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა ოფიციალურად განაცხადა: შინაგანი ჯარის შიშით პანკისში მყოფმა სხვადასხვა ეროვნების კრიმინალებმა ხეობა დატოვეს და ტყეებს შეაფარეს თავიო. მართალია, რუსები დღემდე უარყოფენ ჩვენი ქვეყნის მიმართ განხორციელებულ აგრესიას, მაგრამ, საქართველოში გავრცელებული ვერსიით, მეზობელი ქვეყნის განრისხების მიზეზი სწორედ პანკისიდან გაქცეული შეიარაღებული ჩეჩნები გახდნენ.

ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უცხოელი კრიმინალების არსებობა უკვე დამალული აღარ არის. სხვათა შორის, დაახლოებით ერთი თვის წინ, უშიშროების სამინისტროს პრესმდივანმა ნიკა ლალიაშვილმაც დაადასტურა პანკისიდან კრიმინალების გადაადგილება და დასძინა, რომ მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიიდან კავკასიის მთებში 141 საცალფეხო ბილიკი გადადის და კრიმინალებიც სწორედ ამ გზებით გადაადგილდებიანო.

გაგრძელება A7 გვერდზე

ამინდი

თბილისი	29	☀
ქუთაისი	27	⛅
ბათუმი	24	⛅
სოხუმი	24	⛅
ფოთი	25	☀
თელავი	28	☀
ზუგდიდი	27	☀
გორი	25	⛅

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1850
ევრო	2.1448
გირვანქა სტერლინგი	3.4071
რუბლი	0.0690

მალხაზ სონღულაშვილი, გიგი თევზაძე, მამა გიორგი (მაჩიტაძე).

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ორშაბათიდან

ყოველდღიური ჩანართი
B4-B5 გვერდზე

ორშაბათი
–
იუმორი

სამშაბათი
–
სპეცსამსახური, ჯარი, შეიარაღება

ოთხშაბათი
–
ავტომონადირე (ავტომობილი, ნადირობა, თევზაობა)

ხუთშაბათი
–
ევროისტორია (ყველაფერი ევროპასა და ევროპულზე)

პარასკევი
–
კვირის TV–პროგრამა და ანონსი

შაბათი
–
ცივილიზაცია (მეცნიერება, უახლესი ტექნოლოგიები, აღმოჩენები, მედიცინა)

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 ავტო-მონადირე B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

მოსკოვი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი აცხადებს, რომ რუსეთი ვერ შეურიგდება საქართველოს ტერიტორიიდან ტერორისტთა ქმედებებს. ამის შესახებ იგორ ივანოვმა რუს ჟურნალისტებთან საუბრისას ნიუ-იორკში აღნიშნა. მისი თქმით, საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო ტერორისტები "რეგულარულად ახორციელებენ რუსეთში დანაშაულებრივ ქმედებებს".

ივანოვმა იმედი გამოთქვა, რომ "იმ გადაწყვეტილებებით, რომელთაც გაეროს გენერალური ასამბლეის 57-ე სესიაზე მიიღებენ, მთელს მსოფლიოს დაუმტკიცებენ, რომ სახელმწიფოები ამ ბოროტების წინააღმდეგ ერთიანდებიან".

ამასთან, მან აღნიშნა, რომ სახელმწიფოებმა სრულფასოვნად უნდა შეასრულონ ყველა ის გადაწყვეტილება და რეზოლუცია, რომელთაც გაერო-ს ფარგლებში იღებენ. **(პრაიმ-ნიუსი)**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ხელისუფლება, კოდორის ხეობის სოფელ აჟარაში მონიტორინგის მუდმივი პუნქტის გახსნის შემთხვევაში, მზადაა გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

"საქართველო თანახმაა თბილისის მიერ კონტროლირებად კოდორის ხეობის ნაწილში პოსტის გახსნაზე და გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა უსაფრთხოების გარანტიებს სთავაზობს", - აცხადებს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე.

ამასთან, მისი თქმით, საქართველო არ დათანხმდება რუსეთის მიერ ასეთი პოსტის გახსნას.

თავის მხრივ, საქართველოში გაერო-ს მისიის პრეს-მდივანმა ალექსანდრა ჯორჯმა განაცხადა, რომ გაეროში ჯერჯერობით თავს იკავებენ კოდორის ხეობის ზედა ნაწილში ამ საერთაშორისო ორგანიზაციის სამხედრო დამკვირვებლების მუდმივი სამეთვალყურეო პუნქტის გახსნისგან, რამდენადაც ამ ეტაპზე გადაწყვეტილი არ არის გაერო-ს დამკვირვებლების უსაფრთხოების საკითხი ასეთი პუნქტის გახსნის შემთხვევაში. მისი თქმით, "ხეობაში სიტუაცია საკმაოდ რთულია და ამიტომ შენარჩუნდება რეგიონში გაეროს და კოლექტიური სამშვიდობო ძალების წარმომადგენლების რეგულარული პატრულირების რეჟიმი". **(პრაიმ-ნიუსი)**

■ ■ ■

თბილისი. შსს-ს მონაცემებით, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩეჩენი და დაქირავებული არაბი მებრძოლების ყოფნის თაობაზე გავრცელებული ინფორმაციები არ დასტურდება.

ამის შესახებ შსს ოფიციალური წარმომადგენელი პაატა გომელაური აცხადებს.

მისი თქმით, ასევე, არ დასტურდება მდინარე ქსნის ხეობასა და ახალგორის რაიონში ჩეჩენი მებრძოლების გამოჩენის ფაქტებიც.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა სამშაბათს, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებზე დაყრდნობით გაავრცელეს ინფორმაცია, რომლითაც ჩეჩენი მებრძოლების ორი ჯგუფი დაფიქსირებულ იქნა მდინარე ქსნის ხეობასა და ახალგორის ბაზრობის ტერიტორიაზე. **(პრაიმ-ნიუსი)**

■ ■ ■

თბილისი. რუმინეთის საზღვაო ძალების სარდალმა, ვიცე-ადმირალმა კორნელიუს რუდენკომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსთან ჯონი ფირცხალაიშვილთან და თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან გელა ბეჟუაშვილთან სამშაბათს გამართულ შეხვედრებზე ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის საკითხები განიხილა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ, კორნელიუს რუდენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს და რუმინეთს შორის სამხედრო საკითხებში ახალი ურთიერთობები იწყება და თანამშრომლობა უფრო მეტად მას შემდეგ გაღრმავდება, როდესაც ნოემბერში, პრაღაში ნატო-ს სამიტი დასრულდება.

მისი თქმით, რუმინეთი საქართველოს თავდაცვის რეფორმების გატარებაში დაეხმარება და გაუზიარებს გამოცდილებას, თუ როგორ უნდა იმოქმედოს საქართველომ ნატოში გაწევრიანებისათვის. **(პრაიმ-ნიუსი)**

■ ■ ■

მოსკოვი. რუსეთის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ლოშჩინინმა და კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირადმა წარმომადგენელმა, აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ, სამშაბათს, მოსკოვში აფხაზეთში დევნილთა უსაფრთხო დაბრუნებაზე იმსჯელეს.

როგორც ჟურნალისტებს რუსეთის საგარეო პოლიტიკურ უწყებაში აცნობეს, შეხვედრაზე თბილისსა და სოხუმს შორის არსებული ვითარების ფართომასშტაბიანი პოლიტიკური დარეგულირების გაგრძელებასა და ურთიერთგაგების მისაღწევად ეფექტური ზომების მიღებას მიემხრნენ.

შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ მოცემული თვალსაზრისით, პრაქტიკულ ნაბიჯებს, ქართულ-აფხაზურ მხარეთა 2001 წლის 16 მარტის იალტის განცხადებებით გათვალისწინებული შეთანხმებები უნდა დაედოს საფუძვლად.

ამ პროცესში, მხარეთა პოლიტიკური პოზიციების დაახლოებისა და ნდობის აღდგენის ქმედით ღონისძიებად შესაძლოა "ეკონომიკურ სფეროში პარალელური ძალისხმევა" გამხდარიყო, - აღნიშნეს ინფორმაციის დეპარტამენტში.

ასლან აბაშიძემ გასულ შეხვედრაზე მიღებულ წინადადებათა სარეალიზაციოდ, სათანადო სამუშაოების აქტივიზაციის აუცილებლობაზე ისაუბრა.

კერძოდ, მხედველობაშია ეკონომიკური ბლოკადის მოხსნა, რაც აფხაზეთის გავლით სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო და საავტომობილო მიმოსვლის აღდგენას გულისხმობს, ასევე უნდა მოხდეს "ენგურჰესის" მოდერნიზაცია და ახალი ენერგეტიკული კომუნიკაციების გაყვანა. **(პრაიმ-ნიუსი)**

■ ■ ■

თბილისი. აჭარის მეთაური ასლან აბაშიძე სამშაბათს მოსკოვში რუსეთის თავდაცვის მინისტრთან სერგეი ივანოვთან შეხვედრაზე ავტონომიურ რესპუბლიკაში დისლოცირებული რუსეთის მე-12 ბაზის საკითხს განიხილავს, რომელიც ეუთოს 1999 წლის სტამბულის სამიტის შეთანხმებათა შესაბამისად უნდა დაიხუროს.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს აცნობა წყარომ მე-12 ბაზის სარდლობიდან, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

წყაროს თქმით, 1 ოქტომბრიდან ბაზაზე სერიოზული საშტატო შემცირებები უნდა დაიწყოს, მაგრამ სამხედროები ამის წინააღმდეგი გამოდიან.

წყარომ თქვა, რომ ასლან აბაშიძე მხარს უჭერს ამ პოზიციას და სერგეი ივანოვთან შეხვედრა აჭარის მეთაურის ინიციატივით გაიმართება. **(პრაიმ-ნიუსი)**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა თავი შეიკავა კომენტარისაგან აჭარის ავტონომიის მეთაურის ასლან აბაშიძის მიერ სამშაბათს მოსკოვში გაკეთებულ განცხადებაზე აფხაზეთისთვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნისა და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ.

როგორც ირაკლი მენაღარიშვილმა განაცხადა, ასლან აბაშიძე პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელია კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში და მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, ალბათ, ედუარდ შევარდნაძეს მოახსენებს გაწეული მუშაობის შესახებ.

"მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია, მისცეს შეფასება ასლან აბაშიძის განცხადებებს", – თქვა მინისტრმა.

ირაკლი მენაღარიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება თავად დააყენებს დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა წინაშე აფხაზეთისთვის ბლოკადის მოხსნის საკითხს, როგორც კი ადგილიდან დაიძვრება კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების პროცესი. **(პრაიმ-ნიუსი)**

■ ■ ■

თბილისი. ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მოითხოვა პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ლიდერმა, პარლამენტარმა ჯუმბერ პატიაშვილმა სამშაბათს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საშემოდგომო სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე. ანალოგიური განცხადებით "ერთობა" გასული წლის სექტემბერშიც გამოვიდა, რომელსაც 35 პარლამენტარმა მოაწერა ხელი.

მისი თქმით, რუსეთთან ურთიერთობების გამწვავებით იქმნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საშიშროება. მან ასევე განაცხადა, რომ პანკისის ხეობაში დაწყებული ანტიკრიმინალური ოპერაცია "საქართველოს სიკეთეს არ მოუტანს".

ჯუმბერ პატიაშვილის თქმით, რუსეთთან ურთიერთობა აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს. **(პრაიმ-ნიუსი)**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის პროგრამის მოსამზადებელი სახელმწიფო კომისიის პირველი სხდომა გაიხსნა სამშაბათს თბილისში საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის თავმჯდომარეობით.

როგორც ირაკლი მენაღარიშვილი აცხადებს, პროგრამის პროექტი უკვე მომზადებულია და იგი ითვალისწინებს კონკრეტული პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებების ღონისძიებების გატარებას ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან, მათ შორის ნატოსთან საქართველოს შეთავსებადობის მისაღწევად.

კითხვაზე - გააკეთებს თუ არა საქართველო ოფიციალურ განაცხადს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების შესახებ პრაღაში დაგეგმილ ნატო-ს სამიტზე, ირაკლი მენაღარიშვილმა თქვა, რომ მოვლენების წინ გასწრება საჭირო არ არის, თუმცა, ასეთი განაცხადი აუცილებლად გაკეთდება, მისი შინაარსი კი ამ ნაბიჯის გადადგმისთვის მზადყოფნით განისაზღვრება.

საგარეო უწყების ხელმძღვანელი თვლის, რომ რეიკიავიკსა და რომში ნატო-ს მიერ მიღებული ბოლო გადაწყვეტილებები საქართველოს ამ სტრუქტურაში გაერთიანების იმედს მატებს. **(პრაიმ-ნიუსი)**

■ ■ ■

მოსკოვი. საქართველო ტერორისტებთან ბრძოლაში შეზღუდულ შესაძლებლობებს ფლობს. ამის შესახებ აშშ-ს ელჩმა რუსეთში ალექსანდრე ვერშბოუმ განაცხადა მოსკოვში გამართულ "მრგვალ მაგიდაზე". ამერიკელი დიპლომატის განცხადებით, ამას რეალისტურად უნდა შევხედოთ.

ვერშბოუ თვლის, რომ "რუსეთის მოთხოვნა, აიყვანოს პანკისის ხეობაში მყოფი ყველა ტერორისტი, საქართველოსთვის ძნელად შესასრულებელი ამოცანა იქნება". ელჩის თქმით, საქართველოს უშიშროების ძალებმა პანკისის ხეობაში დაიწყეს ანტიკრიმინალური ოპერაცია, რომელსაც "გარკვეული დადებითი შედეგი მოჰყვა", მაგრამ ის ჯერ არ დასრულებულა. **(კავკას-პრესი)**

■ ■ ■

ინდოეთში კატასტროფა განიცადა კალკუტადან დელიში მიმავალმა სამგზავრო მატარებელმა. სამგზავრო მატარებლის თვრამეტი ვაგონი ხიდიდან მდინარეში გადაიჩეხა. ბოლო მონაცემებით დაღუპულია ორმოცდაათამდე ადამიანი, ასობით ადამიანი მძიმე მდგომარეობაშია. სახელმწიფო სარკინიგზო კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, ეს ყველაზე მასშტაბური სარკინიგზო კატასტროფაა ინდოეთის ისტორიაში. მათი თქმით, შესაძლოა დაღუპულთა რიცხვმა ასს გადააჭარბოს. მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები.

არსებობს ვერსია, რომ ავტოკატასტროფა დივერსანტების მოწყობილია. რკინიგზის მუშაკებმა კატასტროფის მონაკვეთზე მოხსნილი რელსები და განძელები აღმოაჩინეს.

ინდოეთის ოფიციალური პირები ვარაუდობენ, რომ დივერსია, შესაძლოა, მაოისტი ამბოხებულების მიერ იყოს მოწყობილი.

ჩვენ ისტორიის დასასრულთან ვრჩებით

პირველი გვერდიდან

ისტორიას ჯერ არ უჩვენებია, თუ რა იქნება ლიბერალური დემოკრატიის განვითარების შემდგომი ეტაპი. შესაბამისად, იგი ისტორიის დასასრულია. ძნელი წარმოსადგენია ლიბერალური დემოკრატიის ალტერნატივა, რომელშიც ხალხი საკუთარი ნებით ისურვებდა ცხოვრებას, იქნებოდა ეს სოციალიზმი, ფაშიზმი, მონარქია თუ ათასი ჯურის ავტორიტარული რეჟიმი.

ჩემი ეს მოსაზრება ბევრმა არ გაიზიარა, რომელთაგან განსხვავებული აზრი ყველაზე მკაფიოდ სემიულ ჰანტინგტონმა ჩამოაყალიბა. მისი თეორიის თანახმად, ერთგვაროვანი გლობალური სისტემისაკენ პროგრესირების ნაცვლად, მსოფლიო ჩათრეული აღმოჩნდა "ცივილიზაციათა შეჯახებაში", რომელშიც, ექვსი თუ შვიდი დიდი კულტურული ჯგუფი თანაარსებობს და ახალი გლობალური კონფლიქტის კონტურებს სახავს. მას შემდეგ, რაც დასავლური ცივილიზაციით უკმაყოფილო ისლამისტი ექსტრემისტების მიერ მსოფლიო კაპიტალიზმის ცენტრზე აშკარა თავდასხმა განხორციელდა, მკვლევარებმა ჰანტინგტონის თეორიას, ჩემს ნააზრევთან შედარებით, უპირატესობა მიანიჭეს.

ვფიქრობ, ბოლოს მაინც მართალი აღმოვჩნდები. მოდერნიზაცია ის უდიდესი ძალაუფლების მქონე სატვირთო მატარებელია, რომელსაც ვერანაირი მტკივნეული ისტორიული მოვლენა ვერ შეაჩერებს. ლიბერალური დემოკრატია და თავისუფალი ბაზარი მსოფლიოს უდიდესი ნაწილისათვის კვლავაც განაგრძობს მთავარი მაორგანიზებელი პრინციპების როლის შესრულებას. მაგრამ ამჟამად უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რაში მდგომარეობს მისი უმთავრესი გამოწვევა.

მე ყოველთვის მწამდა, რომ მოდერნიზაციას აქვს კულტურული ბაზისი. ლიბერალური დემოკრატია და თავისუფალი ბაზარი ნებისმიერ დროსა და სივრცეში ვერ იმუშავებს. მათთვის საუკეთესო ნიადაგს ქმნის ის განსაკუთრებული ფასეულობები, რომლებიც შესაძლოა ბოლომდე რაციონალური არც იყოს. შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე ლიბერალური დემოკრატია სწორედ ქრისტიანულ დასავლეთში აღმოცენდა. მას შემდეგ, დემოკრატიულ უფლებათა უნივერსალიზმი ქრისტიანული უნივერსლიზმის საერო ფორმად აღიქმება.

სამიუელ ჰანტინგტონისათვის მთავარ საკითხს წარმოადგენს, არის თუ არა ეს ინსტიტუტები მხოლოდ დასავლური, თუ შესაძლებელია მათი სხვაგან გავრცელებაც. ჩემი აზრით, შესაძლებელია. ამის მაგალითია ლიბერალური დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრების მიერ მიღწეული პროგრესი ისეთ რეგიონებში, როგორებიცაა: აღმოსავლეთი აზია, ლათინური ამერიკა, მართლმადიდებელი ევროპა და სამხრეთ აზია. ამის მაგალითია მესამე მსოფლიოდან მილიონობით ემიგრანტი, რომელიც ყოველწლიურად ტოვებს საკუთარ ქვეყნებს, რათა დასავლურ საზოგადოებაში იცხოვროს და დასავლურ ფასეულობებს შეეთვისოს.

მაგრამ მაინც, ისლამში, განსაკუთრებით კი ფუნდამენტალისტურ ისლამში, არის ის, რაც მუსულმანურ საზოგადოებაში მოდერნიზაციასთან მძაფრ დაპირისპირებას იწვევს. ყველა თანამედროვე კულტურას შორის ისლამური სამყარო ყველაზე ნაკლებ დემოკრატიულია (თურქეთის გარდა). იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც განვითარებადი მსოფლიოდან განვითარებულში გადასვლა მოახერხეს (როგორც, მაგალითად სინგაპურმა და სამხრეთ კორეამ), არც ერთი ისლამური ქვეყანა არაა. მრავალი არადასავლური ქვეყანა იზიარებს მოდერნიზაციის ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ მიღწევებს და ფიქრობს, რომ მათი გადმონერგვა დასავლური ფასეულობების მიღების გარეშეც შესაძლებელია. არიან ისეთნიც, რომლებიც მოდერნიზაციის ორივე ასპექტს იწონებენ, მატერიალურსაც და კულტურლსაც, მაგრამ მათი დანერგვისათვის თავი ვერ მოუბამთ (მაგალითად რუსეთი). მათთვის "გათანამედროვეობა" შესაძლოა ხანგრძლივი და მტკივნეული იყოს, მაგრამ არ არსებობს არანაირი გადაულახავი კულტურული ბარიერი, რომელიც მას შეაჩერებს.

ამის საპირისპიროდ, ისლამი იმ კულტურულ სისტემად გვევლინება, რომელიც სისტემატურად ქმნის ისეთ პიროვნებებს, როგორიცაა ოსამა ბინ ლადენი და თალიბები, რომლებიც, მოდერნიზაციის ნებისმიერ გამოვლინებას უარყოფენ. ეს ბუნებრივად ბადებს კითხვას, რამდენად წარმოადგენენ ასეთი პიროვნებები მთელ მუსულმანურ სამყაროს. 11 სექტემბრის ტრაგედიის შესწავლის შემდეგ, მიმომხილველები ამტკიცებენ, რომ ექსტრემისტების მიმართ სიმპათიით განწყობილნი მუსულმანურ სამყაროში უმცირესობაა. შესაბამისად, მიმომხილველები ცდილობენ, მუსულმანი ხალხი აარიდონ საშიშროებას, იქცნენ სიძულვილის ობიექტად. მაგრამ იმ პრობლემის ფესვები, რომელიც ამერიკელებისადმი და ყველაფერ ამერიკულისადმი ზიზღში მდგომარეობს, გაცილებით ღრმაა. რასაკვირველია, მცირეა იმ ხალხის რიცხვი, ვინც ნებაყოფლობით თვითმკვლელობასა და აშკარა დაპირისპირებაზე წავა, მაგრამ ამგვარი ადამიანების მიმართ არსებული სიმპათია, ცათამბჯენების ნგრევის შეხედვით გამოწვეული ბოროტი სიხარული, რომ ამერიკამ მიიღო ის, რაც დაიმსახურა, საკმაოდ ბევრმა განიცადა. ასეთი ფენები ეგვიპტის საშუალო კლასებიდან დასავლეთში მცხოვრებ იმიგრანტებამდე ვრცელდება.

ეს უსაზღვრო ზიზღი და უკმაყოფილება უფრო მეტია, ვიდრე ამერიკის ისრაელისადმი გაწეული დახმარებით გამოწვეული უკმაყოფილება. შესაძლოა, მისი მიზეზი დასავლეთის წინსვლა და მუსულმანური სამყაროს ჩამორჩენა იყოს. მაგრამ პრობლემის ფსიქოლოგიურად განხილვაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად წარმოადგენს ისლამი დასავლური ლიბერალური დემოკრატიის სერიოზულ ალტერნატივას.

თვით მუსულმანთათვის, აბსტრაქტული პოლიტიკური ისლამი უფრო მისაღებია, ვიდრე მისი გამოხატვის კონკრეტული ფორმები. აიათოლების 23 წლიანი მმართველობის შემდეგ, ირანელთა უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ოცნებობენ იცხოვრონ უფრო ლიბერალურ საზოგადოებაში. ანტიამერიკანიზმი ვერასოდეს იქნება პოლიტიკური პროგრამა, რომლითაც მუსლიმური ქვეყნები ცხოვრებას შეძლებენ.

ჩვენ, ისტორიის დასასრულთან ვრჩებით, რადგან მსოფლიოს უმეტეს ნაწილში დასავლურ ლიბერალურ დემოკრატიას ალტერნატივა კვლავ არ გააჩნია. ეს არ გულისხმობს კონფლიქტისაგან თავისუფალ სამყაროს, ან განსხვავებული კულტურების გაქრობას. მაგრამ, ეს იქნება არა თანასწორთა კონფლიქტი, არამედ რეტროგრადული საზოგადოებების გაბრძოლება მოდერნიზმის წინაშე. შესაძლოა, ბრძოლა მწვავე იყოს, მაგრამ დრო და რესურსები მოდერნიზმის მხარესაა.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. **ფოტო:** ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

„ბოდენის პროექტი აფხაზეთის სუვერენიტეტს აღიარებს"

პირველი გვერდიდან

“მინდვრების გაწმენდაზე” ფიქრობს. კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტები რუსეთს აფერხებს სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრაში. ეს პირველად მოხდა, - ამბობს ბოდენი, - რომ გენერალური მდივნის მეგობრებმა – საფრანგეთმა, აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ და რუსეთმა ერთხმად შეიმუშავეს ერთობლივი წინადადება, რომელიც უნდა გახდეს საწყისი მოლაპარაკებებისა აფხაზეთის სტატუსის შესახებ – “აფხაზეთი არის სუვერენული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი (Gebilde) საქართველოს სახელმწიფოს ჩარჩოში.” ბოდენი ამბობს: “აქამდე რუსეთი არ მოგვყვებოდა ამ მიმართულებით”, ახლა კი “შემოტრიალება” მიღწეულია. იგი იმედოვნებს, რომ, რუსეთის დახმარებით, აფხაზებსაც დავარწმუნებთ, ეს ფორმულირება მიიღონო.

ნოდარ ნათაძის პროგნოზი ასეთია: აფხაზური მხარე მცირე ხნით “გაიპრანჭება,” შემდეგ კი ამ დოკუმენტს მიიღებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზებსა და რუსებს შორის დაიდება ნებისმიერი დონის ხელშეკრულებები, **“მათ შორის, შესაძლებელია, ერთობლივი თავდაცვის შესახებაც. გაზრდილი უფლებები იმისთვის იქნება გამოყენებული, რომ დემოგრაფიული სურათი შეიცვალოს. იქ ჩაასახლებენ მოჰაჯირებს, ჩრდილოკავკასიელებს, რომლებიც აფხაზების სისხლით ნათესავები არიან, რუსებს. დევნილები რომც დააბრუნონ, უმრავლესობა მაინც აფხაზების მხარეს იქნება.”**



“სამწუხაროა, რომ ასეთ ადამიანს მიანდეს გაერო-ს პოზიციის გამოხატვა”.

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ნოდარ ნათაძე აცხადებს, რომ პრესის საშუალებით კარგად იცნობს ბოდენს, რომელიც რუსეთის იმპერიის მიზნებს ემსახურება. **“სამწუხაროა, რომ ასეთ ადამიანს მიანდეს გაერო-ს პოზიციის გამოხატვა საქართველოსთვის სასიცოცხლო საკითხებში.”**

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ბოდენის პროექტის ასლი საქართველოში თედო ჯაფარიძემ ჩამოიტანა. ნოდარ ნათაძის დასკვნა ასეთია: ამ დოკუმენტს საზოგადოების წინაშე შეგნებულად არ ახმაურებენ, ვინაიდან იციან, რომ ქვეყნისთვის საზიანო საქმეს სჩადიან, ანუ აფხაზეთს იურიდიულად ასხვისებენ.

“24 საათი” კომენტარისთვის დაუკავშირდა უშიშროების საბჭოს, სადაც ინფორმაციის მოწოდებას შეგვპირდნენ, მაგრამ პირობა, ჯერჯერობით, არ შეასრულეს.

დასვენებულმა დეპუტატებმა მიკროფონები მოსინჯეს

გიორგი ასანიშვილი

ბეჟუაშვილი ვა-ბანკზე მიდის

ბოლო პერიოდში აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პარლამენტარი დავით ბეჟუაშვილი თავისი ყურადღებით "გაანებივრა". სულ ბოლოს დეპუტატის გვარი თავად პრეზიდენტმა მოიხსენია არც თუ დადებით კონტექსტში.

ბეჟუაშვილს, ეტყობა, მობეზრდა მთავრობის, კონტროლის პალატის და გენერალური პროკურატურის მხრიდან მომეტებული "ზედამხედველობა", კერძოდ კი, ენერგეტიკის სფეროში უკანონო გარიგებებში დადანაშაულება და მოისურვა, მის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი.

"მოვითხოვ, რომ ჩემს წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებები ოსაძის კომისიამ შეისწავლოს. ეს პარლამენტის ღირსების საქმეც არის - დეპუტატებმა უნდა იცოდნენ, რას წარმოადგენს და რას საქმიანობს მათ გვერდით მჯდომი პიროვნება", - განაცხადა პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე ბეჟუაშვილმა.

პარლამენტარებმა "ექვმიტანილს" მხარი დაუჭირეს და "ბეჟუაშვილის საქმე" შესასწავლად დროებით საგამოძიებო კომისიას გადასცეს.

დეპუტატი ნეტარების ძიებაშია

პარლამენტარი მაია ნადირაძე ითხოვს, რომ პარლამენტმა ამ კვირაში მოისმინოს მთავრობის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. **"მათ ბოლოდროინდელ გამოსვლებს ნეტარების ელფერი დაკრავს და იქნებ ჩვენც გავხდეთ ნეტარნი?"** - ტკბილ ოცნებებს მისცემია "ტრადიციონალისტი" დეპუტატი.

აჩქარებითა სოფელი...

პარლამენტარი რევაზ მიშველაძე აღშფოთებულია იმით, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე არც ხელს აწერს და არც ვეტოს ადებს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შესახებ, თანაც, საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებას "ნაჩქარევს" უწოდებს ისე, რომ არ ასაბუთებს, რაში გამოიხატება "ნაჩქარეობა".

"რას ნიშნავს, "ნაჩქარევია"? იქნებ სწორედ მისი მიდგომაა ნაჩქარევი?" - ბობოქრობდა გუშინ მიშველაძე.

აღელვებული პარლამენტარის დამშვიდება ნინო ბურჯანაძემ მხოლოდ იმით შესძლო, რომ შეჰპირდა, პარლამენტში სტუმრობისას შევარდნაძე დეტალურად განმარტავდა თავის პოზიციას.

რეგიონული რექვიემი

ლაგოდეხის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი დავით კაპანაძე აცხადებს, რომ სეტყვამ და წყალდიდობამ მისი რაიონი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. **"მოსახლეობა, ფაქტობრივად, შიმშილობს",** - განგაშს ტეხს პარლამენტარი, რომელიც შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტებისგან და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან მოსახლეობის დასახმარებლად კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას ითხოვს.

ონის რაიონის მაჟორიტარის რევაზ ნოდარიშვილის თქმით კი, ონში ტიფის ეპიდემია მძვინვარებს და არსებობს მისი უფრო ფართო მასშტაბით გავრცელების საშიშროება.

ქვეყნის პერიფერიებში არსებულ კიდევ ერთ პრობლემას წარმოაჩენს მთიანი რეგიონებისა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარე ანზორ გოგიტიძე. მისი განცხადებით, მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობას კანონი მიწის გადასახადისგან ათავისუფლებს, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება ხშირად ამას არაფრად დაგიდევთ.

"მიწის გადასახადის ნაცვლად, დააწესეს საიჯარო გადასახადი, რომელიც პირველს ორჯერ აღემატება და გლეხობას კაბალურ მდგომარეობაში აყენებს", - აღნიშნავს ანზორ გოგიტიძე და დასძენს, რომ ანალოგიური მდგომარეობაა სამედიცინო მოსახურების სფეროშიც, რომელიც მაღალმთიან რაიონებში, კანონით, ასევე უფასოა.

"ამ შემთხვევაშიც მოსახლეობას ორჯერ მეტი თანხის გაღება უწევს", - ამბობს საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.

შარაძის "განდეგილობა" დასრულდა

ოსაძის კომისიის მიერ გურამ შარაძისთვის აგენტობის ბრალდების მოხსნამ დეპუტატებს ლუსტრაციის კანონის მივიწყებული თემა გაახსენა. თუმცა, ასეთი კანონის მიღების მსურველებს თავად მიხეილ ოსაძემ გადაასხა ცივი წყალი.

"ამ კანონის მიღება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი და გამართლებული, თუ რუსეთში გატანილ უშიშროების არქივებს დავიბრუნებთ", - აცხადებს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე. ასეთი პერსპექტივა კი, როგორც თავად დეპუტატები ირწმუნებიან, საერთოდ არ არსებობს.

გუშინვე შედგა პარლამენტში გურამ შარაძის დაბრუნების ცერემონია. თუმცა, ისიც საკითხავია, კონკრეტულად რაში გამოიხატა "საკითხის გარკვევამდე მისი სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერება" - "განდეგილობის" პერიოდში, როცა კი სჭირდებოდა, შარაძე მუდამ იყენებდა საპარლამენტო ტრიბუნას და საკანონმდებლო ორგანოს კედლებში პერმანენტულად მართავდა პრესკონფერენციებს.

გახსოვდეს კოდორი!

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი გუშინდელ პლენარულ სხდომაზე კოდორის ხეობაში დღეს არსებულ მდგომარეობას შეეხო. **"გაერო-ს დამკვირვებლებმა ჯერ კიდევ ვერ გადაწყვიტეს ხეობაში პატრულირებისა და განაღმვითი სამუშაოების დაწყება. ამასთან, მარუხის უღელტეხილის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში აღდგა სტატუს კვო - იქ ისევ იმყოფებიან აფხაზური შეიარაღებული ფორმირებები",** - აცხადებს ბათიაშვილი.

საფრთხის რეალობას პარლამენტის თავმჯდომარეც ადასტურებს, რომელიც მიიჩნევს, რომ უშიშროების საბჭო აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს კოდორის ხეობის უსაფრთხოების საკითხს.

ნინო ბურჯანაძემ პარლამენტი "დაიმორჩილა"

პირველი გვერდიდან

დღის წესრიგის "განაღმვა" ბურჯანაძემ რომ წარმატებით ჩაატარა, გუშინდელ "პრემიერაზე" ნათლად გამოჩნდა: საშემოდგომო სესიის გახსნის აღსანიშნავად გუგუნებდა საქართველოს ეროვნული ჰიმნი, იყო მილოცვები იუბილარი პარლამენტარებისადმი (ვახტანგ ყოლბაია და დოდო შელია), დიდი ხნის უნახავი კოლეგების მოკითხვა და ხვევნა-კოცნა... ანუ პარლამენტი საბრძოლო განწყობისგან შორს იყო.

ასეთმა სიტუაციამ "ბოევიკ-დეპუტატებს" აშკარად წაუხდინა გუნება. **"დღის წესრიგი ისეთია, თითქოს დალხინებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ კანონპროექტზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი განსახილველი არა გვაქვს,"** - საბრძოლველად უძგერდა გული კოტე კემულარიას.

პარლამენტის თავმჯდომარის "პაციფიზმის" შემხედვარე დეპუტატებმა ფსიქოლოგიური იერიშით სცადეს ნინო ბურჯანაძის "სამშვიდობო კურსის" ტორპედირება.

"თუ ასე გავაგრძელეთ, მტკივნეულ საკითხებს გვერდი ავუარეთ და ისინი უსასრულო მომავლისთვის გადავდეთ, ყველაზე უსახური პარლამენტის სახელით შევალთ საქართველოს უახლეს ისტორიაში", - შთამომავალთა რისხვით აშინებდა კოლეგებს თედო პაატაშვილი, რომელიც დაჟინებით ითხოვდა, აფხაზეთის თემატიკაზე და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე მსჯელობა ამ კვირაშივე დაწყებულიყო. იმავე პოზიციაზე იდგნენ ალექსანდრე ჯიქია, ანზორ წოწონავა, ჯანსულ ეზუგბაია ...

თუმცა, ბურჯანაძეზე არც თხოვნამ გასჭრა, არც – "მუქარამ". პარლამენტის თავმჯდომარემ ერთხელ არჩეულ კურსს აღარ გადაუხვია და მას ბოლომდე "უერთგულა". იგი დაჰპირდა დეპუტატებს, რომ აფხაზეთის სტატუსის საკითხი და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების თემა აუცილებლად გახდება პარლამენტის მსჯელობის საგანი, ოღონდ მაშინ, როდესაც ეს საკითხები კომიტეტებში ბოლომდე დამუშავდება და სათანადო კონდიციამდე მივა.

გუშინდელ სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ ის პრიორიტეტებიც დაასახელა, რომელზეც თავის ბოლო სამუშაო წელს გაამახვილებს ყურადღებას ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტი:

საარჩევნო კანონმდებლობაზე მუშაობა; ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი; კონსტიტუციური ცვლილებების გზით სახელმწიფოს ინსტიტუციონალური მოწყობა (მინისტრთა კაბინეტის შემოღება); **საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაცია** - საშუალო და მცირე ბიზნესისთვის ხელშეწყობა; **პარლამენტის მიერ თავისი საკონსტიტუციო მოვალეობის - აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლისა და მასზე ზედამხედველობის ფუნქციის - შესრულება**, - ასეთია ის პროგრამა-მაქსიმუმი, რომლის შესრულებაში პარლამენტის თავმჯდომარეს ახლავე ეპარება ეჭვი.

"ამ ფუნქციებს (კონტროლის და ზედამხედველობის) **კარგად რომ ვასრულებდეთ, აღმასრულებელი ხელისუფლება უკეთესად იმუშავებდა. რაც არ გაკეთებულა განვლილ პერიოდში, მისი გაკეთება მოახლოებული არჩევნების პირობებში გაცილებით ძნელი იქნება",** - არც თუ ოპტიმისტურ პროგნოზს აკეთებს პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც თავისი კოლეგების სისუსტედ მიიჩნევს იმასაც, რომ პარლამენტის მიერ მიღებული ბევრი კანონი თავიდანვე “მკვდრადშობილია” და არ მუშაობს.

ერთი სიტყვით, გუშინ პარლამენტის თავმჯდომარე მოწოდების სიმაღლეზე იდგა და, შესაბამისად, საშემოდგომო სესიის პირველმა დღემაც შედარებით მშვიდად ჩაიარა. მას შემდეგ, რაც მიკროფონს მონატრებულმა დეპუტატებმა დღის პირველ ნახევარში განცხადებების კეთების და ელექტორატთან კეკლუცობის სურვილი მოიკლეს, პარლამენტარებმა 2002 წლის საშემოდგომო სესიის სამუშაო გეგმის პროექტი დაამტკიცეს და რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინეს, მოგვიანებით კი საპენსიო ფონდის ხელმძღვანელობა საკომიტეტო მოსმენაზე მიიწვიეს და ერთად იმსჯელეს ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე.

ნუთუ პარლამენტი პოზიციას ასე იოლად შეიცვლის?!

პირველი გვერდიდან

ფაქტად დარჩა - ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლებამ საკუთარი ნება დააფიქსირა.

დღეს კი საქართველოს პარლამენტმა, შესაძლოა, თავისი სიტყვები უკან წაიღოს და რუსეთს მორიგი რევერანსი გაუკეთოს.

ამ რევერანსის ინიციატორი, რასაკვირველია, საქართველოს სოციალისტური პარტია გახლავთ, რომელმაც პარლამენტში "მრეწველების" მხარდაჭერა უკვე მოიპოვა და საქართველოს პარლამენტს სთავაზობს, მიიღოს განცხადება აშშ-ს, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების მიმართ.

მიმართვის არსი, საბოლოო ჯამში, მდგომარეობს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დღევანდელი გეზიდან გადახვევის მოწოდებაში. მიმართვაში საქართველოს პარლამენტი სამი ქვეყნის პრეზიდენტს საქართველოს უსაფრთხოებაზე ზრუნვას ერთობლივად სთხოვს.

სოციალისტთა ინიციატივით, ამ განცხადებაში, სხვა დეტალებთან ერთად, აღნიშნულია, რომ **"რუსეთის აქტიური მონაწილეობის გარეშე, შეუძლებელია მშვიდობისა და სტაბილურობისათვის ეფექტური სისტემის შექმნა მთელ კავკასიაში, მათ შორის - საქართველოს კონფლიქტების დარეგულირება".** ანუ, ამით ხაზი ესმევა რუსეთის იმ როლსა და ფუნქციას საქართველოსთან მიმართებაში, რომლისგანაც თავის დაღწევას ქვეყანა დამოუკიდებლობის ათწლეულის მანძილზე ცდილობს.

საინტერესოა ერთი დეტალიც: ამ განცხადების მიღების შემთხვევაში, რჩეულიშვილი პირობას დებს, რომ რუსეთის ხელისუფლებისაგან პარლამენტის ამ ნაბიჯს რეაგირება აუცილებლად მოჰყვება. ანუ, ფაქტობრივად, იგი ამბობს, რომ ეს ინიციატივა შეთანხმებულია რუსეთთან. ამბობს, რომ მან კონსულტაციები გაიარა საქართველოს პრეზიდენტთანაც და უშიშროების საბჭოსთანაც... საინტერესოა, რომ "საქმის კურსში ჩაყენებულთა" შორის მიმართვის ადრესატი "მესამე მხარე" – აშშ არ ფიგურირებს.

თავისთავად ის ფაქტი, რომ სოციალისტთა ლიდერი "რუსეთის სახელით" საუბრის უფლებას აძლევს თავს, დამაფიქრებელია, თუმცა, ინიციატივის პათოსიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის. საბოლოო ჯამში, რუსეთის ინტერესებში ყოველთვის იყო და არის საქართველოში კონფლიქტური სიტუაციების პროვოცირება და შემდეგ ამ სიტუაციებში "მომრიგებლის" როლის თამაში, რაც უზრუნველყოფს მის მუდმივ გავლენას კონკრეტულად საქართველოზე და მთელ კავკასიაზე.

თუ პრინციპების დონეზე განვიხილავთ, ეს მიმართვა ეწინააღმდეგება "ახლების" გუშინდელ ინიციატივას ნატო-ში შესვლის სურვილის თაობაზე საპარლამენტო განაცხადის გაკეთების შესახებ, რაც უკვე ჩამოყალიბებული (და არა ზემოთ მოხსენიებული "სამმხრივი") კოლექტიური უსაფრთხოებისკენ სწრაფვას გულისხმობს.

ამ ყოველივეს ფონზე კი, განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ საქართველოს პარლამენტმა, შესაძლოა, 26 აგვისტოს უკვე მიღებული განცხადების შემდეგ, კენჭი ზემოთ მოხსენიებულ ორსაც უყაროს და ორივე ერთმანეთის მიყოლებით დაამტკიცოს.

ამის სერიოზული ნიშნები გამოჩნდა გუშინ, როცა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა სოციალისტების ზემოთ მოხსენიებული ინიციატივა განიხილა.

მართალია, კომისიის წევრებმა განცხადებაში რამდენიმე ფრაზა შეცვალეს, მაგრამ განცხადების პათოსი, ძირითადად, მოიწონეს.

წინააღმდეგობის დაფიქსირება "ახლების" წარმომადგენელმა ფიქრია ჩიხრაძემ სცადა, რომელმაც პარლამენტარებს შეახსენა 26 აგვისტოს

ყველაზე დიდი ქართველი რუსოფილი.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მიღებული განცხადების ტექსტი და საპარლამენტო უპრინციპობას გაუსვა ხაზი, თუმცა, მრავალპარტიულმა კომისიამ ეს აზრი არ გაიზიარა.

მოკლედ, კომისიამ განცხადება მოიწონა და 11 სექტემბერს იგი პარლამენტის სესიის განხილვის საგნადაც იქცევა.

დღეს ძნელი სათქმელია, დაამტკიცებს თუ არა მას პარლამენტი, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამას სულ 80-მდე ხმა სჭირდება, რჩეულიშვილის მიერ ინიცირებული მიმართვის მიღება პრობლემად, შეიძლება, არც იქცეს. თავისთავად, არც განცხადების მიღება ნიშნავს იმას, რომ საქართველო აღებულ კურსს გადაუხვევს და რუსულ თამაშებს აჰყვება.

მაგრამ მსგავსი გადაწყვეტილებით და, პარალელურად, ნატო-სთან დაკავშირებული მიმართვის განხილვით, საქართველოს პარლამენტი საკუთარ უპრინციპობას დაადასტურებს და პარლამენტის სიტყვას, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს თითქმის ერთადერთი პოლიტიკური ძალაა, გააუფასურებს. ეს კი საქართველოში პარლამენტარიზმის დისკრედიტაციის მიმართულებით გადადგმული მორიგი ნაბიჯი იქნება, რაც მომავალში ქვეყანას, შესაძლოა, ძალიან ცუდად შემოუბრუნდეს.

დაგეგმილი სტრუქტურული ცვლილებები მინისტრთა კაბინეტის შექმნას გამორიცხავს

თამარ ხორბალაძე

საქართველოს კანცელარიამ უკვე მოამზადა მთავრობის სტრუქტურულ ცვლილებათა პროექტი, რომელიც, ჯერჯერობით, არასაჯაროდ განიხილება.

ეს თემა ერთ-ერთი მთავარი გახლდათ პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრაზე, რომელიც გუშინ დახურულ კარს მიღმა, დაახლოებით, ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

შეხვედრიდან ნინო ბურჯანაძე უკმაყოფილო გამოვიდა.

მან უშუალოდ სტრუქტურული ცვლილებების პროექტის თაობაზე კომენტარი არ გააკეთა იმ მოტივით, რომ დეტალებს არ იცნობს, თუმცა, განაცხადა, რომ ჯერ კიდევ არ არის მიღებული პრინციპული გადაწყვეტილება - საქართველო აპირებს პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შემოღებას, თუ მზადაა, შემოიფარგლოს მხოლოდ ზემოთ მოხსენიებული სტრუქტურული ცვლილებებით.

პარლამენტის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ ასეთი სტრუქტურული რეორგანიზაციის განხორციელება ხელს შეუშლის საქართველოში მინისტრთა კაბინეტის შემოღებას.

შეგახსენებთ, საქართველოს პარლამენტის ზაფხულის ბიუროზე შეთანხმდნენ, რომ პარლამენტში შეიქმნებოდა სპეციალური ჯგუფი, რომელიც მინისტრთა კაბინეტის თემაზე იმუშავებდა.

მოგვიანებით, საქართველოს პრეზიდენტთან გამართული კონსულტაციების შემდეგ, მთავრობაში მინისტრთა კაბინეტის თემა "მიაბეს" რეგიონული მოწყობის საკითხს და ამ პრობლემების შესასწავლად ერთი დიდი სამთავრობო კომისიის შექმნა გადაწყვიტეს.

ხოლო უახლოეს პერიოდში პარლამენტის განხილვის საგნად სტრუქტურული რეორგანიზაციის საკითხი იქცევა.

გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამინისტროების შემცირებას, სერიოზული სტრუქტურული ცვლილებების გარეშე, აზრი ეკარგება.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, სტრუქტურული რეორგანიზაციის ის პროექტი, რომელიც კანცელარიამ შეიმუშავა, მთავრობის რეფორმირების პროცესის 2005 წლამდე, ანუ საპრეზიდენტო არჩევნების წლამდე "გაწერას" თუ გაწელას გულისხმობს.

შესაძლოა, ესეც გახდა საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელის გარკვეული გაღიზიანების ერთ-ერთი საფუძველი.

გუშინვე სტრუქტურული რეორგანიზაციის თემაზე საქართველოს პრეზიდენტს ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელიც შეხვდა, ეკონომიკური პროფილის მინისტრებთან ერთად.

შეხვედრიდან გამოსულმა კახა უგულავამ განაცხადა, რომ პრეზიდენტმა საბჭოს პოზიციები გაიზიარა, მათ შორის - ქონების მართვის სამინისტროს "რეორგანიზაციასთან" დაკავშირებით. თავად მინისტრმა პავლიაშვილმა კი აღნიშნა, რომ სამინისტროს გაუქმების შესახებ შეთანხმება მიღწეულია, უბრალოდ, მისი განხორციელება მთლიანი სტრუქტურული რეორგანიზაციის საერთო კონტექსტში ჩაეწერება.

11 სექტემბერს 400 ათასი სამუშაო ადგილი შეეწირა

თორნიკე შარაშენიძე

ამერიკაში განხორციელებული შემზარავი ტერაქტებიდან ზუსტად ერთი წელი გავიდა. ეს საკმარისი დრო აღმოჩნდა იმისათვის, რათა ვაშინგტონს მთელი ცივილიზებული მსოფლიო დაერაზმა "ალ-ქაიდას" წინააღმდეგ, დამკვიდრებულიყო შუა აზიაში და ავღანეთშიც "მოეკიდებინა ფეხი"; მაგრამ ეს პერიოდი, ჯერჯერობით, არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რათა მსოფლიო ეკონომიკას მოენელებინა ის უზარმაზარი დარტყმა და ზიანი, რომელიც 11 სექტემბერმა მიაყენა.

"ალ-ქაიდამ" ყველაფერი მშვენივრად გათვალა. მან გააცნობიერა ის გარემოება, რომ მისთვის საძულველი დასავლეთის ძლევამოსილება, ჯარებისა და სპეცსამსახურების ჩათვლით, ეკონომიკას ეფუძნება და მსოფლიო ბიზნესის ცენტრზე დარტყმა სწორედ ამ მიზანდასახულებით განახორციელა. "ალ-ქაიდამ" კარგად გათვალა ისიც, რომ კაპიტალიზმისათვის პანიკა შეიძლება დამღუპველი იყოს, რომ ამ სისტემის საიმედოობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. იმაზე მეტ პანიკას, რაც მსოფლიო სავაჭრო ცენტრის მიწასთან გასწორებამ შექმნა, სხვა, ალბათ, ვერაფერი გამოიწვევდა. სწორედ პანიკის "დამსახურება" იყო გასული საუკუნის 30-იანი წლების ავადმოსაგონარი დიდი დეპრესია. მაშინ გაკოტრდა "ამერიკის ბანკი", რომელიც (სახელწოდების მიუხედავად) ქვეყნის ცენტრალურ ბანკს არ წარმოადგენდა, მაგრამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ ეს ფაქტი არ იცოდა; დაიწყო სხვა ბანკებიდან ფულის მასობრივი გატანა, რასაც ამ უკანასკნელთა გაკოტრება მოჰყვა...

ცხადია, "დიდმა დეპრესიამ" ჭკუა ასწავლა ეკონომისტებს და ამერიკა გაცილებით უფრო მომზადებული დახვდა "ალ-ქაიდას" ბოროტ სიურპრიზს. 30-იანი წლებისგან განსხვავებით, სახელმწიფო უმალ ჩაერია საქმეში და გვარიანი თანხები მიაშველა სხვადასხვა სფეროებს, რომლებიც ტერაქტებმა დააზარალა; პირველ რიგში კი -- ავიაკომპანიებს. თუმცა, უზარმაზარ ეკონომიკურ ზარალს აშშ და მთელი დანარჩენი მსოფლიო მაინც ვერ ასცდა. წაგება ნახა ტურისტულმა ბიზნესმაც, რადგან ჩვეულებრივი მოქალაქეები ტერაქტებმა გვარიანად დააშინეს. ისინი კარგა ხანს საკუთარი ქალაქებიდან ფეხის გადგმას ვერ ბედავდნენ. დაზარალდნენ სადაზღვევო კომპანიები, რომელთაც არნახული თანხების გაღება მოუხდათ. პანიკამ მოიცვა მომხმარებლები: გაურკვეველი მომავლის შიშით ყველა ერიდებოდა ფულის ხარჯვას, რის შედეგადაც, პრაქტიკულად, ბიზნესის ყველა სფერო დაზარალდა. ამ უკანასკნელმა ფაქტორმა, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას დაარტყა (იაპონია, ტაილანდი), რომლის მრეწველობაც, ძირითადად, ექსპორტზეა მიმართული და მთავარ მომხმარებელსაც სწორედ აშშ წარმოადგენს.

ასეთი ვითარება შეიქმნა მსოფლიო ეკონომიკაში 11 სექტემბრის შემდეგ და უნდა ითქვას, რომ ცივილიზებულმა სამყარომ საკმაოდ ღირსეულად გაართვა თავი პრობლემებს; მაგრამ საავიაციო სფერო უზარმაზარ წაგებებს, სამუშაო ადგილების შემცირებებსა და გაკოტრებებს მაინც ვერ გადაურჩა. ტერაქტების შემდეგ მთელი მსოფლიოს მასშტაბით სამუშაო დაკარგა 400 ათასმა ადამიანმა, აქედან 130 ათასი სწორედ ავიაციაში მსახურობდა: 100 ათასი ამერიკულ ავიაკომპანიებში, ხოლო 30 ათასი - ევროპულ ავიახაზებში. ამ უკანასკნელთა ზარალი ისეთი კატასტროფული არ იყო, როგორც ამერიკულებისა (ამერიკის საჰაერო სივრცე რამდენიმე დღით დაიხურა). თუმცა, ერთ კატასტროფას ევროპაც ვერ ასცდა – გაკოტრდა შვეიცარიელთა საამაყო კომპანია "სვისეარი." როგორც გაირკვა, ამ უკანასკნელს უხეირო მენეჯმენტის გამოისობით 11 სექტემბრამდეც სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა, მაგრამ რომ არა ტერაქტების კვალზე ავიასფეროში გამოწვეული არეულობა (მგზავრთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება, უსაფრთოების ახალ ზომებთან დაკავშირებული გაზრდილი ხარჯები და ა.შ.), შვეიცარული გიგანტი, ალბათ, გადარჩებოდა.

11 სექტემბრის შემდეგ ავიაკომპანიათა მუშაკების ხელფასებმა საშუალოდ 1,5 პროცენტით იკლო. მხოლოდ გასულ წელიწადს ავიასფერომ, დაახლოებით, 13 მილიარდი დოლარით იზარალა. წლევანდელ მონაცემებზე ჯერ საუბარი ადრეა. თუმცა, მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ ამერიკის ერთ-ერთმა უდიდესმა ავიაკომპანიამ, "იუნაიტედ ეარლაინზმა," მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 510 მილიონი დოლარი დაკარგა (ყოველდღიურად 5 მილიონ დოლარზე მეტს აგებდა). კომპანია გაკოტრების ზღვარზე დგას და მისი მომავალი მეტად ბუნდოვანია. სამაგიეროდ, გაირკვა კიდევ ერთი ამერიკული ავიაგიგანტის, "იუეს ეარვეიზის," ბედი. მან თავი გაკოტრებულად გამოაცხადა. ერთი მილიარდი დოლარი დაკარგა "დელტა ეარლაინზმა," კიდევ ერთმა ამერიკულმა ავიაკომპანიამ. დიდ ზარალს ნახულობს "ბრიტიშ ეარვეიზი." არც ე.წ. მესამე სამყაროა უკეთეს დღეში – "ტაი ეარვეიზსა" და "ფილიპინ ეარლაინზს" ორ-ორი მილიარდი დოლარის ოდენობის ვალი აქვთ. "ტრანსბრაზილმა" გაურკვეველი ვადით შეაჩერა რეისები...

ავიაკომპანიების გარდა დიდი ზარალი ნახეს ავიამწარმოებლებმა, განსაკუთრებით - "ბოინგმა." რაც შეეხება ევროპულ "ეარბასს," იგი შედარებით იოლად "გამოძვრა" და, ამერიკული კონკურენტისგან განსხვავებით, სამუშაო ადგილების შემცირება არ დაუწყია.

Salomon Smith Barney-ს ხელმძღვანელი პოსტიდან გაუშვეს

აშშ-ს უმსხვილესმა საფინანსო კორპორაციამ Citigroup-მა გააკეთა განცხადება მაიკლ კარპენტერის პოსტიდან გადაყენების შესახებ, რომელსაც მანამდე კორპორაციაში შემავალი საინვესტიციო ბანკის Salomon Smith Barney-ს ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა. საინვესტიციო ბანკის სახელმა ბოლო დროს არაერთ ფინანსურ სკანდალში გაიჟღერა.

როგორც Citigroup-ის გენერალურმა დირექტორმა სენფორდ უეილმა განაცხადა, Salomon-ის ახალ მმართველად დაინიშნება ბანკის ერთ-ერთი ქვედანაყოფის დირექტორი ჩარლზ პრინსი. კარპენტერი კი სათავეში ჩაუდგება გლობალურ ინვესტიციებზე მომუშავე ჯგუფს, რომელიც 100 მილიარდი აშშ დოლარის აქტივებს განაგებს.

ამჟამად კომპანიაში არსებულ ვითარებას სწავლობენ როგორც ფედერალური, ასევე ადგილობრივი მაკონტროლებელი სტრუქტურები, რამაც უკვე გამოიწვია კომპანიის აქციების კურსის შემცირება. კომპანიის კაპიტალიზაცია წლის დასაწყისიდან დღემდე 35 პროცენტით შემცირდა.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 4 - 11 სექტებრის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

	UK£	US$	€uro	¥en
UK£		0.6444	0.627	0.0054
US$	1.5517		0.9729	0.0084
€uro	1.5949	1.0278		0.0086
¥en	185.54	119.53	116.33	

2002 წლის 11 სექტემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

ევრო	1	2.1448 ლარი
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	1	3.4071 ლარი
შვეიცარიული ფრანკი	1	1.4703 ლარი
აშშ დოლარი	1	2.1850 ლარი
თურქული ლირა	1 000 000	1.3202 ლარი
იაპონური იენი.	10	0.1840 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0690 ლარი
აზერბაიჯანული მანათი	1 000	0.4452 ლარი
სომხური დრამი	100	0.3864 ლარი
უკრაინული გრივნა	10	4.1002 ლარი

ჰაინრიხ ფონ პირერი: "საქართველომ თავი მხოლოდ ამერიკელებს არ უნდა ჩაუგდოს ხელში"

ზვანცა კვინიკაძე

გერმანული კომპანია "სიმენსის" გამგეობის თავმჯდომარეს, ჰაინრიხ ფონ პირერს, საქართველოსთან უმნიშვნელოვანეს სფეროებში თანამშრომლობის გაფართოების მეტად ხელსაყრელი წინადადებებისა და "ოქროს საწმისის" ორდენის გარდა, საქართველოში ორდღიანი ვიზიტისას ნაკლებსასიამოვნო ამბებიც ელოდა. ოფიციალურად, დღემდე გაურკვეველია, კორპორაცია "ეი-ი-ესის" კუთვნილ თბილსრესის მეათე ენერგობლოკზე შარშან ზამთარში მომხდარი ავარიის ნამდვილი მიზეზები. "ეი-ი-ესის" მიერ დაქირავებული ექსპერტის დასკვნის თანახმად, ავარიის მიზეზი "სიმენსის" ფირმის მართვის სისტემის გაუმართაობა იყო, ხოლო ამერიკული კომპანიისთვის მიყენებულმა ზარალმა 70 მილიონი დოლარი შეადგინა. "სიმენსის" გამგეობის თავმჯდომარე ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს, რადგან, მისი განცხადებით, თხოვნის მიუხედავად, უშიშროების სამინისტროსა და "ეი-ი-ესს" საგამოძიებო დასკვნები მათთვის არავის მიუწოდებია. სახელმწიფო მინისტრთან გუშინ გამართულ შეხვედრაზე სპეციალური სამმხრივი კომისიის შექმნაზე შეთანხმდნენ, რომელიც საბოლოო დასკვნას შეიმუშავებს.

"სიმენსთან" საქართველოს მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს. ეს გერმანული კომპანია ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს - ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, მედიცინისა და ტრანსპორტის დარგებში ახორციელებს მრავალმილიონიან პროექტებს. გუშინ "სიმენსის" გამგეობის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, ამ სფეროებში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების გარდა, გერმანული კომპანიის ნავთობ და გაზსადენების პროექტებში ჩართვის წინადადებაც წამოაყენა. უფრო მეტიც, ჯორბენაძე ამ წინადადების გაცნობას აშშ-ს პრეზიდენტის თანაშემწისთვისაც აპირებს, რომელიც საქართველოს ვიზიტით მომავალ კვირას ეწვევა. ამ შეთავაზებას "სიმენსის" გამგეობის თავმჯდომარე ჰაინრიხ ფონ პირერი, ბუნებრივია, სიხარულით შეხვდა და განაცხადა, რომ "სიმენსს", რომელსაც აშშ-ში 80 ათასი თანამშრომელი და 20-მილიარდდოლარიანი კაპიტალბრუნვა აქვს, რეგიონალურ ენერგოპროექტებში ჩართვისთვის ამერიკელთა მხარდაჭერის მოპოვება არ გაუჭირდება. მისივე თქმით, ამ პროექტებში გერმანული კომპანიის მონაწილეობა საქართველოსთვისაც მეტად მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ეს ქვეყანაზე ამერიკული გავლენის განეიტრალებას შეუწყობს ხელს. **"ქვეყნებს შორის სამხედრო თანამშრომლობას, როგორც წესი, ძლიერი ქვეყნის მხრიდან ეკონომიკური ზეწოლა მოჰყვება ხოლმე, რაც საქართველოს გრძელვადიანი განვითარების გეგმებში, შესაძლოა, არ შედიოდეს. საქართველომ თავი მხოლოდ ამერიკელებს არ უნდა ჩაუგდოს ხელში",** - დასძინა პირერმა.

ედუარდ შევარდნაძე ჰაინრიხ ფონ პირერს "ოქროს საწმისის" ორდენს გადასცემს

ბექა გულუაშვილის ფოტო

ჯორბენაძემ "სიმენსს" სატელეკომუნიკაციო დერეფნის შექმნაში დახმარებაც სთხოვა და ამ მხრივ კომპანიის მიერ საქართველოში უკვე გაწეული სამუშაოები, რაც, უმთავრესად, "საქართველოს რკინიგზის" კუთვნილი ოპტიკურბოჭკოვანი კაბელის ჩადებას გულისხმობს, დადებითად შეაფასა. თუმცა, "სიმენსს" პრობლემები საქართველოს კავშირგაბმულობის ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანია "საქართველოს ტელეკომთან" ურთიერთობაში აღმოაჩნდა. პირერის განცხადებით, "ტელეკომს" "სიმენსისთვის" რამდენიმე წლის წინ გაცემული კრედიტის თანხიდან 1,4 მილიონი ევრო აქვს დასაბრუნებელი, რაც გერმანულ კომპანიას, რომლის საფინანსო წელიც ახლა იწურება, საკმაოდ აღელვებს. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილის გია კარბელაშვილის განცხადებით, საუბარია "სიმენსის" მიერ "საქართველოს ტელეკომისთვის" 1993 წელს გამოყოფილ 15 მილიონი მარკის ოდენობის კრედიტზე, რომლის დიდი ნაწილი "ტელეკომს" პირნათლად აქვს დაფარული. ავთანდილ ჯორბენაძე "სიმენსს" "ტელეკომთან" დაკავშირებული პრობლემის გარკვევას უახლოეს ერთ კვირაში დაჰპირდა.

"სიმენსის" გამგეობის თავმჯდომარის ვიზიტის უმნიშვნელოვანეს განსახილველ საკითხს მაინც "თბილსრესის" მეათე ენერგობლოკის ავარიის მიზეზების და, შესაბამისად, ამ ინციდენტზე პასუხისმგებელი მხარის გარკვევა წარმოადგენდა. ჰაინრიხ ფონ პირერის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მისმა კომპანიამ ავარიის შემდეგ გამოძიებისთვის და ენერგობლოკის რეაბილიტაციაში ყოველნაირი დახმარების გაწევის სურვილი გამოთქვა, უკვე ჩატარებული ექსპერტიზების დასკვნები "სიმენსს" დღემდე თვალითაც არ უნახავს. ავარიის გამომწვევი მიზეზების შესასწავლად სამი ექსპერტიზა ჩატარდა: სათბობ-ენერგეტიკისა და უშიშროების სამინისტროების და თავად "ეი-ი-ესის" დაქირავებული ექსპერტების მიერ. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას განცხადებით, მისი უწყების მიერ შედგენილი დასკვნა აბსოლუტურად საჯარო იყო, უშიშროების სამინისტროს დასკვნა გამოძიებას არ ექვემდებარებოდა, ხოლო ის, თუ რატომ არ მიეწოდა "ეი-ი-ესის" დასკვნა "სიმენსს", მისთვის უცნობია. "ეი-ი-ესის" ლობისტის ირაკლი მელაშვილის განცხადებით კი, ამერიკული კორპორაციის ექსპერტის მიერ მომზადებული დასკვნა, რომელშიც ავარიის ძირითად მიზეზად "სიმენსის" აპარატურის გაუმართაობაა დასახელებული, სახელმწიფოსთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, რამდენიმე, მათ შორის, სათბობ-ენერგეტიკისა და ქონების მართვის სამინისტროებს გადაეგზავნა. მელაშვილი არ ფლობს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რატომ არ მიაწოდეს ამ უწყებებმა "სიმენსს" ეს დასკვნები. უფრო მეტიც, მისთვის გაუგებარია, თუ რატომ არ მოხდა "სიმენსის" პრეზიდენტისა და "ეი-ი-ესის" წარმომადგენელთა შეხვედრა გერმანული კომპანიის წარმომადგენლობითი დელეგაციის ამჟამინდელი ვიზიტისას.

მირცხულავა, სამი დასკვნის არსებობის მიუხედავად, ავარიის გამომწვევ მიზეზებზე ვერ საუბრობს და აცხადებს, რომ გამოძიება კვლავაც გრძელდება. მისი თქმით, "ეი-ი-ესის" და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მიერ მომზადებულ ექსპერტულ შეფასებებში ბევრი რამ არის საერთო, თუმცა, საბოლოო დასკვნის გაკეთებისგან თავს იკავებს. მინისტრის ინფორმაციით, გერმანიის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (KfW), რომელიც "თბილსრესში" განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ძირითადი დონორია, შექმნილი სიტუაციის გამო შეშფოთებულია. ბანკი მზად არის, დააფინანსოს დამოუკიდებელი ექსპერტებით დაკომპლექტებული კომისიის მუშაობა, რათა ავარიის მიზეზები რეალურად დადგინდეს.

ახალი საგამოძიებო კომისიის შექმნაზე, ოღონდ სულ სხვა შემადგენლობით, გუშინ ავთანდილ ჯორბენაძეც საუბრობდა. "სიმენსის" პრეზიდენტს მან საქართველოს მთავრობის, "ეი-ი-ესისა" და "სიმენსის" წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამმხრივი კომისიის შექმნა შესთავაზა. "სიმენსი" ამ წინადადებამ გაახარა, ხოლო "ეი-ი-ესის" ლობისტი, კომისიაში ოფიციალური მიწვევის მიღებამდე, კომენტარისგან თავს იკავებს.

სამშენებლო ბიზნესი ახლებურად დაიბეგრება

სოფო კვინტრაძე

2002 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით, საქართველოში 74,3 მილიონი ლარის სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა. თუმცა, ეს მხოლოდ ოფიციალური მონაცემებია. როგორც ექსპერტები აცხადებენ, არალიცენზირებული მშენებლობების რიცხვი რამდენჯერმე აღემატება კანონიერ მშენებლობებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქვეყანაში არ არსებობს ეფექტური მექანიზმი უკანონო მშენებლობებთან საბრძოლველად.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ძველი თბილისის" წარმომადგენელი დათო მაღრაძე აცხადებს, რომ უკანონო მშენებლობების ხელშემწყობებად ის სახელმწიფო სტრუქტურები გვევლინებიან, რომელთაც, კანონის თანახმად, მათთან ბრძოლა ევალებათ. **"არსებობს ქალაქის საკრებულოს მიერ მიღებული რეგლამენტი მშენებლობების შესახებ, რომელიც სრულიად იგნორირებულია. მაგალითად, მიდის მშენებლობის შემკვეთი არქიტექტურის დეპარტამენტში, წარადგენს პროექტს და იღებს ნებართვას. როგორც წესი, პრობლემა არ არის, თუ პროექტი არღვევს იმ ნორმებს, რაც მიღებულია კანონის თანახმად. ამის ხელშემწყობები არიან ქალაქის მერია, მაკონტროლებელი ორგანოები, თავად პრეზიდენტი, რომელიც ამ აღებ-მიცემობას "ქვეყნის აღმშენებლობას" ეძახის. ასე რომ, ყველანი ერთად აკეთებენ "დიდ" საქმეს,"** – აცხადებს დათო მაღრაძე.

ქალაქის ისტორიულ ნაწილში მშენებლობის დასაწყებად კი, არქიტექტურის დეპარტამენტის ნებართვასთან ერთად, ძეგლთა დაცვის საზოგადოების დასტურიცაა საჭირო. თუმცა, როგორც დათო მაღრაძე მიიჩნევს, თბილისში უამრავი შენობა აშენდა ძეგლთა დაცვის ნებართვის გარეშე.

"მაგალითისთვის რამდენიმე შენობის დასახელებაც კმარა: სასტუმრო აბანოთუბანში, რომელიც პირდაპირ ერეკლეს აბანოებშია ჩაშენებული, ბოტანიკურ ბაღში უზარმაზარი შენობა, თარხნიშვილის ქუჩაზე სასტუმრო "საქართველოს" უკან მდებარე შენობა და ა.შ. მეტსაც გეტყვით, მტკვარი გაყიდეს კალაპოტიანად და ახლა იქ სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსს აშენებენ," - აცხადებს დათო მაღრაძე.

ძალზე გავრცელებულია აგრეთვე პრაქტიკა, როცა დოკუმენტაცია მშენებლობის კანონიერების შესახებ მშენებლობის დასრულების შემდეგ დგება.

გარდა იმისა, რომ უკანონო მშენებლობები არღვევს ქალაქის იერსახეს და ხშირად საფრთხეს უქმნის მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ შენობა-ნაგებობებს, არსებობს კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა, რაც გადასახადების დამალვასთან არის დაკავშირებული.

მშენებლობისა და ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველოს მონაცემები საქართველოში მიმდინარე მშენებლობების შესახებ მხოლოდ ლიცენზირებულ მშენებლობებს ასახავს. აღრიცხვის მექანიზმი საკმაოდ მარტივია – სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც კანონიერ საქმიანობას ეწევა, პერიოდულად ანგარიშს აწვდის სტატისტიკის სამმართველოს მის მიერ წარმოებული სამუშაოების მოცულობის შესახებ. მაგრამ, როგორც გაირკვა, ამ პროცედურის ჩატარება ბევრს, უბრალოდ, ეზარება და, შესაბამისად, არც ანგარიშის წარდგენით იწუხებს თავს. გარდა ამისა, სტატისტიკის სამმართველოს უფროსის გურანდა სანადირაძის განცხადებით, ის მონაცემებიც კი, რომელიც წარმოდგენილია სამშენებლო ორგანიზაციების მიერ, არ შეესაბამება სინამდვილეს.

"სამშენებლო კომპანიები ცდილობენ, დამალონ ზუსტი რაოდენობა იმ ხარჯებისა, რაც მათ მიერ იქნა გაწეული ამა თუ იმ მშენებლობის შესასრულებლად. ცხადია, ეს კეთდება გადასახადების თავიდან აცილების მიზნით. რა მონაცემებსაც წარადგენენ საგადასახადო დეპარტამენტში, იმავეს მოიტანენ სტატისტიკაშიც, ანუ როგორც იტყუებიან საგადასახადოში, ისევე იტყუებიან ჩვენთანაც. ამიტომ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი ლარის სამშენებლო სამუშაოები შესრულდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სრულიად განსხვავდება რეალობისაგან," - ამბობს გურანდა სანადირაძე.

გადასახადების დამალვის მიზნით ორმაგი ბუღალტერიის წარმოება საქართველოში საკმაოდ გავრცელებული მეთოდია. საგადასახადო დეპარტამენტის გადამხდელთა დაბეგვრის პროგრამებისა და მეთოდების სამმართველოს უფროსი დავით ბუღაძე გადასახადების დამალვის სხვა მეთოდებზეც საუბრობს:

"ვთქვათ, ორი ადამიანი იწყებს მშენებლობას, ამბობენ, რომ თავისთვის იშენებენ სახლს, მაგრამ სინამდვილეში სხვას უშენებენ, ანუ ჩვეულებრივ კომერციულ მომსახურებას ეწევიან. მშენებლობის დასრულების შემდეგ კი ახდენენ სახლის ინდივიდუალურ გადაყიდვას".

სტატისტიკის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ მათ მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქცია არ გააჩნიათ, აქედან გამომდინარე, დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ღონისძიებები მხოლოდ აღწერით ხასიათს ატარებს. ამჟამად "ტასისის" დაფინანსებით, მშენებლობისა და ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო ახორციელებს პროექტს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობების აღრიცხვას ისახავს მიზნად. პროექტი მოიცავს შემდეგ ქალაქებს: თბილისს, რუსთავს, გორს, ბათუმს, ფოთს, ზუგდიდსა და მცხეთას; საკურორტო ზონებს: ბორჯომს, მანგლისს, ქობულეთსა და ანაკლიას. სტატისტიკის დეპარტამენტის ინტერვიუერები აღნიშნულ ქალაქებსა და რაიონებში აღრიცხავენ ყველა მიმდინარე მშენებლობას და შეავსებენ ანკეტებს, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია მშენებლობის შესახებ, მათ შორის, მშენებლობის ლიცენზირების თაობაზეც. გურანდა სანადირაძე აცხადებს, რომ ამ პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს სტატისტიკის დეპარტამენტს, სრული ინფორმაცია მოაგროვოს საქართველოში მიმდინარე მშენებლობების შესახებ.

უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ საგადასახადო დეპარტამენტიც იწყებს ბრძოლას. ამ უწყების თავმჯდომარის მოადგილე ზაზა ქობულაშვილი ახალ საგადასახადო სისტემაზე საუბრობს, რომელიც ე.წ. ფიქსირებული გადასახადის შემოღებას გულისხმობს.

"ნებისმიერ მშენებლობაზე, იქნება ეს კომერციული ხასიათის თუ კერძო, დაწესდება ფიქსირებული გადასახადი, რომელიც განისაზღვრება სამშენებლო ტერიტორიის ფართობით. ანუ გადასახადი დაითვლება კვადრატული მეტრებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მეთოდი გაამარტივებს საგადასახადო პროცედურას და, გარდა ამისა, გადასახადების დამალვის შესაძლებლობას მინიმუმამდე შეამცირებს," – განაცხადა ზაზა ქობულაშვილმა.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მათთვის უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი მექანიზმი საზოგადოებრივი აზრია. რაც შეეხებათ სახელმწიფო სტრუქტურებს, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ ბრძოლა, ისინი რეფორმების გატარების იმედზე არიან.

ყაზბეგის გამზირზე მოსახლეობა უკანონო მშენებლობას აპროტესტებს

სოფო კვინტრაძე

"მიწის ეს ნაკვეთი 100 000 დოლარად გაიყიდა. ამ მშენებლობით ყველა სახელმწიფო უწყებაა დაინტერესებული, მათ შორის არქიტექტურის დეპარტამენტიც," *– აცხადებენ ყაზბეგის გამზირის N34ა-ს მაცხოვრებლები, რომლებმაც ვერც თბილისის მერიაში, ვერც არქიტექტურის სამმართველოში და ვერც არქმშენინსპექციაში თავიანთი სიმართლის დამტკიცება ვერ შეძლეს. მათი კორპუსის წინ, ოფიციალური მონაცემებით, ოთხსართულიანი, ხოლო რეალური გათვლებით, მინიმუმ, ექვსსართულიანი სახლი შენდება, რომლის სიმაღლე 17 მეტრი იქნება. მშენებარე სახლი კორპუსისგან რვა მეტრით არის დაშორებული, რაც სამშენებლო სტანდარტის დარღვევაა. არქიტექტურის სამმართველოს მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, დაშორება ორ მაღალსართულიან სახლს შორის ათი მეტრი მაინც უნდა იყოს. თუ აღნიშნული სახლი აშენდა, 34ა კორპუსის მაცხოვრებლები, მეშვიდე სართულის ჩათვლით, მზეს ვეღარასოდეს დაინახავენ. ერთადერთი, რისი ხილვაც მათ შეეძლებათ, სახლის უფანჯრო, ყრუ კედელი იქნება. თუმცა, ოფიციალურ პირებს, ვინც აღნიშნულ სახლს აშენებს ან ვინც მშენებლობის ნებართვა გასცა, კორპუსის მაცხოვრებლების პრობლემები ნაკლებად აღელვებთ.*

ტერიტორია, რომლის ფართობი ათ ჰექტარზე მეტია და ამჟამად არაერთი მშენებლობა მიმდინარეობს, საშენ მასალათა კომბინატს ეკუთვნოდა. 1995 წელს კომბინატის პრივატიზაცია მოხდა, შეიქმნა სააქციო საზოგადოება "დელისი", რომლის აქციების 51 პროცენტი სახელმწიფოს დარჩა, დანარჩენი კი კომბინატის ხელმძღვანელობამ მიზერულ თანხად შეისყიდა. 1999 წელს აღნიშნული ტერიტორია ყოველგვარი ნაგებობისაგან გაათავისუფლეს. ასე აღმოჩნდა "დელისის" მფლობელობაში ათი ჰექტარი ფართობის ტერიტორია, სადაც ამჟამად შენდება, როგორც მრავალსართულიანი საცხოვრებელი, ასევე კერძო ოთხსართულიანი სახლები და ეკლესია, რომელსაც საპატრიარქო აშენებს. მოსახლეობა აცხადებს, რომ ტერიტორია ნაკვეთებად იყიდება. 2000 წელს, სააქციო საზოგადოება "დელისის" დაკვეთით, შპს "უნიგრაფმა" აღნიშნული ტერიტორიის გენერალური გეგმა შეადგინა. გეგმის თანახმად, იმ ადგილას, სადაც ახლა სახლს აშენებენ, სპორტული მოედნები უნდა განთავსებულიყო. გენერალური გეგმის უშუალო ავტორი, არქიტექტორი ვალერი ბახტაძე აცხადებს, რომ მის მიერ შედგენილი გეგმა დაირღვა. თუმცა, ტერიტორია კერძო საკუთრებაშია და "დელისის" მესვეურები იმას აშენებენ, რაც სურთ. მოსახლეობა კი აცხადებს, რომ ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა ირაკლი ლოლაშვილმა უკანონოდ გასცა ნებართვა სახლის მშენებლობაზე იქ, სადაც, გენერალური გეგმის თანახმად, სპორტული მოედანი უნდა ყოფილიყო.

მოსახლეობის მოთხოვნით, არქიტექტურის დეპარტამენტში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც აღნიშნული მშენებლობის კანონიერების დადგენა დაევალა. გუშინ ადგილზე მისულმა კომისიის წევრებმა, მოსახლეობასთან ერთად, გაზომეს მანძილი მშენებარე სახლსა და კორპუსს შორის და დარღვევაც აღმოაჩინეს. თუმცა, არქიტექტურის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა პასუხისმგებლობის თავიდან აცილების ნაცად მეთოდს მიმართეს და საბოლოო დასკვნის გამოტანა არქმშენინსპექციის პრეროგატივად გამოაცხადეს.

ქალაქის არქმშენინსპექციის წარმომადგენლებმა კი, რომლებმაც ცალკე დაათვალიერეს მშენებლობის მიმდებარე ტერიტორია, განაცხადეს, რომ არანაირ დარღვევას ადგილი არა აქვს და მშენებლობა პროექტის მიხედვით მიმდინარეობს. პროექტი კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალაქის მთავარი არქიტექტორის ირაკლი ლოლაშვილის მიერაა დამტკიცებული.

მოსახლეობა აცხადებს, რომ თუ არქიტექტურის სამმართველო მშენებლობის დაუყოვნებლივ შეჩერების გადაწყვეტილებას არ გამოიტანს, ისინი სასამართლოში შეიტანენ სარჩელს.

პანკისი კვაშნინის ბრძანებით დაიბომბა - „ნოვაია გაზეტა" ხელს რუსეთის გენშტაბის უფროსს ადებს

პირველი გვერდიდან

გრომოვის მიერ ოფიცრებთან ჩაწერილ ინტერვიუს მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ.

- შეიძლება ეს პროვოკაცია ყოფილიყო და იგი მზაკვარმა იმპერიალისტებმა განახორციელეს? ზოგიერთი სამხედრო პატრიოტი ხომ ამბობს, რომ შევარდნაძეს საქართველოს თითქმის ყველა სამხედრო აეროდრომის ნატო-ს ავიაციისათვის გადაცემა სურს. სწორედ ამ პროცესის დასაჩქარებლად დაფრინავენ პანკისის ხეობის თავზე შეერთებული შტატების ან თურქეთის თვითმფრინავები. აწარმოებენ დაზვერვას, ემზადებიან ახალ ბაზებზე გადასანაცვლებლად. . .

- მზვერავი თვითმფრინავები წყნარად დაფრინავენ, როგორც იტყვიან, დიდი ხმაურის გარეშე. მათ არ შეუძლიათ, დაბომბვითი მოიერიშე დარტყმების მიყენება. გარდა ამისა, ნატო-ს ნებისმიერ თვითმფრინავს დსთ-ს საზღვრებთან გამოჩენისთანავე დააფიქსირებდა ჩვენი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები. ამიერკავკასიაში ჩვენ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მძლავრი საშუალებები დაგვრჩა. მაგალითად, სომხეთში, თურქეთის საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრში (გიუმრის რაიონში) მორიგეობს 988-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი. ერევნის მახლობლად განლაგებულია ჩვენი 426-ე საავიაციო ჯგუფი. იგი შეიარაღებულია არა მარტო "მიგ-29" ტიპის გამანადგურებლებით, არამედ თანამედროვე რადარებითაც.

- საგარეო საზღვრების ამბავი თითქოს გავარკვიეთ. მაგრამ თუ თვითმფრინავები დსთ-ს აეროდრომებიდან აფრინდნენ? ვთქვათ, აფხაზეთიდან. . .

-მათ მაინც შეამჩნევდნენ 42-ე გვარდიული საზენიტო-სარაკეტო ბრიგადის რადარები. ისინი აკონტროლებენ საჰაერო სივრცეს კრასნოდარიდან სოხუმამდე. გარდა ამისა, აფხაზებს, ვერტმფრენების გარდა, მხოლოდ ორი "სუ-25" ჰყავთ. ეუთო-ს დამკვირვებლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით კი, მთიანი თუშეთი რვა თვითმფრინავმა დაბომბა. მათ ილტოს ხეობაში ათზე მეტი ბომბი ჩამოყარეს. . .

ანატოლი კვაშნინი

-აფხაზებს ცოტა თვითმფრინავი ჰყავთ, სამხრეთ ოსეთს ისინი საერთოდ არ გააჩნია. ამგვარი საომარი შესაძლებლობები არც აზერბაიჯანის ავიაციას უნდა ჰქონდეს. ამიტომაც მეზობლები გამოვრიცხოთ. სამაგიეროდ, საქართველოს ჰყავს "სუ-25" ტიპის მოიერიშე თვითმფრინავები. მათ ადრე დიდი რაოდენობით უშვებდნენ დიმიტროვის სახელობის ქარხანაში, რომელსაც ახლა "თბილავიამშენი" ეწოდება. ამბობენ, რომ სწორედ მისი აეროდრომიდან აფრინდა მოიერიშე თვითმფრინავი საბორტო ნომრით 32 და გადაღებილი რუსული სიმბოლიკით, რომელსაც საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ლეიტენანტი გიორგი რუსტელი მართავდა.

- სერიოზული სამხედრო ექსპერტებიდან არავის სჯერა ლეგენდა ქართველი მფრინავის – ვეფხისტყაოსანი რუსტელი-რუსთაველის შესახებ. ჩვენ მშვენივრად ვიცნობთ ყველა იქაურ პილოტს. თითოეულზე დოსიე არსებობს. ეს ან ამის მსგავსი გვარი იქ არავის აქვს: არც მფრინავებს, არც მათ ცოლებს და არც ნათესავებს. არც მოიერიშე თვითმფრინავის გადაღებვა იქნებოდა საჭირო. იგი სპეცდავალებაზე ხომ დილის 4.20 საათზე გაფრინდა. მთებში ამ დროს ბნელა, ასე რომ, მაინც ვერ აღმოაჩენდნენ ვერავითარ სიმბოლიკას.

-ესე იგი, ეს რომ ქართული "სუ-25"-ები ყოფილიყო, მაშინვე შევძლებდით უეჭველი დოკუმენტური სამხილების წარმოდგენას?

-რასაკვირველია. ხომ არსებობს ობიექტური კონტროლის ტექნიკური საშუალებები – და არა მხოლოდ კოსმოსური და საჰაერო. იმ რაიონში ყველაფერს მძლავრი რადიოსალოკაციო სადგური აკონტროლებს, რომლის ოფიციალური სახელწოდებაც ზელენჩუკის რადიოტექნიკური კვანძია.

-და მაინც, კონკრეტულად ვინ დაბომბა საქართველო? იმ რაიონში ხომ სტრატეგიული ავიაციაც, ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის მფრინავებიც და მესაზღვრეების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანგებო ვითარებების სამინისტროს ავიაციებიც მოქმედებენ. ბოლო ხანს კი საკუთარი საავიაციო ქვედანაყოფები გაუჩნდა ფედერალური დაზვერვის სამსახურსაც. . .

-ფედერალურ დაზვერვას, საგანგებო ვითარებების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მესაზღვრეებს მხოლოდ ვერტმფრენები და სატრანსპორტო თვითმფრინავები ჰყავთ. ამიტომაც შეგვიძლია, ისინი გამოვრიცხოთ. ჩვენი სტრატეგიული ავიაციაც, ავღანეთის შემდეგ, სერიოზულად აღარ ამუშავებულა. არაფერ შუაშია ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის 386-ე მოიერიშე ავიაპოლკი, რომელიც ბუდიონოვსკშია განლაგებული. მათ შეიარაღებაში მხოლოდ ძველი, არამოდერნიზებული "სუ-25"-ები, მეტსახელად "გრაჩები" ჰყავთ. ეს თვითმფრინავი ყველაფრით კარგია, განსაკუთრებით შეიარაღებით. მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს: ძველი "გრაჩი" იერიშზე მხოლოდ დღისით მიდის. მფრინავი მხოლოდ იმ სამიზნეებს ბომბავს, რომლებსაც თვალით ხედავს. "სუ-25"-ებს არ გააჩნიათ სპეციალური სალოკაციო აღჭურვილობა, რათა ე. წ. ბინდის ეფექტი გადალახონ. მაგრამ მოზდოკში ამას წინათ გადაისროლეს მოდერნიზებული თვითმფრინავები "სუ-25ტ". მათ წელიწადში ათი ცალის რაოდენობით აწარმოებს ულან-უდეს საავიაციო ქარხანა. მათზე დაყენებულია სადღეღამისო ავტომატური სამიზნე კომპლექსი "შკვალი", მართვადი შეიარაღებით, რომლის სახელწოდებაც "ვიხრია". ეს უახლესი სისტემა მოძრავი სამიზნეების – ტანკის ან მანქანის – ამოცნობას, ავტომატურ დევნასა და განადგურებას 0,8-0,9 ალბათობით უზრუნველყოფს. ახალ, მოდერნიზებულ "გრაჩს" ღამითაც კი შეუძლია კორექტირებული "კაბ-500OKP" ავიაბომბებისა და "X-25" რაკეტების გამოყენება, რომლებსაც ლაზერული თვითდამიზნების ქობინები გააჩნიათ.

-ვის შეეძლო ამგვარი სპეცოპერაციის განხორციელების ბრძანების გაცემა? მეთაურს მოზდოკში თუ სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალს ჩორნაია რეჩკაზე?

-უფრო მაღლა დაუმიზნეთ. ესკადრილიის ან თუნდაც ავიაპოლკის მეთაური არასოდეს აიღებს ამხელა პასუხისმგებლობას. ამგვარ გადაწყვეტილებას ვერც გამბედავი ვაჟკაცი, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი მიხაილოვი მიიღებდა. არბატის მოედანზე უკვე დიდი ხანია, საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ რუსეთის გმირის წოდების მიღებას გენშტაბის უფროსი კვაშნინი აპირებს. რეალურად იგი ხელმძღვანელობს ყველა საომარ მოქმედებას კავკასიაში. მას ყველაზე სარისკო, ავანტიურული, მაგრამ, იმავდროულად, შესამჩნევი ოპერაციების შესახებ ბრძანებების გაცემა ახასიათებს. ადრე ეს კოსოვოში მედესანტეების გადასროლა იყო, ახლა კი საქართველოს დაბომბვაა.

9/11 - ერთი წლის შემდეგ

11 სექტემბრის შემდეგ, 70 ქვეყანაში სპეცსამსახურებმა 1500-ზე მეტი ადამიანი დააპატიმრეს და კვალში ჩაუდგნენ "ალ-ქაიდას" და "თალიბების" ტერორისტულ ქსელში მონაწილე ბევრ ექჭვმიტანილს. 11 სექტემბრის ტერაქტში მონაწილეობის ბრალდება წაყენებული აქვს 2 პიროვნებას, ხოლო "ალ-ქაიდას" 31 უმაღლესი ლიდერიდან, 12 სავარაუდოდ მოკლულია ან დატყვევებული.

შეერთებული შტატები

① **დაკავებულები:**
1100-ზე მეტი ადამიანი, უმეტესად მუსლიმები, დაკავებულები არიან საიმიგრაციო კანონის დარღვევისათვის, ვიდრე იუსტიციის დეპარტამენტი დაადგენს - არიან თუ არა ისინი ტერორისტები. 350-ზე მეტი პიროვნება დეპორტირებულა საიდუმლო მოსმენების შემდეგ. 74 კვლავ ძიების ქვეშ იმყოფება ან ელიან დეპორტაციას.



ზაქარიას მუსაუი: ერთადერთი პიროვნება, რომელსაც ბრალი აქვს წაყენებული ოსამა ბინ ლადენთან კონსპირაციულ კავშირში და 11 სექტემბრის ტერაქტის განხორციელებაში. მუსაუი, 34 წლის, საფრანგეთის მოქალაქე, წარმოშობით მაროკოდან, ცხოვრობდა ლონდონში, სადაც ის დადიოდა რადიკალურ ფინსბერის პარკის მეჩეთში. მისი სასამართლო პროცესი დაიწყება 2003 წლის იანვარში.

ხოსე პადილა:
დაბადებული ბრუკლინში, 31 წლის, მიიღო სახელი აბდულა ალ-მუჰაჯირი. მაისში დააპატიმრეს ჩიკაგოში. პადილა უშუალოდ მონაწილეობდა "ალ-ქაიდას" დაგეგმილ ტერაქტში, რომლის დროსაც აშშ-ს ერთ-ერთ ქალაქში რადიოაქტიური ბომბი უნდა აეფეთქებინათ.

გერმანია

② **"ალ-ქაიდას" შტაბ-ბინა:**
"ალ-ქაიდას" ევროპული ოპერაციების ცენტრი. 11 სექტემბრის ტერაქტი დაიგეგმა და მომზადდა ჰამბურგში – მოჰამედ ატტას ბაზაზე, რომელიც ამ ტერაქტის ერთ-ერთი ლიდერია.

მუნირ ელ მოთასადექი: 28 წლის, მაროკოს მოქალაქე, ატტასთან ინტენსიური კონტაქტების ქონის ბრალდებით ნოემბერში დააკავეს ჰამბურგში. ელ მოთასადექი პირველია, ვინც 11 სექტემბრის ტერაქტში მონაწილეობის ბრალდებით ევროპაში გასამართლდება.

მოჰამედ ჰაიდარ ზამარი: 41 წლის, "ალ-ქაიდას" უფროსი ოპერატიული მუშაკი, უზრუნველყოფდა ზურგის სამუშაოებს თვითმფრინავის გამტაცებლებისათვის.



11 სექტემბერი: 3000 ადამიანზე მეტი დაიღუპა, ნიუ-იორკში მსოფლიოს სავაჭრო ცენტრზე ორი თვითმფრინავის, ვაშინგტონში პენტაგონზე ერთი თვითმფრინავის შეჯახების, ხოლო მეოთხე თვითმფრინავის პენსილვანიაში ჩამოგდების დროს.

კუბა: გუანტანამოს ყურეში სამხედრო ბაზაზე დაკავებულ ტერორისტთა რაოდენობამ 598-ს მიაღწია. მათგან ერთი მესამედი საუდის არაბეთის მოქალაქეები არიან.

ავღანეთი:ჩამოვარდა 18 000-ზე მეტი ბომბი. დაღუპულ მოქალაქეთა რიცხვი 3700-დან 5000-მდე მერყეობს.

ბრიტანეთი

③ დაკავებულია 150-ზე მეტი ადამიანი. მათგან - 46 ტერორიზმის აქტის ბრალდებით. საბრალდებო დასკვნა ჯერ წაყენებული არ აქვთ.

აბუ ქატადა: ევროპაში ალ-ქაიდას სულიერი ლიდერი. ლონდონის ბინიდან გაუჩინარდა ნოემბერში. 40 წლის ასაკში მიუსაჯეს პატიმრობა იორდანიაში აშშ-ის ტურისტების აფეთქების დაგეგმვის გამო.

რიჩარდ რეიდი: ბრიტანელი მოქალაქე, დეკემბერში დააპატიმრეს ბოსტონში თვითმფრინავის აფეთქების მცდელობის ბრალდებით. ბომბი ფეხსაცმე-ლებში ჰქონდა შენახული. რეიდი, 28 წლის, დადიოდა იმავე მეჩეთში, სადაც მუსაუი.



აბუ ჰამზა ალ-მასრი: ცალთვალა, ფინსბერის პარკის მეჩეთის იმამი. დაბადებულია ეგვიპტეში, 44 წლის, იძებნება იემენში რამდენიმე აფეთქების მოწყობის და ფატალური გატაცებების ბრალდებით.

ლოტფი რაისი: ალჟირელი პილოტი. დააკავეს ხუთი თვით. ეჭვი ჰქონდათ, რომ წვრთნიდა 11 სექტემბრის ტერაქტში მონაწილე თვითმფრინავის გამტაცებლებს. რაისი, 27 წლის, გაათავისუფლეს აპრილში, მას შემდეგ, რაც მოსამართლემ მოუხსნა ყველა ბრალდება და უარი თქვა აშშ-თვის მის გადაცემაზე.



სირია:
დამტკიცებულია, რომ დამასკოს აეროპორტს "ალ-ქაიდას" ტერორისტები იყენებდნენ ტრანზიტად პაკისტანიდან ახლო აღმოსავლეთსა და ბალკანეთში გადასასვლელად.

იტალია: დაკავებულია 30 ადამიანზე მეტი. მათგან რომში აშშ-ის საელჩოსთან. ექვსი ციანიდის აფეთქებაშია ბრალდებული. დანარჩენები ეჭვმიტანილნი არიან "ალ-ქაიდას" მილანის ბაზასთან კავშირში.

საფრანგეთი

④ **ფეხსაცმელში ჩადებული ბომბების საქმე:**
ივნისში ანტიტერორისტულმა პოლიციამ რიჩარდ რეიდისათვის ასაფეთქებელი ბომბების მიწოდების ბრალდებით დააპატიმრა პაკისტანელი და ჩრდ. აფრიკელი ხუთი პიროვნება, რომელმაც ბომბი ფეხსაცმელში ჩაიმაგრა.

ქამელ დაუდი: წაყენებული აქვს ბრალდება ტერაქტების დაგეგმვისათვის. დაუდი, 23 წლის, კომპიუტერის სპეციალისტი, გეგმავდა ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ვერტმფრენის დაჯახებას აშშ-ს საელჩოზე პარიზში.

⑤⑥⑦ აგვისტო - ჰავრის - საფრანგეთი, ანტვერპენის-ბელგია, და როტერდამის-ჰოლანდია, პორტებში აღმოაჩინეს მასობრივი განადგურების იარაღის კონტეინერები, რომლებიც განკუთვნილი იყო აშშ-თვის.

SPAIN

⑧ **კავშირები 11 სექტემბერთან:**
ნოემბრის შემდეგ ესპანეთის პოლიციამ მოჰამედ ატტასთან კავშირის ბრალდებით 24 პიროვნება დააპატიმრა. ეჭვმიტანილთა დიდი ნაწილი - სირიელი მოქალაქეები დაკავშირებულნი იყვნენ 11 სექტემბრის ტერაქტის ორგანიზატორებთან.

ბალკანეთი

⑨ **საწვრთნელი ბანაკები:**
"ალქაიდას" ახალი ბანაკები დაფუძნდა ბოსნიაში, კოსოვოში, მაკედონიასა და ალბანეთში.

ამან ალზავაჰირი: აკონტროლებს "ალქაიდას" ფინანსურ რესურსებს და საბრძოლო ოპერაციებს. ეგვიპტელი ქირურგი ზავაჰირი, 51 წლის, უშუალოდ აფინანსებს ტერორისტთა საწვრთნელ ბანაკებს კოსოვოსა და მაკედონიაში.

მაროკო

⑩ **გემებზე თავდასხმა:**
"ალ-ქაიდას" სამი საუდელი წევრი – ჰილალ ალისირი (სურათზე), ზუჰერ ალ-თბაითი და აბდულა ბალ-გამდი – დააპატიმრეს მაისში. ბრალად ედებათ გიბრალტარის სრუტეში ასაფეთქებლებით დატვირთული გემის შეჯახების მცდელობა აშშ-ის და ბრიტანეთის სამხედრო ხომალდებზე.

კატარი

⑪ **ალ უდაიდი – აშშ-ის ბაზა:**
მას შემდეგ, რაც აშშ-მა დაკარგა საუდის არაბეთში პრინც სულტანის სამხედრო-საჰაერო ბაზა, ვაშინგტონმა გააძლიერა ალ-უდაიდის სამხედრო-საჰაერო ბაზა, რომელიც მოკავშირეთა 1500 კაციანი შტაბისათვის ახალ ოპერატიულ ცენტრად გადაიქცა.

საუდის არაბეთი

⑫ **აშშ-ის რისხვა:** ოსამა ბინ-ლადენის სამშობლო. თვითმფრინავების 19 გამტაცებლიდან 15 საუდელი იყო.

აშშ-ის ურთიერთოებები მის ძირითად მოკავშირესთან შეირყა, მას შემდეგ, რაც გაჟონა პენტაგონის საიდუმლო მოხსენებამ, რომელშიც საუდის არაბეთი მტრად იყო მოხსენიებული და მისი ნავთობის ჭაბურღილების და ქონების დაკავების რეკომენდაციას იძლეოდა.

11 სექტემბერს დაღუპულთა ოჯახებმა ახლახან საუდის არაბეთს $116 ტრილიონის გადახდა მოთხოვეს, რამაც ანტიამერიკული განწყობა გააძლიერა. საუდის არაბეთმა აშშ-ს 6 000 ჯარისკაცის გაყვანა მოითხოვა.

სამხრეთ აზია

⑬ **პაკისტანი:** "ალქაიდას" ადანაშაულებს ამერიკელთა და სხვა უცხოელი მოქალაქეების აფეთქებებში. აჰმად ომარ საიიდ შეიხი: ბრიტანეთში დაბადებული მუსლიმი მებრძოლი, ბრალი წაუყენეს და სიკვდილი მიუსაჯეს ივლისში ამერიკელი ჟურნალისტის დანიელ პერლის გატაცებისა და მკვლელობისათვის.

ინდოეთის პოლიციამ შეიხ ომარს ბრალი დასდო 11 სექტემბრის ტერაქტში მონაწილეობისათვის. მათი ინფორმაციით, შეიხ ომარმა მოჰამედ ატტას $ 100 000 გადაურიცხა

⑭ **ფილიპინები:** ივლისი - აშშ-ის არმიამ დატოვა ქვეყანა, მას შემდეგ რაც 6 თვის განმავლობაში გაწვრთნეს და აღჭურვეს ფილიპინების არმია, "ალქაიდას" პარტნიორ ორგა-ნიზაცია "აბუსაიაფის" წი-ნააღმდეგ ბრძოლისათვის.

⑮ **ინდონეზია**: "ალქაიდას" ქსელის ხელმძღვანელად სამხრეთ აზიაში მოიაზრება ინდონეზიელი სასულიერო პირი აბუ ბაქარ ბაშირი, რომელმაც ტერორისტთა საწვრთნელი ბაზა ავღანეთიდან ინდონეზიაში გადაიტანა.



აბუ ბაქარ ბაშირი: უწოდებენ აზიელ ოსამა ბინ ლადენს. ბაშირი, 63 წლის, სინგაპურის ხელისუფლება და აშშ ბრალად უყენებს "ალ-ქაიდასთან" და ტერორისტულ ორგანიზაცია "ჯამმაა ისლამიასთან" კავშირს. ეს უკანასკნელი არის რადიკალური დაჯგუფება, რომელიც იბრძვის პანრეგიონალური ისლამური სახელმწიფოს შესაქმნელად მალაიზიაში, სინგაპურში, ინდონეზიასა და ფილიპინებზე. ბაშირი ბრალდებას უარყოფს.

Pictures: Associated Press, AFP
Sources: U.S. Justice Department, Library of Congress, University of New Hampshire, UK Home Office, Debka, UPI, Reuters, Novosti
© GRAPHIC NEWS

2002 წლის 11 სექტემბერი - ტრაგედიის წლისთავი ამერიკაში

დღეს, ადგილობრივი დროით 8 საათსა და 46 წუთზე, მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე პირველი თვითმფრინავის შეჯახებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ნიუ იორკში ტრაგედიის ადგილზე შეკრებილი ხალხი წუთიერი დუმილით პატივს მიაგებს დაღუპულთა ხსოვნას. ამის შემდეგ ნიუ იორკის გუბერნატორი ბლუმბერგი შეკრებილი ხალხის წინაშე საზეიმოდ წაიკითხავს ნაწყვეტებს აბრაამ ლინკოლნის "გეტისბერგის მიმართვიდან" და ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან. შემდეგ ნიუ იორკის ყოფილი მერი რუდოლფ ჯულიანი გასული წლის 11 სექტემბერს დაღუპული 2 801 ადამიანის სახელებისა და გვარების ამოკითხვას შეუდგება.

9 საათსა და 3 წუთზე, როდესაც ერთი წლის წინათ მეორე თვითმფრინავი შეეჯახა ცათამბჯენს, დაღუპულთა სიის კითხვა დროებით შეჩერდება და შეკრებილი ხალხი კიდევ ერთხელ შეასრულებს წუთიერი დუმილის რიტუალს.

10 საათსა და 30 წუთზე წუთიერი დუმილით აღნიშნავენ მეორე ცათამბჯენის ჩამონგრევის წამსაც.

რუდოლფ ჯულიანისთან ერთად ტერორისტული თავდასხმის მსხვერპლთა გვარებსა და სახელებს წაიკითხავს 197 კაცი, რომელთაგან უმეტესობა ტერაქტის მსხვერპლთა ახლობელი და ნათესავია.

ხსოვნის ცერემონიას ტრაგედიის ადგილზე დაესწრებიან სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი, მსახიობი რობერტ დე ნირო და სენატორი ჰილარი კლინტონი. უცხოელი ლიდერებიდან ნიუ იორკში ჩავლენ ავღანეთისა და პაკისტანის პრეზიდენტები: ჰამიდ ქარზაი და პერვეზ მუშარაფი.

ოთხშაბათს პრეზიდენტი ბუში ტრაგედიის ყველა ადგილს მოინახულებს – პენტაგონს, სამხრეთ პენსილვანიას და, ბოლოს, ნიუ იორკის ტყუპი ცათამბჯენების ტერიტორიას, სადაც ერთი წლის წინათ მსოფლიო სავაჭრო ცენტრი იდგა.

პრეზიდენტმა 11 სექტემბერს დაღუპულთა ხსოვნის კვირეული დაიწყო ორშაბათს ღამით, კენედის სახელობის ხელოვნების ცენტრში კონცერტის ჩაწერაზე დასწრებით. ამ კონცერტს ტელეკომპანია "ენ-ბი-სი" 11 სექტემბერს გადასცემს.

შეერთებული შტატების მთავრობამ 11 სექტემბრისათვის უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები შეიმუშავა. ნიუ იორკის, ვაშინგტონის და სხვა დიდი ქალაქების თავზე მუდმივად იფრენენ სამხედრო გამანადგურებლები, ხოლო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მობილური საშუალებები პენტაგონისა და სხვა სტრატეგიული ცენტრების მახლობლად იქნება განლაგებული. სახელმწიფო დეპარტამენტმა სპეციალური კომუნიკეთი გააფრთხილა ამერიკის საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეები, რომ 11 სექტემბერს საკუთარ უსაფრთხოებაზე განსაკუთრებულად იზრუნონ. დროებით დაიკეტა ამერიკის საელჩოები ინდონეზიასა და მალაიზიაში, რადგან საელჩოების პერსონალმა ბოლო დღეებში მუქარის წერილები მიიღო.

თავისებურად გადაწყვიტეს 11 სექტემბრის აღნიშვნა ამერიკის მტრებმა – არაბულმა ტელეკომპანია "ალ-ჯაზირამ" გადასცა ორი ვიდეოჩანაწერი, რომლებზეც აღბეჭდილნი არიან 11 სექტემბრის ტერაქტის შემსრულებლები და მათი მეგობრები. პირველ ფირზე ჩანან 11 სექტემბრის ტერაქტის შემსრულებლები, გრძელ წვერსა და ეროვნულ ტანსაცმელში. ისინი ქალაქ ყანდაჰარში სპეცმომზადებას გადიან. მეორე ვიდეოფირზე გარკვევით ისმის კადრს მიღმა საუბარი, რომლის ხმაც ძალიან ჰგავს ბინ ლადენის ხმას. მოსაუბრე ხოტბას ასხამს იმ ოთხ პილოტ-ტერორისტს, რომლებიც 11 სექტემბერს თვითმფრინავებს მართავდნენ. "მათ შეცვალეს?" – ამბობს ბინ ლადენი.

საბელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისარჩი

ჯორჯიან რისარჩის ტელევიზიო რეკლამების მონიტორინგს აწარმოებს 1997 წლის მაისიდან. [illegible]

■ [illegible]
■ [illegible]
■ [illegible]
■ [illegible]
■ [illegible]

[illegible]

ჩვენი ტელეფონებია: 25-35-48; (899) 51-19-94

ჯონდი ბაღათურია აღარ ხუმრობს

ჯონდი ბაღათურია

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ნანა ქადაგიშვილი

დღეს ჯონდი ბაღათურიას გენერალურ პროკურატურაში განცხადება შეაქვს და ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს. იგი სემეკ-ს მექრთამეობაში ადანაშაულებს. “ვერ გაძლა სემეკ-ი ქრთამით. მისი და “ეი-ი-ეს” თალასის ხელმძღვანელობის ქეიფ-დროსტარება მოქალაქეთა ჯიბიდან ფინანსდება”, - აცხადებს ბაღათურია და, თუ პროკურატურა მის მოთხოვნას არ შეასრულებს, შენობის პიკეტირებით იმუქრება. “აღორძინების” წევრი არც “ეი-ი-ეს თელასს" ტოვებს უყურადღებოდ. “თელასის ხელმძღვანელობამ მშვენივრად გამოიყენა ნასყიდობის ჩარჩო ხელშეკრულების №7 დანართი და ელექტროენერგიის ტარიფში საკუთარი დროსტარების საფასურიც შეიტანა”, – ამტკიცებს იგი და ამ ხელშეკრულების №7 დანართის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

“საქართველოში “ეი-ი-ეს”-ის შემოსვლამდე, 1998 წელს, ელექტროენერგიის ტარიფი 4,5 თეთრი იყო. 1998 წლის 1 ოქტომბრიდან 6 თეთრამდე გაიზარდა, ერთი წლის შემდეგ – 9 თეთრამდე, 2000 წელს 9,8 თეთრი გახდა, 2001 წელს კი – 12,4 თეთრი. ტარიფის ასეთი ზრდა “ეი-ი-ეს” თელასის მიერ განხორციელებულმა ჭარბმა ინვესტიციებმა გამოიწვია. “ეი-ი-ეს”-მა ელექტროენერგიის შესაძენად გამოყენებული 150 მლნ. ლარი ელექტროენერგიის ტარიფში მეორედაც შეიტანა, არადა, მომხმარებელს ამ თანხით შეძენილი ელექტროენერგია ადრე უკვე მიჰყიდა. ტარიფში ზედმეტად შეტანილი თანხის (თავისი პროცენტით) ამოღება 8 წლის განმავლობაშია გათვალისწინებული და ეს თანხა 266,3 მლნ. ლარს შეადგენს. თელასს ამის უფლებას ნასყიდობის ჩარჩო ხელშეკრულების №7 დანართი აძლევს. ამიტომ ეს ხელშეკრულება სასწრაფოდ უნდა შესწორდეს. ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, “ეი-ი-ეს თელასს" გამრიცხველიანება 18 თვეში უნდა დაესრულებინა. თუ მან ამდენი ინვესტიცია ჩადო, ხელშეკრულების ეს პირობა რატომ ვერ შეასრულა. “თელასმა” მრიცხველების გამოტანა რომ ვერ შეძლო, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ამოღება 15-20 პროცენტით ამიტომაც შემცირდა. კატეგორიულად მოვითხოვთ, ტარიფში ზედმეტად ჩადებული 266,3 მლნ. ლარი ტარიფის გაანგარიშებიდან ამოიღონ და ამის ხარჯზე ელექტროენერგიის საფასური შეამცირონ. ბოლო ჭარბი ინვესტიციების ამოღების 8-წლიანი ვადა 4 წლამდე დაიყვანონ. ასეთი გზით სამომხმარებლო ტარიფი 3-4 თეთრით შემცირდება”, – აცხადებს ბაღათურია.

გარდა ამის, ბაღათურია სემეკ-ის 1999 წლის ივნისის №29 და 2000 წლის 16 თებერვლის №7 გადაწყვეტილებასაც აპროტესტებს. “ამ გადაწყვეტილების თანახმად, მომხმარებელმა ელექტროენერგიის ღირებულება ოთახების მიხედვით უნდა გადაიხადოს. საინტერესოა, თუ ოჯახს ორი ბინა აქვს და ერთში ცხოვრობს, ელექტროენერგიის საფასური როგორ უნდა გადაიხადოს”, – კითხულობს “აღორძინების” წევრი.

ელექტროენერგიის მარეგულირებელი კომისია ამ ბრალდებებს რამდენიმე სიტყვით პასუხობს: “არაკვალიფიციურ განცხადებებზე კომენტარს არ ვაკეთებთ”, – აცხადებს სემეკ-ის ხელმძღვანელი ელიზბარ ერისთავი, თუმცა, ხვალ პრესკონფერენციის მოწყობას მაინც გეგმავს.

სოციალური ინვესტიციები სიღარიბის დასამარცხებლად

ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სოციალური ინვესტიციების ფონდების წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრა

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მაკა ჭაიანი

გუშინ “შერატონ მეტეხი პალასში” გაიხსნა და 12 სექტემბრამდე გასტანს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სოციალური ინვესტიციების ფონდების წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრა. სოციალური ინვესტიციების ფონდები დღეს მსოფლიოს 75 ქვეყანაში მოქმედებს. ეს, ძირითადად, განვითარებადი ქვეყნები გახლავთ. ფონდებისა და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელთა აზრით, ამ ინსტიტუტებს, ყველაფერთან ერთად, ის სიკეთეც აქვთ, რომ ქვეყნების განვითარების ერთგვარ საბაზრო ტესტს წარმოადგენენ. თუ გაქვთ ასეთი ფონდი და ინვესტორები არ გელევათ, ე.ი. საქმე კარგად მიდის, - ასკვნიან ისინი.

საქართველოში სოციალური ინვესტიციების ფონდი 1996 წელს შეიქმნა. ეს არის საქართველოს, აშშ-ს, იაპონიის მთავრობისა და მსოფლიო ბანკის პირველი ერთობლივი ინიციატივა. იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირია და თავისი სამეთვალყურეო საბჭოსა და მსოფლიო ბანკის წინაშეა ანგარიშვალდებული. ისე როგორც სხვა ქვეყნებში, სოციალური ინვესტიციების ფონდი საქართველოშიც სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ხელშემწყობ პროექტებს ახორციელებს. ამაში შედის: სამედიცინო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებების, უპატრონო ბავშვთა, მოხუცთა და ვეტერანთა სახლების, კულტურის დაწესებულებათა სარემონტო და აღდგენითი სამუშაოები. სოციალურ ობიექტებს შეარჩევენ ქვემოდან, ადგილობრივი მოსახლეობის თემების ღია საერთო კრებებზე. პროექტის ღირებულების 20-25 პროცენტიც მათი დასაფინანსებელია. დანარჩენს ფონდი თავის თავზე იღებს.

გარდა ამისა, სოციალური ინვესტიციების ფონდები სამუშაო ადგილების შექმნასაც უწყობენ ხელს. საქართველოში ეს, ძირითადად, ადგილობრივი მუშახელის კერძო სამშენებლო ორგანიზაციებში დასაქმებაში გამოიხატება. ეს ერთგვარი ხელშეწყობაა თავად სამშენებლო ფირმებისთვის. მით უმეტეს, რომ სოციალური ინვესტიციების ფონდი სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ობიექტების დახმარებაზეა ორიენტირებული.

საკუთარ გამოცდილებას “შერატონ მეტეხი პალასში” შეკრებილი ევროპისა და ცენტრალური აზიის სოციალური ინვესტიციების ფონდების წარმომადგენლები სამი დღის განმავლობაში გაუზიარებენ ერთმანეთს. ფონდების მეტი ინტეგრირების საკითხი ამ, რიგით მესამე რეგიონულ კონფერენციაზე კიდევ ერთხელ დაისვა. ამჯერად ერთიანი ძალებით ბრძოლა სიღარიბის წინააღმდეგაა გამოცხადებული. როგორ მოხდება ეს, რა გზებს აირჩევენ ამ ინსტიტუტების ხელმძღვანელები და მათი დონორები, ღონისძიების დასასრულს გამოჩნდება.

ფალსიფიცირებული შესაფუთი მასალა უსინათლოთა სტამბაში იბეჭდება

ეთერ მამულაშვილი

ანტიმონოპოლიური სამსახურის თბილისის ბიურომ გუშინ ფონიჭალაში აღმოაჩინა სტამბა, რომელიც “რუსთავცემენტისა” და “კასპიცემენტის” ლოგოთი “დამშვენებულ” ფალსიფიცირებულ შესაფუთ მასალას ამზადებდა. გარდა ამისა, სტამბაში იპოვეს სამშენებლო ფირმის BETEK-ას დიდი რაოდენობით ცარცის შესაფუთი მასალა და ერთკილოგრამიანი ფქვილის ქაღალდის ტომრები რუსული წარწერით “მსკა”. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს სხვა რეკვიზიტები არ ჰქონდა.

ანტიმონოპოლიური სამსახურის მთავარი იურისტის სოსო ვარსიმაშვილის განცხადებით, სტამბის ხელმძღვანელმა ვერ წარმოადგინა სათანადო დოკუმენტაცია პროდუქციის წარმოების კანონიერებაზე. “ეს კი იმას ნიშნავს, რომ სტამბის მიერ წარმოებული შესაფუთი მასალა ფალსიფიცირებულია. მეწარმემ დაარღვია კანონი მონოპოლიისა და კონკურენციის შესახებ. კერძოდ, საქმე ეხება სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენებას”, - გვითხრა ვარსიმაშვილმა.

ანტიმონოპოლიური სამსახურის თბილისის ბიურო ამ საქმესთან დაკავშირებულ ყველა სათანადო მასალას მალე პროკურატურას გადაუგზავნის, რაზეც, შესაძლოა, სისხლის სამართლის საქმეც აღიძრას.

საწარმო, რომელიც უსინათლოთა კავშირის ბალანსზე ირიცხება, შპს “სტამბა 93”-ის ხელმძღვანელს მალხაზ კერძაიას აქვს ნაქირავები. მისი თქმით, წარმოებული პროდუქცია აბსოლუტურად ლეგალურია და მათი ერთ-ერთი მსხვილი დამკვეთი “რუსთავცემენტიც” არის. ”ჩვენ გვყავს უამრავი შემკვეთი, რომელთა ვინაობა ხშირად ჩვენთვის უცნობია. ისინი, მათ შორის “რუსთავცემენტიც”, პერიოდულად მოდიან და მიაქვთ ჩვენი პროდუქცია”, - გვითხრა კერძაიამ.

სააქციო საზოგადოება “რუსთავცემენტის” დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი სალაყაია აცხადებს, რომ, ფალსიფიკაციისგან თავდასაცავად, “რუსთავცემენტმა” რამდენჯერმე შეცვალა სასაქონლო ნიშანი. ისინი ამჟამად პროდუქციისთვის საჭირო შესაფუთ ტარას შპს “ინტერპარკისგან” იღებენ “და არც ერთ სხვა ფირმასთან ხელშეკრულება შესაფუთი ტარის შესყიდვაზე არა გვაქვს”, - ამბობს სალაყაია.

სტამბა, რომელიც ფალსიფიცირებულ შესაფუთ მასალას ამზადებდა.

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

რელიგიური ექსტრემიზმით დაავადებული საზოგადოება ინფორმაციის, ცოდნის დეფიციტს განიცდის

პირველი გვერდიდან

ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი: რელიგიური ტერორიზმის, საერთოდ, ნებისმიერი ძალადობის და აგრესიის გამომწვევი მიზეზი არის უმეცრება, ის სიბნელე და ღრუბელი, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია ჩამოწოლილი. დღევანდელი ჩვენი შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ძიება იმისა, როგორ დავუპირისპირდეთ სიბნელეს.

საკითხი, რომელზედაც ჩვენ ვმსჯელობთ, ძალზე პრობლემურია. ღმერთმა ნუ ქნას და, რელიგიური ტერორიზმის ტალღა თუ აგორდა, არავინ იცის, ეს რითი დასრულდება.

მამა გიორგი (ჩაჩავა): პირადად მე მიჭირს რელიგიური ტერორიზმის განცალკევება საერთო ძალადობისა და აგრესიისგან. ტერორისტი ტერორისტია. უბრალოდ, ხშირად ამა თუ იმ მოძალადეს სჭირდება, თავი პოლიტიკური ან რელიგიური იდეებისთვის მებრძოლ ადამიანად გაასაღოს. მთავარია, რომ ის ბუნებით ტერორისტია, მიზეზის მოძებნა კი ყოველთვის შეიძლება.

ტერორიზმი რთული ფენომენია. ხშირად ჭირს მისი გამომწვევი მიზეზების წვდომა. სავსებით ვეთანხმები ეპისკოპოს მალხაზ სონღულაშვილის მოსაზრებას, რომ ძალადობის სათავე უმეცრებაა. ხშირად მზაკვარი ძალები იყენებენ უცოდინარ და ეგზალტირებულ ადამიანებს და მათ ბნელ აზრებს ახვევენ თავს. ეს არის ადამიანთა შეგნებული დეზორიენტაცია. იგი მიზნად ისახავს რეალური პრობლემის მიჩქმალვას და მის ნაცვლად "მითების" გამოგონებას - ხშირად არსებული პრობლემა სხვებს - ვიღაც-ვიღაცებს ბრალდებათ. საბოლოო ჯამში ზედაპირულად მოაზროვნე ადამიანები მოტყუებულნი რჩებიან. ჩვენი მთავარი ამოცანაა, მოსახლეობას განვუმარტოთ პრობლემის ნამდვილი არსი.

გავიხსენოთ, რა ხდებოდა წინა საუკუნის გერმანიაში. ჯერ კომუნისტებს დააბრალეს ყველა უბედურება, შემდგომში ებრაელები დახოცეს. ბოლოს გაირკვა, რომ პრობლემა ე.წ. განტევების ვაცის ძებნა იყო. საერთოდ, ახალი აღთქმისაგან განსხვავებით, ძველ აღთქმაში განტევების ვაცი ძალიან პოპულარული ცნებაა. დღეისათვის საქართველოში ყველაფერი განტევების ვაცებს ბრალდებათ.

გიგი თევზაძე: საინტერესოა, რას აკეთებენ ეკლესიები რელიგიური ექსტრემიზმის დასაძლევად?

ვილი გრიგორიანი: რელიგიურ ექსტრემიზმზე განყენებულად არ უნდა ვისაუბროთ. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სოციუმის მომენტი. როცა საზოგადოება აგრესიულად არის განწყობილი, იგი ადვილად ხდება მოძალადე. თუ ადამიანის შინაგანი ტრანსფორმაცია არ მოხდა, რაიმე "ღონისძიების გატარებას" აზრი არ აქვს.

მალხაზ სონღულაშვილი: გიგიმ საკმაოდ მწვავე კითხვა დასვა. საქართველოს სამღვდელოების წარმომადგენლები - სასულიერო პირები - არიან ნაწილი იმ საზოგადოებისა, რომელიც ჯერ კიდევ მოუმწიფებელია. უნდა ვაღიაროთ: ჩვენ მივიღეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ თავისუფლებას ჯერ არ ვზიარებივართ, წინ კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი.

არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, რელიგია ვერ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. თვით ქრისტიანობაც კი, რომელიც სიყვარულსა და შემწყნარებლობას ქადაგებს, ზოგჯერ აგრესიასთან და ძალადობასთან უძლური ხდება. ამას ადასტურებს ჩრდილოეთ ირლანდიაში, სერბეთსა და ხორვატიაში განვითარებული მოვლენები.

11 სექტემბრის ტრაგედიიდან ერთი კვირის შემდეგ ნიუ-იორკში გავემგზავრე. ქალაქი ხორცისა და ალუმინის სუნით ყარდა. ყოველთვის, როცა ტერორიზმზე ვსაუბრობ, ეს სუნი მახსენდება. თუკი რელიგიის წარმომადგენლები დიალოგს მოიწადინებდნენ, შეიძლებოდა ტრაგედიის თავიდან აცილება. სხვათა შორის, 11 სექტემბრის შემდეგ ისლამი უფრო გახსნილი გახდა. იგი თანახმაა, ითანამშრომლოს ქრისტიანებთან ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. აქ მცხოვრები მაჰმადიანების ლიდერმა გვითხრა: მოდი, ერთ მაგიდასთან დავსხდეთ და ვისაუბროთო. აუცილებელია, უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი, ამას მოითხოვს ჩვენი ხვალინდელი მშვიდობიანი თანაარსებობა. მშვიდობას და შერიგებას არ შეიძლება, ალტერნატივა ჰქონდეს.

გიგი თევზაძე: თავიდან, როცა ეს საბჭო შეიქმნა, მისი მთავარი ამოცანა იყო მოქმედება კორუფციისა და კრიმინალის დაძლევისათვის, ახლა ტერორიზმიც მისი პრობლემა გახდა. პოლიტიკოსები მცდელობას არ აკლებენ, რომ საქართველო ექსტრემისტული იდეოლოგიების განხორციელების ადგილად იქცეს. როგორ ფიქრობთ, რა არის საერთო კორუფციასა და შეუწყნარებლობას შორის?

გიორგი ჩაჩავა: ექსტრემიზმი საბოლოო ჯამში მაფიოზური კლანებიდან მოდის. მაფიას აუცილებლად სჭირდება ქვეყნის დეზორიენტაცია. როცა ქვეყნის ეკონომიკას მაფიოზური კლანები მართავენ, ისინი ცდილობენ "კვალის" დაფარვას. საამისოდ ბნელი ძალები გამოძებნიან ვინმე ჩამოსულ სტუმარს, გადამთიელს, რომელმაც თურმე ყველაფერი გააფუჭა. ექსტრემისტი, რომელსაც ხალხი ხედავს, ყოველთვის მოტყუებული ადამიანია. მის უკან დახვეწილი პროვოკატორები დგანან.

ისევე, როგორც ბავშვებს უკეთებენ აცრებს სხვადასხვა დაავადების პროფილაქტიკისათვის, საზოგადოებაც საჭიროებს "აცრას", რათა იგი ბნელმა ძალამ თავისი განზრახვისათვის არ გამოიყენოს. ეს როგორ, რა ფორმებით უნდა მოვახერხოთ, ცალკე მსჯელობის საგანია. ამაზე ერთად უნდა იფიქრონ სასულიერო პირებმა, მეცნიერებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ჩვენმა საბჭომ, გარკვეულწილად, ამ საქმეს ხელი მოჰკიდა, მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ არის, საჭიროა საზოგადოების კეთილი ნება. ვიმეორებ, ექსტრემიზმი მარტოოდენ საქართველოს პრობლემა როდია, მსოფლიოში უამრავი ექსტრემისტული აზროვნების კერა არსებობს.

გიგი თევზაძე: ზოგჯერ ექსტრემისტული და ინდიფერენტული აზროვნება ერთმანეთში ხომ არ გვერევა?

გიორგი ჩაჩავა: ჩვენ გვახსოვს, რომ წელიწადნახევრის წინ ავღანეთში თალიბებმა ბუდას ქანდაკება ააფეთქეს. ესეც ექსტრემიზმია, იგი სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ავღანეთში ექსტრემიზმი დაიწყო მაშინ, როცა გოგონებს უკრძალავდნენ განათლების მიღებას სკოლაში. ის ვითარდება როგორც დაავადება და ბოლოს სად და როდის იჩენს თავს, წინასწარ განსაზღვრა ძნელია.

გიგი თევზაძე: საქართველოში საიდან იწყება ექსტრემიზმი?

გიორგი ჩაჩავა: ძველი თბილისის უბანში, საოცრად ტოლერანტულ გარემოში გავიზარდე. ჩვენ არ გვაინტერესებდა, რა ეროვნებისა იყო ჩვენს გვერდით მყოფი - ებრაელი თუ ქრისტიანი. ადამიანი მისი პიროვნული თვისებებით ფასდებოდა. სამწუხაროდ, შემდეგ ვიღაცებს დასჭირდათ საზოგადოების დეზორიენტაცია და შუღლი ჩამოაგდეს.

გიგი თევზაძე: რადგან ეს შეძლეს, გამოდის, რომ საზოგადოება არ ყოფილა ტოლერანტული...

მალხაზ სონღულაშვილი: შესაძლებელია, საქმე გვქონდეს სუბკულტურასთან. თბილისში ყოველთვის იყო ეთნიკური და რელიგიური სიჭრელე. ეს კი ხელს უწყობდა სუბკულტურის ჩამოყალიბებას. იგი უნდა განვიხილოთ, როგორც გამონაკლისი და არა ქართული კულტურის ზოგადი მახასიათებელი.

გიორგი ჩაჩავა: სხვათა შორის, კრიმინალებს არ ახასიათებთ ადამიანების დაყოფა ეროვნული ნიშნის მიხედვით. მათთვის მთავარია, დადგენილი ჩარჩოები დაიცვან.

გიგი თევზაძე: ნაციონალური იდეით მხოლოდ მაღალი სოციალური ფენები არიან დაინტერესებული. კრიმინალებს მსგავსი იდეები არ აწუხებთ. ისინი კონკრეტული საქმის გარშემო არიან გაერთიანებული - ვთქვათ, ვიღაცა გაძარცვონ...

გიორგი ჩაჩავა: გეთანხმებით, მაგრამ პრობლემაც მაშინ ჩნდება, როცა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები უსაქმოდ არიან. ამ შემთხვევაში პროვოკატორები სუროგატს ქმნიან. ბავშვს რომ საჭმელს წაართმევ, სატყუარა უნდა შეაჩეჩო ხელში. ჩვენი საზოგადოებაც ამ დღეშია. მას თვალში ნაცარს აყრიან – ადამიანებს, პროტესტი რომ არ გამოხატონ, სუროგატს სთავაზობენ. საზოგადოებაც ერთი დიდი ბავშვია, მას განვითარება და ჩამოყალიბება სჭირდება.

გიგი თევზაძე: ხომ არ დაგვეკონკრეტებინა, ვინ სთავაზობს საქართველოს მოსახლეობას სუროგატს?

გიორგი ჩაჩავა: ასეთი ხალხი, როგორც წესი, არ ჩანს. მაგალითად, ბასილ მკალავიშვილი აისბერგის ზედა ნაწილია. წყლის ქვეშ უფრო დიდი ვიღაც იმალება.

გიგი თევზაძე: ასე ძნელია მისი გამოცნობა? საზოგადოების სახელით საუბარი ზედმეტად ზოგადი მეჩვენება. პირადად მე, საკუთარი თავი არასრულწლოვნად არ მიმაჩნია, ალბათ, არც თქვენ. სად უნდა ვეძებოთ საქართველოში ის არასრულწლოვანი საზოგადოება, რომელსაც განვითარება სჭირდება?

გიორგი ჩაჩავა: ერთ მაგალითს მოვიყვან: იმ პერიოდში ტელესერიალ “კასანდრას” უჩვენებდნენ. ზამთრის მზიანი ამინდი თოვლმა და ქარმა შეცვალა. ხალხი, რომელიც ქუჩაში შეუფერებელი ტანსაცმლით აღმოჩნდა, სიცივემ შეაწუხა. პურის მაღაზიაში ასეთ დიალოგს შევესწარი. ერთი გამყიდველი ქალი მეორეს ეუბნება: როგორ აირია ამინდი, რა გვეშველება, გავიყინებითო. პასუხად ასეთი რამ მიიღო: "ჯანდაბას, ოღონდ კასანდრა იყოს კარგად და ჩემს თავს არ დავეძებ!" - ნუთუ შეიძლება საზოგადოების ასე გაბითურება!

გიგი თევზაძე: არა მგონია, ტელესერიალები ექსტრემიზმის საფუძველი იყოს...

გიორგი ჩაჩავა: თუ ადამიანს ერთი უნიჭო ფილმით ასე დაიმონებ და მის აზროვნებას "დაამუშავებ", ეს იმას ნიშნავს, რომ მომზადებულ პროვოკატორებს შეუძლიათ ამ საზოგადოების ნებისმიერი მიზნისთვის გამოყენება. ასე რომ არ მოხდეს, ჩვენ უნდა შევძლოთ საზოგადოების სწორი ინფორმირება. დღეს მსოფლიოში ისე ძვირად არაფერი ფასობს, როგორც კორექტული ინფორმაცია, ვინაიდან ინფორმაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

გიგი თევზაძე: ამ შემთხვევაში კიდევ ერთი პრობლემა ჩნდება: უნდა ვიცოდეთ, როგორ უნდა მივაწოდოთ მოსახლეობას ეს ინფორმაცია.

გიორგი ჩაჩავა: ამისათვის საზოგადოებაში უნდა შემუშავდეს სხვადასხვა მექანიზმი.

გიგი თევზაძე: უპრიანი იქნება დავაკონკრეტოთ, ვის ვგულისხმობთ, "საზოგადოებაში", აქვს თუ არა მას რაიმე ფორმალური მახასიათებელი?

გიორგი ჩაჩავა: საუბარია ამა თუ იმ სფეროში დასაქმებულ მოაზროვნე ადამიანებზე, რომლებიც მაღალი ინტელექტუალური და სულიერი განვითარებით გამოირჩევიან. ასეთი ინდივიდები ჯანსაღ და მოწინავე საზოგადოებას ქმნიან.

როცა საზოგადოება რელიგიური ექსტრემიზმით არის დაავადებული, იგი აუცილებლად განიცდის ინფორმაციის, ცოდნის დეფიციტს. საჭიროა მისი განათლება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

გიგი თევზაძე: დავუშვათ, პრობლემის მოგვარება განათლების გავრცელებით დავიწყეთ. ამას შედეგი, სულ მცირე, ათ წელიწადში მოჰყვება. ამ ხნის განმავლობაში, ჩვენი ქვეყანა, შეიძლება, უკვე აღარ არსებობდეს...

მალხაზ სონღულაშვილი: პრობლემის დაძლევის ყველაზე სწრაფი გზაა მასმედიასთან აქტიური თანამშრომლობა. შემდეგი ეტაპი არის სკოლა და რელიგია. ყველაზე ბოლო ადგილზე დგას ოჯახი. ოჯახში შეღწევა ყველაზე ძნელია, მეტ დროს მოითხოვს.

გიგი თევზაძე: გამოდის, რომ მასმედიას სოციალურ ვალდებულებებს ვაკისრებთ, საზოგადოებრივ შეკვეთას ვაძლევთ.

მალხაზ სონღულაშვილი: საზოგადოებრივი შეკვეთისა ცოტა მეშინია...

გიგი თევზაძე: მაშინ დავაკონკრეტოთ, ვალდებულია თუ არა მასმედია, ამ მხრივ რაღაცა გააკეთოს?

მალხაზ სონღულაშვილი: ვალდებული, შეიძლება, არ იყოს. თავისუფალ საზოგადოებაში მასმედიამაც თავისუფლად უნდა იმოქმედოს, მაგრამ შეიძლება მასთან თანამშრომლობის დამყარება. თუკი ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ შეგვიძლია სკოლისა და ეკლესიის მეშვეობით განათლება შევიტანოთ ქვეყანაში, მოდით, ამ ამოცანის გადაჭრა მასმედიის დახმარებითაც ვცადოთ. პრესასთან მჭიდრო კონტაქტი უნდა გვქონდეს, პერიოდულად უნდა გავაშუქოთ, რას ფიქრობენ და განიცდიან სხვადასხვა ფენის, რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, საერთოდ, ადამიანები ჩვენს საზოგადოებაში. ამით შესაძლებლობა მოგვეცემა, წარმოვაჩინოთ საზოგადოების განწყობილება.

გიორგი ჩაჩავა: ჩვენმა ქვეყანამ 12 წელია, რაც დამოუკიდებლობა მიიღო. დადგა დრო, რომ შევჩერდეთ და გავიაზროთ, რა გზით უნდა ვიაროთ მომავალში. საქართველოში უნდა მომზადდეს ეროვნული კონგრესი, უნდა განვსაზღვროთ, რა ფასეულობებით ვაპირებთ მომდევნო 20 წელიწადში ცხოვრებას. კონსტიტუციის გარდა, ქვეყანაში ზნეობრივი პრიორიტეტებიც არსებობს...

გიგი თევზაძე: ეს არის ადამიანის უფლებები და ის საყოველთაოდ არის აღიარებული.

გიორგი ჩაჩავა: გეთანხმებით, მაგრამ ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნა მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე უნდა გავავრცელოთ. "დემოკრატია" და "ადამიანის უფლებები" ზოგადი ცნებებია, მას "დამარცვლა" სჭირდება.

გიორგი გახელაძე: ფიქრობთ თუ არა, რომ ძალადობის და ანგარების პრობლემის მოსაგვარებლად მასმედიასთან ურთიერთობის გარდა, ასევე სწრაფ შედეგს მოგვცემს ზემოქმედება ძალაუფლების მქონე, გავლენიან ადამიანებზე? მოკლე ვადაში მათი განათლება (კლასიკური გაგებით), ისევე როგორც მედიისა და საზოგადოებისა, შეუძლებელია. ისინი უკვე ასაკოვანი ადამიანები არიან და ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა აქვთ. ნუთუ ინტერრელიგიურ საბჭოს წევრებს ნომინალურ თუ რეალურ საკუთარ მრევლში გავლენიან ადამიანებზე ზემოქმედება არ შეუძლიათ? რაოდენ უსიამოვნოც არ უნდა იყოს, პირადად ჩემთვის მისაღებია გაკიცხვის მეთოდი. სხვა თუ არაფერი, გაკიცხულს შიში მაინც გაუჩნდება. ჩემი აზრით, მცდარია შეხედულება, რომ მედია უფრო სწრაფ და ძლიერ ეფექტს მიაღწევს, ვიდრე ამგვარი ქმედება.

მალხაზ სონღულაშვილი: გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარი ნაბიჯი დიდ რისკს მოითხოვს. ცნობილი გამონათქვამი გვეუბნება: პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება - უფრო დიდი მეგობარი. უპირველესად, საეკლესიო პირებს უნდა ჰქონდეთ ამგვარი განცდა, მაგრამ საქართველოს რეალურ ცხოვრებაში, სამწუხაროდ, ასე არ ხდება. უცხოეთში ამგვარი პრეცედენტებიც გაჩნდა: **სიცილიაში მაფიოზებს ბავშვის მონათვლაზე და ჯვრის დაწერაზე უარი უთხრეს (ის მღვდელი მოკლეს). მიჭირს, წარმოვიდგინო, რომ საქართველოში ვინმე მსგავს სიმამაცეს გამოიჩენს. ჩვენ, ჯერჯერობით, ვერ ვახერხებთ, ასე მწვავედ დავუპირისპირდეთ ბნელ ძალებს.**

გიორგი ჩაჩავა: ერთი რამაც არის გასათვალისწინებელი - ნებისმიერ რისკს გააზრება სჭირდება. რისკის გაწევას რეალური შედეგი მაშინ მოჰყვება, თუკი ჯანსაღი ძალები გაერთიანდებიან. 21-ე საუკუნე გუნდური ქმედების საუკუნეა. ცალკეული ლიდერების ძალისხმევა უკვე აღარ კმარა. საჭიროა დახვეწილი გუნდის შექმნა, იგი რეალური ძალა გახდება, აგრესიისა და ძალადობის ნებისმიერ გამოვლინებას დაუპირისპირდება.

გიორგი გახელაძე: დღევანდელ შეხვედრას ინტერრელიგიური საბჭოს სამი წარმომადგენელი ესწრება. თუნდაც ამ საბჭოს არსებობა, ან გაბედულ ადამიანთა რამდენიმე ათეული ცოტაა იმისათვის, რომ გუნდი ჩამოყალიბდეს?

მალხაზ სონღულაშვილი: რაოდენობრივად, შეიძლება, ცოტა არაა, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია ერთიანობა. უნდა დავძლიოთ ის ინდიფერენტულობის ჭია, რომელიც ყველას გვღრღნის - მეც, თქვენც. ყოველდღიური საზრუნავი, ცხოვრების რიტმი ზნეობრივ პრიორიტეტებს აფერმკრთალებს.

ვილი გრიგორიანი: უპირველესად, გადასაჭრელია სოციალური პრობლემა. ხალხს უნდა ჰქონდეს საშუალება იაზროვნოს, მაღალ იდეალებზე იმსჯელოს.

* * *

საუბარი ერთი შეხედვით პესიმისტურ ნოტაზე დასრულდა, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ამ თემაზე დიალოგი დაიწყო, რაღაცას ნიშნავს, იმედის მომცემია.

ინტერრელიგიური საბჭო კიდევ ერთხელ გამოხატავს მწუხარებას და თანადგომას 11 სექტემბრის ტრაგედიის დროს დაღუპულთა ოჯახებისა და ახლობლებისადმი. იმავდროულად, საბჭო იზიარებს აზრს, რომ ტერორიზმი ყველა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიცაა. ინტერრელიგიური საბჭო მოწოდებულია, ებრძოლოს ტერორიზმს საკუთარ ქვეყანაში.

შევიწროებულ პროკურატურას უფლებები ეზრდება

სოფიკო ჩხაიძე

მართალია, სულ ცოტა სამი წელი მოგვიწევს ლოდინი, სანამ ქართული სამართალდამცველი სტრუქტურები სრულ რეფორმას ჩაიტარებენ, მაგრამ უკვე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ამ რეფორმის კონცეფციაზე მუშაობა დასასრულს უახლოვდება. სექტემბრის ბოლოს კონცეფციის საბოლოოდ დახვეწილ ვარიანტს პრეზიდენტი საკუთარ მაგიდაზე ელის. შესაბამისად, უწყებათშორისი კომისიაც განვლილი მუშაობის საბოლოო რევიზიას ახდენს და უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციებს საკუთარ მოსაზრებებს უსადაგებს. კომისიის მუშაობის მთავარ შედეგად სახელდება გამოძიების პროცესის გამარტივება. ანუ ის იდეა, რომლის შესახებაც არაერთხელ გვსმენია და რომელიც თავდაპირველადვე იყო ჩადებული ანტიკორუფციული საბჭოს მიერ მომზადებულ სამთავრობო ცვლილებების მოდელში, ნაწილობრივ ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ არ შეიქმნება ცალკე ინსტიტუტი, რომელიც ყველა სახის დანაშაულის გამოძიებას იტვირთავს, გამოძიებისა და მოკვლევის ფუნქციების გაერთიანება ერთი სახელწოდების – გამოძიების ქვეშ, კომისიის ყველა წევრის მოწონებას იმსახურებს.

გუშინ კი კომისიის სხდომამ ერთხმად მიიღო პროკურატურის რეფორმის კონცეფცია.

თავად გენერალური პროკურორი ძირითადად ეთანხმება კონცეფციაში გამოთქმულ მოსაზრებებს. ნუგზარ გაბრიჩიძეს პრეტენზია არ გამოუთქვამს არც პროკურატურების რიცხვის შემცირებისა და არც პროკურატურისთვის საგამოძიებო უფლებების ჩამორთმევის გამო. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის საბოლოო ეტაპამდე მისულ პროკურატურის რეფორმის კონცეფციაში პროკურატურას იმ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებაც ჩამოერთმევა, რომლითაც უცხოელი ექსპერტები ასაჩუქრებდნენ, გენერალურ პროკურორს საწუწუნო ნამდვილად არაფერი აქვს – პროკურატურის უფლებები აშკარად ფართოვდება. თუნდაც ის რად ღირს, რომ ლამის ამერიკული ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ფუნქციებით აღჭურვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლები, კონცეფციის თანახმად, არათუ გადაწყვეტილებას მიიღებენ, არამდე ნაბიჯსაც კი ვერ გადადგამენ და გამოძიების მასალებს შეფასებას ვერ მისცემენ პროკურორის გარეშე. სხვათა შორის, ეს ფაქტორი ძალზე აშფოთებს შს მინისტრს, რომელიც გუშინ, ფაქტობრივად, ერთადერთი იყო, ვინც კომისიის მუშაობის შეხმატკბილებულ მიმდინარეობაში დისონანსი შეიტანა.

"იქნებ შს სამინისტროს გამომძიებლებიც პროკურატურაში გადაგვეყვანა".

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

"იქნებ, პირიქით მოვქცეულიყავით და, პროკურატურისთვის საგამოძიებო ფუნქციის ჩამორთმევის ნაცვლად, შს სამინისტროს გამომძიებლებიც პროკურატურაში გადაგვეყვანა", – ფარული ირონიით ამბობდა გუშინ კობა ნარჩემაშვილი. თუმცა, არანაკლები ირონია მისმა ნათქვამმაც გამოიწვია, არაერთ გამომძიებელს ვიცნობ, მიზერულ ხელფასზე მარტო იმიტომ რომ მუშაობს, საბრალდებო დასკვნის წერის შემოქმედებითი პროცესით ისიამოვნოსო.

"მაინც გამომძიებელს დააწერინებენ საბრალდებო დასკვნას და ეს იქნება ცვლილებების შედეგი",– მიაჩნია მინისტრს, რომელიც თვლის: **"არ შეიძლება გამომძიებელი იყოს აბსოლუტურად უფუნქციო და ვერ იღებდეს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას. ჩვენი აზრით, გამომძიებელმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, მას უნდა ჰქონდეს შემაჯამებელი დოკუმენტის შექმნის საშუალება და თუ პროკურორი მას არ დაეთანხმება, დაუბრუნოს, დაუბლოკოს და თავიდან დააწერინოს. წარმოიდგინეთ, თუ პროკურორი დანიშნავს გამომძიებელს, ის წარმართავს და დააგვირგვინებს მის მუშაობას, რა საჭიროა გამომძიებლების სხვა და არა პროკურატურის სისტემაში არსებობა".**

რამდენად გაიზიარებს კომისია შს მინისტრის მოსაზრებებს, ძნელი სათქმელია. პრინციპში, ერთადერთი, რაზეც, შესაძლოა, შეთანხმება მოხდეს, ის გახლავთ, რომ გამომძიებელს პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება მიენიჭოს. რაც შეეხება დანარჩენს, მართალია, პროკურატურის რეფორმის კონცეფციაზე კიდევ იგეგმება სამუშაო სხდომის ჩატარება, მაგრამ მასში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა, სავარაუდოდ, მოსალოდნელი არ არის, რადგან თავად კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავკაცი ლადო ჭანტურია და კომისიის წევრთა უმრავლესობა რეფორმის კონცეფციას პროგრესულად მიიჩნევენ.

"კონცეფცია გულისხმობს ისეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას, როგორებიცაა პროკურატურების რიცხვის შემცირება, ექვმიტანილის ცნების გაუქმება, გამოძიებაში პროკურორის პირველი ეტაპიდანვე ჩართვა, რაც დღემდე ჩვენში არ ხდებოდა. გამომძიებლის მიერ შეგროვებული მასალები პროკურორის ფილტრს გაივლის და პროკურორივე მისცემს ყოველივეს შეფასებას. ასევე, საინფორმაციო ცენტრი, რომელიც დღეს მხოლოდ შს სამინისტროში არსებობს, პროკურატურაშიც გადავა. ეს სისტემა ჩვენი მოგონილი ნამდვილად არ გახლავთ, იგი კარგად არის აპრობირებული ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის მრავალ ქვეყანაში", – ასეთი გახლავთ ლადო ჭანტურიას აზრი.

ხევსურეთში შეიარაღებული ჩეჩნები არ არიან

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩენი ბოევიკი არც პანკისში და არც საქართველოს სხვა ტერიტორიაზე ოფიციალურად არავის უნახავს და, მით უმეტეს, არც დაუკავებია, ქვეყანაში ყოველდღე ვრცელდება ინფორმაცია ამა თუ იმ ტერიტორიაზე შეიარაღებული ბოევიკების გამოჩენის შესახებ.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, შეიარაღებული ჩეჩენი ბოევიკები ხევსურეთის, კერძოდ კი, შუაფხოს ვაკის სოფლების ტერიტორიებზე გამოჩნდნენ. აღნიშნული ინფორმაციის წყარო მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ყოფილი სახელმწიფო რწმუნებული კობა ბუჩუკური გახლდათ. მისი განცხადებით, **"რეგიონს დესტაბილიზაციის ახალი კერის წარმოქმნის საშიშროება ემუქრება. იმისათვის, რომ ხევსურეთში მოახლოებული დაძაბულობა თავიდან ავიცილოთ, აუცილებელია სახელმწიფომ შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუცველი მოსახლეობა მართლწესრიგის აღდგენას თავად შეეცდება".**

ყოფილი სახელმწიფო რწმუნებულის ინფორმაციით, ხევსურეთის სოფლებში გადასული ჩეჩნები მოსახლეობას ატყუებენ. ისინი საქონელს და სხვა პროდუქტებს, თურმე, ყალბი დოლარებით ყიდულობენ.

ბუჩუკურის ინფორმაცია არ დაადასტურა უშიშროების სამინისტროს პრესმდივანმა ნიკა ლალიაშვილმა. იგი ამგვარი ჭორების სისტემატურად გავრცელებას ქვეყანაში შექმნილი ჩეჩნური ისტერიით ხსნის.

ხევსურეთში შეიარაღებული ჩეჩნების არსებობას უარყოფს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის პოლიციის უფროსი ჯემალ ჯიქურაულიც.

"მართალია, რეგიონის ტყეებში ზოგჯერ მართლაც გამოჩნდებიან ხოლმე რამდენიმე კაცისგან შემდგარი ჯგუფები, მაგრამ იმის თქმა, რომ ისინი ჩეჩნები არიან, არავის შეუძლია. არ არის გამორიცხული, დამნაშავეები ქართველებიც იყვნენ. ჩვენ სისტემატურად ვაკონტროლებთ ხევსურეთს, მაგრამ მოსახლეობა შეიარაღებული ბოევიკების არსებობას არ ადასტურებს. პირიქით, დაბომბვით შეშინებული ხალხი აღშფოთებულია გავრცელებული ინფორმაციით და ვარაუდობს, რომ ამგვარ ჭორებს გარკვეული ძალები ავრცელებენ, რათა რუსებს კვლავ მიეცეთ დაბომბვის საბაბი," – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ჯემალ ჯიქურაულმა.

გამონაკლისი - უცხოელის დამყაჩაღებლები დააკავეს

თამარ კაციტაძე

საქართველოში უცხოელების მიმართ ჩადენილი დანაშაულის კატასტროფულად ზრდამ პირდაპირ იმოქმედა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე. სისტემატური გაქურდვა-დაყაჩაღებით და, რაც მთავარია, გატაცებით აღშფოთებულმა უცხოელმა დიპლომატებმა ქართველი სამართალდამცველებისთვის გაგზავნილი წერილებით რომ ვერაფერი გააწყვეს, საპროტესტო ნოტები პირდაპირ ქვეყნის პრეზიდენტს აახლეს. ედუარდ შევარდნაძემაც არ დააყოვნა. მან სამართალდამცავი და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს სპეციალური კომისიის შექმნა დაავალა. თითოეულ უწყებას ცალ-ცალკე უნდა ემსჯელა იმ მიზეზებზე, რის გამოც ქვეყანაში უცხოელების მიმართ ჩადენილმა დანაშაულებმა იმატა და იმაზეც - რატომ არ ხდება აღნიშნული საქმეების დროულად გახსნა და გამოძიება.

გენერალურმა და ქალაქის პროკურატურებმა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ უცხოელების მიმართ ჩადენილი დანაშაულებს გაფართოებული კოლეგიებიც მიუძღვნეს. მაგრამ მდგომარეობა არ გამოსწორებულა, პირიქით...

მიმდინარე წლის ექვსი თვის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, უცხოელების მიმართ ჩადენილი დანაშაული კატასტროფულად მატულობს. გენერალურ პროკურატურაში არსებული სტატისტიკა ასე გამოიყურება: 2000 წელს უცხოელი მოქალაქეების მიმართ მოხდა 23 დანაშაული. 2001 წელს - 75-მდე გაიზარდა, ხოლო 2002 წლის ექვს თვეში უკვე აღრიცხულია 39 დანაშაულის ფაქტი. აქედან, გახსნილია 17 დანაშაული. გახსნის მაჩვენებელი ძირითადად, შედარებით მსუბუქ კრიმინალზე - ქურდობა, ძარცვა, ავტომობილის გატაცებაზე მოდის.

რაც შეეხება ადამიანთა გატაცებას, აქ საქმე უფრო რთულად არის. მართალია, გამონაკლის შემთხვევებში, მძევლებმა სხვადასხვა მექანიზმებით თავი ტყვეობას დააღწიეს, მაგრამ საქმეების გამოძიება ჯერაც არ დასრულებულა და აქედან გამომდინარე, დამნაშავეებიც არ დასჯილან.

მას შემდეგ, რაც ბრიტანელი ბიზნესმენის გატაცებასთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს დახმარების შეწყვეტით დაემუქრნენ, ქვეყანაში უცხოელების მიმართ ჩადენილი დანაშაულებს ახალი ახსნა მოეძებნა – უცხოელების დისკრედიტაციით ვილაცას საქართველოსთვის საერთაშორისო ასპარეზზე სახელის შელახვა სურსო.

შესაძლებელია, პიტერ შოუს შემთხვევაში, გავრცელებული მოსაზრება სიმართლისგან შორს არც იყოს. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულს ეკონომიკურად გაჭირვებული, უმუშევარი ადამიანი ჩადის, მიზეზიც ალბათ სხვაგან უნდა ვეძებოთ...

ბოლო ორი დღის განმავლობაში სამართალდამცველებმა უცხოელების მიმართ ჩადენილი ორი დანაშაული გახსნეს. გუშინ კი ისანი-სამგორის პილიციელებმა ჩეხი მიქალაქის დაყაჩაღებაში ეჭვმიტანილი ორი ქართველი დააკავეს. როგორც სამართალდამცველები ირწმუნებიან, ჭაბუკა ჩადუნელი და გიორგი რუხაძე მესამე მასივის პლატოზე თავს დაესხნენ ჩეხეთის მოქალაქეს, ერ მილანს. თავდამსხმელებმა უცხოეთის მოქალაქე ჯერ ცემეს, შემდეგ დანის მუქარით მობილური ტელეფონი და პირადი ნივთები წაართვეს და გაიქცნენ.

ჩეხეთის მოქალაქეზე თავდასხმის ფაქტს ისანი-სამგორის რაიონული პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. დამნაშავეების ბინიდან ამოღებული გატაცებული ნივთები ერ მილანს დაუბრუნეს.

გუშინ ამერიკელმა ტურისტმა უსიამოვნო შემთხვევით დაასრულა სვანეთიდან ზუგდიდში მოგზაურობა. მარლენ პატერსონი თავისი ქვეყნიდან ჩამოტანილი ველოსიპედით აპირებდა საქართველოს დათვალიერებას. მაგრამ არ დასცალდა... სვანეთიდან ზუგდიდში მშვიდობით ჩასულმა ტურისტმა ტრანსპორტი, რომელზეც ჩანთა ჰქონდა ჩამოკიდული, მაღაზიის წინ გააჩერა. უკან გამოსულს კი აღარც ველოსიპედი დახვდა და აღარც პირადი ნივთები. დანაშაული, ჯერჯერობით, არ გახსნილა. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოლიციის უფროსს, ელგუჯა ჯამბურიას, იმედი აქვს, რომ დამნაშავეს უახლოეს მომავალში დააკავებენ, რადგან მარლენ პატერსონის მსგავსი ველოსიპედი იმ მხარეში არავის აქვს.

თბილისის ყოფილი შერიფის ახალი ამპლუა

ცოტა ხნის წინათ დედაქალაქის პირველი პოლიციელი, პროფესიას მხოლოდ ნაწილობრივ იცვლის. შინაგან საქმეთა სტრუქტურებს ჩამოშორებული სოსო ალავიძე დამნაშავეობის ყველაზე საშიშ სახეობასთან ბრძოლის ახალ ფორმას ირჩევს და ტერორიზმსა და ორგანიზებულ დანაშაულთან შერკინებას მეცნიერული ხერხებით აპირებს. საამისოდ კი, მან, სხვა არაერთი ყოფილი პოლიციის ჩინოსნის მსგავსად, არასამთავრობო ორგანიზაცია ჩამოაყალიბა – "ტერორიზმისა და სხვა სახის ორგანიზებული დანაშაულის კვლევის ცენტრი." მასში ქალაქის ყოფილი შერიფის ყოფილი თანამებრძოლები და მეცნიერები ერთიანდებიან. მიუხედავად ორგანიზაციის ასაკის სიმცირისა – იგი ჯერ სულ რაღაც ორ თვეს ითვლის, ძველი კონტაქტების გამოყენებით, თბილისის პოლიციის ყოფილმა შეფმა იმ უცხოურ ორგანიზაციებთან დაამყარა ურთიერთობა, რომლებიც იდენტურ პრობლემებზე მუშაობენ. უკვე მზადდება პირველი ნაშრომიც – ტერორიზმის სისხლის სამართლებრივი და კრიმინოგენული ასპექტების შესახებ.

"დანაშაული სოციალური მოვლენაა და, შესაბამისად, მის მიმართ მეცნიერული მიდგომა ძალზე ეფექტურია. 15 წელიწადი შევალიე დამნაშავეობასთან ბრძოლას და კარგად ვიცი, დანაშაულის შემდგომი ღონისძიებები რასთან არის დაკავშირებული. ამიტომაც მიმაჩნია, რომ დანაშაულთან ბრძოლას პრევენციული მიდგომა სჭირდება — გაცილებით მნიშვნელოვანია, დანაშაულის თავიდან აცილება, ვიდრე უკვე მომხდარის გამოძიება. ექიმებისგან ავიღოთ მაგალითი, ისინი საღად და სხარტად მოაზროვნე ხალხია და დაავადებასთან პრევენციული ბრძოლაც სწორედ მათი მოგონილია. არავინ შემედავება, რომ ჯობია, დანაშაული ჩანასახში აღმოიფხვრას და სწორედ ამას მოემსახურება ჩვენი ორგანიზაცია", – განაცხადა ჩვენთან საუბარში თავად სოსო ალავიძემ.

ვინ მოკლა პრორუსული ორიენტაციის ჩეჩენი ჩინოვნიკი

სოფიკო ჩხაიძე

გუშინწინ მშობლიური სოფლის ბენო-იურტის მახლობლად მოკლეს ნადტერეჩნის რაიონის ხელმძღვანელი, ჩეჩნეთის ექს-ლიდერის დოკა ზავგაევის ძმა ახმედ ზავგაევი. თავდასხმა დღის 4 საათზე მოხდა. ზავგაევი, რომელმაც მთელი დღე ჩეჩნეთის მთავრობაში გაატარა, სადაც, პრემიერ-მინისტრ ილიასოვთან ერთად, მის რაიონში მოწეული ხორბლის მოსავლის რეალიზებაზე მსჯელობდა, შინ ბრუნდებოდა. მის კუთვნილ "ვოლგაში," ზავგაევთან ერთად, რაიონის ხელმძღვანელის თანაშემწე ქალი იჯდა. ზავგაევის სახლთან ახლოს მძღოლმა ღია ფერის მანქანა შენიშნა, რომლიდანაც ოთხი მამაკაცი გადმოვიდა, ზავგაევის "ვოლგას" მიუახლოვდა და ცეცხლი გახსნა. ქალი მაშინვე დაიღუპა, ზავგაევმა კი უმძიმესი ჭრილობები მიიღო და გონება დაკარგა. ხმაურზე ადგილობრივი მაცხოვრებლები გამოცვივდნენ, გამოჩნდა მილიციაც. ამ დროისთვის თავდამსხმელთა მანქანა აღარსად ჩანდა. რაიონის ხელმძღვანელი რაიონული ცენტრის საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ მისი ჭრილობები სასიკვდილო აღმოჩნდა და 25 წუთში გარდაიცვალა კიდეც.

ახმად ზავგაევის მკვლელობამ შოკში ჩააგდო ჩეჩნეთის პრორუსული ხელისუფლება. ის, შეიძლება ითქვას, ყველაზე პრორუსული ჩინოვნიკი იყო მთელ ჩეჩნეთში, მისი რაიონი კი ყველაზე მდიდარი და სტაბილური გახლდათ. სწორედ წელს ნადტერეჩნის რაიონმა ხორბლის მოსავლის რაოდენობით 1965 წელს დამყარებული რეკორდი მოხსნა.

როგორც ამბობენ, ზავგაევი ჩეჩნეთში უფრო დიდი გავლენით სარგებლობდა, ვიდრე ჩეჩნეთის ახლანდელი ლიდერი კადიროვი. თუმცა, ამ უკანასკნელის მხრიდან ხელისუფლებისთვის ბრძოლისას კონკურენტების მოშორებას ნაკლებად უკავშირებენ ამ მკვლელობას, რადგანაც არც ისე დიდი ხნის წინ ახმად და დოკა ზავგაევებმა (რომელიც ახლა რუსეთის სრულუფლებიანი ელჩია ტაილანდში) საჯაროდ განაცხადეს, რომ ხელისუფლებაში მოსვლას არ აპირებენ.

ამჟამად გამოძიებას დაკავებული ჰყავს რამდენიმე პირი, რომლებიც მკვლელობის მომენტში შემთხვევის ადგილის მახლობლად იმყოფებოდნენ. თუმცა, მიიჩნევენ, რომ ეს ხალხი უფრო დანაშაულის თვითმხილველია, ვიდრე მონაწილე. მიუხედავად ამისა, გამომძიებლები ირწმუნებიან, რომ უკვე დადგენილია ზავგაევის მკვლელობაში ეჭვმიტანილთა წრე და ვარაუდობენ, რომ ისინი უშუალოდ ამ რაიონში მოქმედი ჩეჩენი ბანდიტები არიან.

მართალია, გამოძიების მტკიცებით, ისინი მკვლელობის გარკვეულ კვალს დაადგნენ, მაგრამ მაინც განიხილავენ ზავგაევის მკვლელობის რამდენიმე ვერსიას. ერთი მათგანი ნავთობს უკავშირდება, რომელიც ნადტერეჩნის რაიონში საკმარისზე მეტია. რაიონის ხელმძღვანელად მოსვლისთანავე ზავგაევმა და მისმა ხალხმა ნავთობის უკანონოდ გადამზიდავებს ომი გამოუცხადეს. ცოტა ხანში კი ახალი პრობლემა წამოიჭრა – ინგუშებმა საზღვარი ისე გადმოსწიეს, რომ მათ ტერიტორიაზე აღმოჩნდა ქვეყნის უმსხვილესი ჭაბურღილი, რომელზეც დღეში 80 ტონა ნავთობის მოპოვება ხდება. ამის გამო ზავგაევს ინგუშებთან დიდი უთანხმოება ჰქონდა, ბოლოს კი ისინი ტრაქტორების ქურდობაში დაადანაშაულა.

მკვლელობაში ინგუშების მონაწილეობის ვერსიაზე მეტად რუსი გამომძიებლები თავდასხმაში ჩეჩენი ბოევიკების კვალს ხედავენ, რომლებსაც აქტიური კამპანია აქვთ გაჩაღებული პრორუსული ორიენტაციის მქონე თანამემამულეების წინააღმდეგ.

სხვათა შორის, "გაზეტა.რუ"-ს ჟურნალისტებს, რომლებიც ჩეჩენი ბოევიკების მკვლელობაში მონაწილეობის ვერსიას სხვა ვერსიებთან ერთად ავრცელებენ, ცოტა არ იყოს, აეჭვებთ ის ფაქტი, რომ ზავგაევზე თავდასხმა იმ ხერხით კი არ განხორციელებულა, როგორც ეს ჩეჩენ ბოევიკებს ახასიათებთ, არამედ მოსკოველი ქილერებისთვის დამახასიათებელი მეთოდით. მიუხედავად ამისა, ჩეჩნური კვალის არსებობა ამ მკვლელობაში არ გამოირიცხება, რადგან მასხადოვის მომხრე ჩეჩნებს ზავგაევის მტრობა დიდი ხანია, გულში უდევთ. თუმცა, გარდა ინგუშებთან და თავისსავე თანამემამულეებთან მტრობისა, ზავგაევს უსიამოვნებები ჰქონდა მოსკოვშიც. როდესაც მისი ძმა ჩეჩნეთის ხელისუფლებაში მოვიდა, ახმად ზავგაევმა ვაჭრობის მინისტრის პოსტი დაიკავა და მისი სახელი ფიგურირებდა 25 მილიარდი არადენომინირებული რუბლის მიტაცების საქმეში. ეს ფული იქნა გადახდილი მოსკოვის ფაბრიკა "კრასნი სუკონშიკთან" დადებულ ერთადერთ კონტრაქტში, რომლის მიხედვითაც ფაბრიკას გროზნოში საფეიქრო ნაწარმი უნდა ჩაეტანა, მაგრამ ფული და პროდუქცია გაქრა. მიტაცება მაშინ გამოვლინდა, როცა ხელისუფლებაში ასლან მასხადოვი მოვიდა. თუმცა, რატომღაც მხოლოდ ფაბრიკის დირექტორი გაასამართლეს და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მოგვიანებით მას ამნისტია შეეხო და გათავისუფლებული ქილერმა მოკლა. როგორ დააღწია მაშინ თავი ზავგაევმა პასუხისმგებლობას, დღემდე უცნობია.

დაისჯებიან ჟურნალისტები

მოსკოვის პროკურორის მიხეილ ავდიუკოვის განცხადებით, მემარჯვენე ძალების კავშირის ლიდერის ბორის ნემცოვის სატელეფონო საუბრების უკანონო მოსმენების გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას, სამართლებრივი შეფასება მიეცემა იმ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ქმედებას, რომლებმაც ეს საუბრები გაშიფრეს და გამოაქვეყნეს. როგორც ცნობილია, ნემცოვის სატელეფონო საუბრის სტენოგრამა გაზეთ "სოვეცკაია როსიაში" გამოქვეყნდა.

"ჩვენ მოვკითხავთ არა მარტო მათ, ვინც უკანონოდ მოიპოვა ინფორმაცია, არამედ გავარკვევთ, ხომ არ იკვეთება დანაშაულის ნიშნები იმ მასობრივი საინფორმაციო საშუალებათა მოქმედებაში, რომლებმაც ეს ინფორმაცია გამოაქვეყნეს", – განაცხადა რუსეთის დედაქალაქის პროკურორმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სატელეფონო საუბრების გაზეთში გამოქვეყნებამდე სისხლის სამართლის საქმე აღძრული იყო ნემცოვის ტელეფონების შესაძლო მოსმენის გამო.

რადუევის მარჯვენა ხელს რუსეთს გადასცემენ

მინსკში დაკავებულ საიპუდი უმხაევს, რომელიც გენერალ დუდაევის არმიის მთავარსარდლის სალმან რადუევის პირველი მოადგილე გახლდათ, ბელორუსის მთავრობა 15 სექტემბერს რუს სამართალდამცველებს გადასცემს. ამის შესახებ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა ბელორუსის შინაგან საქმეთა მინისტრის პრეს-მდივანმა.

როგორც ბელორუსის სუკ-ის ინფორმაციისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების ცენტრის ხელმძღვანელი აცხადებს, უმხაევი ბელორუსის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებმა 29 აგვისტოს ადმინისტრაციული წესით დააკავეს. ამჟამად იგი ბელორუსის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში, მინსკის შს სამმართველოს პარტიზანების სპეციალურ მიმღებ-გამანაწილებელში იმყოფება.

9 / 11



გლოვა

ჭირისუფლები

მელორ სტურუა

საქ. კორესპონდენტი
აშშ. მინეაპოლისი

ეს ორი ციფრი, აგერ, უკვე წელიწადია, მყარად დომინირებს ამერიკელთა გონებაში და აინშტაინის ფარდობითობის თეორიაზე უფრო პოპულარულიც კი გახდა, რადგან მათ ფარდობითობის თეორიასთან კი არა, ყოველი იანკისთვის სისხლხორცეულად ახლობელ მოვლენასთან აქვს საქმე. როცა ამერიკელები რაიმე თარიღს წერენ, ჩვენგან განსხვავებით, ისინი ჯერ თვეს და შემდეგ რიცხვს აღნიშნავენ. 9 - ეს სექტემბერია, 11 - რიცხვი. 9/11 - შტატებში მხოლოდ ამერიკის მიწაზე ყველაზე მასშტაბური ტერაქტის თარიღს კი არ აღნიშნავს, არამედ ის გახდა აბრევიატურა ურთულესი მოვლენისა და, თავისი მნიშვნელობით, დიდად გასცდა იმას, რაც ერთი წლის წინ ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში მოხდა. თავად ტერაქტი ამერიკული მეცნიერების შეგნებასა და ფსიქოლოგიაში სიღრმისეული წინსვლის დეტონატორი გახდა, რის შედეგადაც ყველაფერი შეიცვალა და ამავე დროს დარჩა ისე, როგორც იყო. სწორედ ამ პარადოქსშია 9/11 ფორმულის არსიცა და საიდუმლოც, რისი ამოხსნაც ამერიკელებს, ასე თუ ისე, მაინც მოუწევთ. მოუწევს მთელ პლანეტასაც, რადგან, როცა ამერიკა აცემინებს, მთელ მსოფლიოს ციება იპყრობს, ხოლო როცა ამერიკას ემართება ციებ-ცხელება, მაშინ მსოფლიო ტრანსში ვარდება.

9/11-ის წლისთავი პირველად გაფიქრებინებს, რომ ამერიკელ აქილევსსაც აქვს სუსტი ქუსლი, რომელიც ნებისმიერ ჯუჯას შეუძლია განგმიროს, თუ ამ ჯუჯა სხეულში ფანატიკოსის დიდი გული ძევს. არა, ეს არ გახლავთ თქმულება დავითსა და გოლიათზე, რადგანაც ამერიკა მხოლოდ ზომებითაა გოლიათი, ხოლო ტერორიზმს დავითის მორწმუნეობრივი ღირსებები არ გააჩნია. 9/11-მა მთელი სისასტიკით დაანახა ამერიკას, რომ არ შეიძლება, მთელ მსოფლიოს თავს მოახვიო გლობალიზაცია, როცა თავად ცხოვრობ პრინციპით, "ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა," რადგან გლობალიზაცია ტერორიზმსაც მოიცავს. სიმბოლურია, რომ ცათამბჯენი ტყუპები ნიუ-იორკში და პენტაგონი ვაშინგტონში განგმირეს არა ბომბებმა და რაკეტებმა, არამედ "გლობალიზაციის მტრედებმა" - სამგზავრო თვითმფრინავებმა.

ჯერ კიდევ კვამლი ასდიოდა ნანგრევებს, ამერიკა კი უკვე ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ აღნიშნავდა კატასტროფის წლისთავს. ეძებდა პრეცედენტებს. პრეცედენტები... კარგად მახსოვს, სტალინის სიკვდილის შემდეგ ამოვწიეთ "იზვესტიის" ის ნომრები, რომლებშიც ლენინის სიკვდილი და დაკრძალვის ცერემონიალი შუქდებოდა. პრეცედენტს ვეძებდით. ჩვენ ვიცოდით, როგორ უნდა დაგვეკრძალა პოლიტბიუროს წევრები, მინისტრები, აკადემიკოსები, არტისტები... მაგრამ როგორ დაგვეკრძალა ბელადი, რომელიც უკვდავი გვეგონა? ლენინის ნომრებმა არაფერი მოგვცა. ერთ-ერთი ნომრის პირველ გვერდზე ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად სუფევდა ამბავი ლენინის სიკვდილის შესახებ და ექიმ-ვენეროლოგთა სარეკლამო განცხადებები. პრეცედენტი უპრეცედენტო აღმოჩნდა.

ამერიკელებიც ზუსტად ასე მოიქცნენ. მათ მიმართეს 1942 წლის 7 ნოემბერს - იაპონელთა პირ-ჰარბორზე თავდასხმის წლისთავს, მაგრამ ბევრი ვერაფერი ამოაჩინეს. პრეზიდენტი რუზველტი მიმდინარე საქმეებით იყო დაკავებული და მეორე მსოფლიო ომი ედო ცხვირწინ. როცა პირველ ლედის - ელეონორა რუზველტს ჰკითხეს, გამოეცხადებინათ თუ არა 12/7 ნაციონალურ გამოსასვლელ დღედ, მან უპასუხა, რომ "12/7-მა შრომისთვის უნდა განგვაწყოს". ეს დღე, წუთიერით კი არა, სულ რაღაც 30-წამიანი დუმილით აღინიშნა. ამერიკელებმა პრეზიდენტ კენედის დაღუპვის წლისთავსაც მიმართეს. პრეცედენტი კვლავ არ არსებობდა. იმ დროს მხოლოდ მემორიალური რიტუალი და საზოგადოებრივი ობიექტებისთვის დაღუპულის სახელის მინიჭება იყო მოდაში.

ისტორიის მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ. აი, სწორედ ამიტომაა, რომ კაცობრიობას არ შეუძლია ისტორიის გაკვეთილების სწავლა. 9/11 არ იყო არც 12/7 და არც 11/22...

რადგანაც ჰერაკლიტეს მდინარე გავიხსენეთ, კიდევ ერთი დიდი ბერძენიც არ დავივიწყოთ - გავიხსენოთ პერიკლეს სიტყვა, თქმული პელოპონესის ომში დაღუპულ ათენელთა დაკრძალვის ცერემონიალზე. მან თქვა, რომ უსამართლოდ ვიქცევით დაღუპულ მეომართა წინაშე, როცა მათ სულებს მოვიხსენიებთ. ყველაფერი, რაც მათზე ითქმებოდა, "ძალზე ცოტაა ან ძალზე ბევრი. ზომიერად ნათქვამიც კი არ იქნებოდა სიმართლე". პერიკლეს, არცთუ უსაფუძვლოდ, ეშინოდა იმისი, რომ სულთა მოხსენიება ტრივიალურობის მორევში შთაინთქმებოდა.

ამერიკელები სულ არ არიან ბერძნები. ისინი, უფრო თანამედროვე რომაელები, მსოფლიოს მბრძანებლები არიან. მათთვის უცხოა ოქროს შუალედის ბერძნული შეგრძნება. მათ იციან, რა არის ოქრო; შუალედი კი, როგორც "დედამიწის ჭიპს", საკუთარი თავი ჰგონიათ. როცა 9/11-ის წლისთავისთვის ემზადებოდნენ, არავის უფიქრია გადაჭარბებაზე. ყველა ფიქრობდა სწორედ იმაზე, რომ არ ჩამორჩენილიყვნენ გადაჭარბებას. გადაჭარბება ყოველთვის პატრიოტულია, ზომიერება კი - ღალატის ტოლფასი.

ეს ყველაფერი, პირველ რიგში, ტელევიზიას ეხება. მან შტატებში ღვთისა და ერის ხმის უზურპაცია მოახდინა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ისტორია დრამას ჰგავდა, მოგვიანებით კი ის დრამის სატელევიზიო ვარიანტს დაემსგავსა. დღეს ტელევიზიამ ისტორია თავისი რამე-რუმეებით შეყლაპა. 9/11 საკუთარი თვალით მხოლოდ რამდენიმე ათასმა ადამიანმა ნახა. ცათამბჯენების ფოლადსა და მინაზე შეჯახებულ "ბოინგებს" ამერიკა და მთელი მსოფლიო ტელევიზიით უყურებდა. პირადად მე ეს შემზარავი კადრები მოსკოვის სასტუმრო "მეტროპოლის" ნომერში ვნახე. ეს კადრები კატასტროფის შესახებ გადაღებულ ფილმ-ბლოკბასტერის ვირტუალურ-კომპიუტერულ ტრიუკებს ჰგავდა. ჰოლივუდი კატასტროფულია. რაც უფრო დიდია კატასტროფა, მით უფრო მეტია მოგება. მაგრამ 9/11 არ იყო ვირტუალური კატასტროფა. ეს რეალობა იყო.

ახლა, ერთი წლის შემდეგ, ტელევიზია თავად ცდილობს, 9/11 ვირტუალური გახადოს. ძირითადი არხები გვპირდებიან, რომ დაფარავენ საკუთარ, ანუ ჩვენს ეკრანს - როგორც ამერიკელები ამბობენ - "კედლიდან კედლამდე დაგებული ხალიჩებით". "ეი-ბი-სი" გვპირდება ტელემარათონს სათაურით "ამერიკა იგონებს"; "პი-ბი-ესი" – "გვახსოვს"; "ფოქსი" - "9/11 - დღე, რომელმაც ამერიკა შეცვალა"; "სი-ბი-ესი" - "9/11 - დღე, როდესაც ამერიკა შეიცვალა"; "ეი-ბი-სი" - უბრალოდ, "9/11"... სად ხარ, ო, პერიკლე!

სატელევიზიო ამერიკისგან განსხვავებით, კორპორაციულმა ამერიკამ გადაწყვიტა, ეს დღე დუმილით აღნიშნოს. მან განაცხადა, რომ საყოველთაო მოხსენიების დღეს თავის პროდუქციას რეკლამას არ გაუკეთებს. რა არის ეს - პატრიოტული ნაბიჯი, რომელიც ასიათასობით დოლარი დაჯდა? სულაც არა. ეს ჯანსაღი საქმიანი ანგარიშია - ცინიკური, მაგრამ მოხერხებულად მორგებული კეთილშობილების ნიღაბი. სარეკლამო სააგენტოების საქციელი, რომელთაც ეკრანზე გამუდმებით ყოფნა არ უნდათ, გულწრფელად მეტყველებს იმაზე, რომ მათი კორპორაციული კლიენტები ერიდებიან 9/11-ში გამოჩენას, რათა თავი არ მოაბეზრონ მგლოვიარე მომხმარებელს. როგორც "კოკა-კოლას" წარმომადგენელმა განაცხადა, "ჩვენ არ გვსურს, საყოველთაო მოხსენიების დღეს ეკრანზე ჩვენი ეტიკეტებით აღჭურვილი ბოთლები ხტუნავდნენ". ეს არ სურთ არც "მაკდონალდსის" ჰამბურგერებს, არც "ფორდის" ავტომობილებს და არც "დელის" კომპიუტერებს. არავის უნდა საკუთარი ბრენდის ღირსებების შელახვა ისე, როგორც ეს 1924 წლის იანვარში გაზეთმა "იზვესტიამ" გააკეთა, როცა პირველ გვერდზე ერთად მოხვდა ამბავი ლენინის გარდაცვალების შესახებ და ექიმ-ვენეროლოგთა სარეკლამო განცხადებები.

ევროპის გამტაცებელ ზევსის დარად, ტელევიზია 9/11-ის მოტაცებას ცდილობს. გაზეთი "უოლ-სტრიტ ჯორნალი", რუბრიკით "საოცრებათა ქვეყანა", აქვეყნებს სტატიას სათაურით: "9/11 ტელევიზიას ეკუთვნის". გაზეთი წერს: "ბრმისთვისაც კი ნათელია, რომ ჩვენი კულტურის თავს რაღაც ცუდი ხდება (თუკი "კულტურა" შეიძლება უწოდო იმას, რაც ხდება). რა საერთო აქვს კულტურასა და ადამიანთა ტრაგიკული დაღუპვით გამოწვეული გრძნობის გრანდიოზულ უმსგავსობად გადაქცევას? როგორ ავხსნათ ეს?.. დიადი ტრაგედიები ყოველთვის ხდება. ადამიანები გლოვობენ, კრძალავენ დაღუპულთ, ინახავენ მათ ხსოვნას და ნელ-ნელა ცხოვრების დინებას უერთდებიან. მაგრამ ტელევიზია ჩაერია და დაამახინჯა მთელი პროცესი, დაამახინჯა მწარე რეალობა. ის გულწრფელ სიმპათიას მასობრივ სანახაობად გადააქცევს... რაღაც ეროტიულ ცნობისმოყვარეობად. მოხსენიებასა და მოტკბო, მოჩვენებით სანტიმენტალიზმს წყლის უთხელესი ჭავლი ყოფს. ტელევიზია გვაიძულებს, გადავლახოთ ეს ხაზი. და ეს გარდაუვალია, რადგან ტელევიზია სწორედ იმისთვის შეიქმნა, რომ ცხოვრება მელოდრამად გადააქციოს. ჩვენ ამას შევეგუეთ". დასასრულ, ავტორი ჩივის, რომ ამერიკის პოეტები არ გამოეხმაურნენ 9/11-ს. "ჩვენს მაგივრად პოეტები არ საუბრობენ, ჩვენს მაგივრად ლაპარაკობს ტელევიზია," - წერს ავტორი.

სატელევიზიო მარათონი "9/11," სარეკლამო ტიხრების გარეშე, კიდევ ერთ რამეზე მეტყველებს. როგორც აღმოჩნდა, არ არსებობს არც ერთი ისეთი რესპექტაბელური რეკლამა, რომლის ჩვენებაც ასეთ დღეს შეიძლება! ყოველი მათგანი, - წერენ გაზეთები, - სულელურია და ადამიანთა გონებრივ შესაძლებლობებს შეურაცხყოფენ. კი მაგრამ, 9/11-ის გარდა, წელიწადში ხომ კიდევ 364 დღეა! ესე იგი, ამ დანარჩენ დღეებში ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების შეურაცხყოფა შეიძლება. როგორც აღმოჩნდა, ბევრი "დიდი ბიზნესის კორიფე" კომპანია ცდილობდა, რაიმე "არავულგარულის" შეთხზვას და ვერ შეძლო - წარმოსახვა არ ეყოთ, ანდა - სინდისი. ჰოდა, გადაწყვიტეს, გაჩუმებულიყვნენ. მოცემულ, კონკრეტულ შემთხვევაში დუმილი - ოქროა.

გასული წლის 9/11-ში ამერიკული ტელეეკრანებიდან რეკლამა გაქრა. ასე გრძელდებოდა ოთხი დღე. შემდგომ კი რაღაც განახლებული, შურისმაძიებელი ნაკადით იხუვლა. წლევანდელი 9/11 არ გაგრძელდება ოთხ ურეკლამო დღეს... ერთიც საკმარისია. თუმცა, ურეკლამობაც რეკლამაა, "კაპიტალისტური ამერიკის კარგი გემოვნების, პატრიოტიზმის მაჩვენებელი რეკლამა, ბიზნესი, რომელიც ბიზნესია..."

9/11-ის ამგვარი გაზვიადებისგან მეხი დაეცემოდა ათენის ბრძენ მმართველ პერიკლეს, ასევე აჟრჟოლებთ დაღუპულთა ახლობლებსა და ნათესავებს. ბევრმა მათგანმა დიდი ხნით ადრე დაიწყო კამპანია ტელევიზიის მიერ წინასწარ გამოცხადებული "ტრაგედიის გრაფიკული კადრების" ჩვენების წინააღმდეგ. ბოსტონელი ქერი ლემაკის დედა "ამერიქენ ეირლაინ"-ის "ბოინგ"-ში დაიღუპა. მან ტელევიზიას მიწერა: "არ მსურს, მთელი დღის განმავლობაში რამდენჯერმე ვნახო, როგორ კლავენ დედაჩემს". ლემაკმა ინტერნეტით გაავრცელა თავისი წერილი და მას ასობით მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი გამოეხმაურა. მხოლოდ კომპანია "ემ-ეს-ეი-ბი-სიმ" დაიქირავა ბავშვთა ფსიქოლოგი, რათა 9/11-ისადმი მიძღვნილი გადაცემები "შეესწორებინა". და კიდევ "ეი-ბი-სის" თანამშრომლებმა მიიღეს განკარგულება ბოსებისგან, ტელეკადრები ფოტოკადრებით შეეცვალათ, "სადაც ეს შესაძლებელი იყო", ანუ კინეტიკური სიკვდილი სტატიკური სიკვდილით შეეცვალათ.

რაც შეეხება ფსიქიატრებს. "ეი-ბი-სის" გადაცემაში - "საქალაქო ყრილობა" - მონაწილეობას ფსიქიატრიც მიიღებს. მისი მოვალეობა იქნება, დამოძღვროს მშობლები, როგორ აუხსნან ბავშვებს ის, რაც მოხდა. გარდა ამისა, ამერიკულმა "წითელმა ჯვარმა" და ფონდმა “11 სექტემბერი” განაცხადეს, რომ თავის თავზე იღებენ იმ სულიერი დაავადებების მკურნალობას, რაზეც 9/11-მა იმოქმედა. მათ მიერ შემუშავებული პროგრამის მიხედვით, ფსიქიატრიულ დახმარებას გაუწევენ მათ, ვინც 9/11-ის მერე გალოთდა ან განარკომანდა. ეს პროგრამა არც მხოლოდ ვაშინგტონსა და ნიუ-იორკს და არც მხოლოდ ამერიკას მოიცავს. იგი მთელ მსოფლიოში გავრცელდება. ამერიკულ ტელევიზიას ხომ მთელი მსოფლიო უყურებს!

სატელევიზიო მაგნატებს ერთი საკითხი არ ასვენებთ - არის თუ არა ერი იმდენად გამოფიტული ემოციურად, რომ თარიღის ამდენ "აღნიშვნას" გაუძლოს. კომპანია “სი-ბი-ესის” პრეზიდენტი ასეთ საშიშროებას არ გამორიცხავს, მაგრამ, მისი თქმით, "უმჯობესია გადააჭარბო, ვიდრე რაღაც დააკლო 9/11-ში მომხდარის პატივისცემას".

მოკლედ, უმჯობესია, გადაამლაშო, ვიდრე არასაკმარისად დაამარილო ამერიკის ჯერ კიდევ სისხლმდენი ჭრილობა...

9/11-ის ტრაგედიის შემდეგ მთელი ამერიკა შეთქმულივით სკანდირებდა: "შევიცვალე!" იგულისხმებოდა - უკეთესობისკენ. თავს დამტყდარი მძიმე გამოცდა, მათ მონანიების და ცოდვებისაგან განწმენდის ნიშნად მიიღეს. უზენაესი ძალები ამცნობდნენ, რომ ამერიკა, რომელიც ყველა მძიმე ცოდვაში იყო გასვრილი, ბოლოს და ბოლოს აღარ არსებობს; რომ ტერორისგან გაუპატიურებულმა კვლავ დაიბრუნა ქალწულობა, უბიწოდ აღსდგა. ჰოლივუდმა გაქირავებისთვის გამზადებული კატასტროფა-ბლოკბასტერები თაროზე შემოდო. ტელევიზიამ დაიფიცა, ეკრანიდან გაექრო ე.წ. "რეალიტი შოუ", სადაც ადამიანის ღირსების შელახვასა და ექსპლუატაციაზე იყო საუბარი. პროფესიონალი სატირიკოსები, ჩვეული უხამსობის ნაცვლად, პატრიოტიზმზე ალაპარაკდნენ. მოდის კანონმდებლებმა ზეთავისუფალი სტილი აკრძალეს და სიმკაცრის დანერგვას ცდილობდნენ. მამაკაცებისთვის - პიჯაკური სტილი სავალდებულო ჰალსტუხით, ქალებისთვის - საშუალო სკოლის მასწავლებლებივით, კაბები მუხლს ქვემოთ. ჟურნალ-გაზეთებმა ქარაფშუტა ელიტქრონიკის ლიკვიდაცია გამოაცხადეს. კინოვარსკვლავთა და მაგნატთა ტრივიალური, ბუდუარული ფარსი მათ ლამის ეროვნულ მოვლენად შერაცხეს. თავად მაგნატებმა კი აღთქმა დადეს, ამიერიდან არ ეფანტათ ფული, დაეთესათ სიკეთე, ეფიქრათ არა მხოლოდ დოუ-ჯონსის ინდექსზე, არამედ საკუთარ და მოყვასთა სულებზე. რელიგიური რადიომქადაგებლები ცდილობდნენ, მრევლი სოდომიდან - განსაწმენდელში, გომორიდან სამოთხეში შეედენათ. ეკლესია მორწმუნეებს ველარ იტევდა, თეატრალური ბროდვეი გაუდაბურდა. თუმცა, კარგად ვერ გაერკვნენ, ვისი უფრო უნდა ეშინოდეთ - ღმერთის თუ უსამა ბინ ლადენის. ტურიზმი ჩაკვდა, ადამიანები შვებულებას, ჰავაისა და ფირუზისფერი სანაპიროების ნაცვლად, საკუთარი სახლის უკანა ეზოებში ატარებდნენ. ხალხმა შეწყვიტა ფრენა და ცურვა. უცბად გაახსენდათ - მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ცხოვრობენ, მიწიერნი არიან.

მაგრამ ხსნის არმიის მიერ შესრულებული მუსიკა დიდხანს არ ჟღერდა. ცხოვრება თავის წრეს დაუბრუნდა ისე, როგორც რეკლამა ოთხდღიანი "ბლექ-აუტის" შემდეგ. ჰოლივუდმა ადგილები შეუცვალა თაროზე განლაგებულ "პანდორას ყუთებს," საიდანაც დროებითი ამნეზიის შემდეგ გადმოცვივდნენ კრუზები, გიბსონები და ბოლოს და ბოლოს, შვარცენეგერები... სატელევიზიო "რეალიტი შოუ" უფრო ვულგარული სახით დაუბრუნდა ცისფერ ეკრანებს. მათი ახალი ბომბი გახდა სექსუალური ცხოველი ეიუ ნიკოლი, რომელმაც მიასიკვდილა მასზე 70 წლით უფროსი მილიარდელი ქმარი! პროფესიონალი "ტელეკლოუნები" კვლავ მასხარები გახდნენ და უცბად ჩამოიხსნეს მათი მხრებისთვის ასე მძიმე ჯვარი - ამერიკის ვარსკვლავ-ზოლებიანი დროშა. მაღალი მოდაც დაბლა დაეცა და შარშანდელი თოვლივით დაივიწყა მუხლსქვემოთა კაბები, "რომელიც საშუალო სკოლის მასწავლებლებს ეცვათ". ბეჭდვითმა სიტყვამ კვლავ დაიწყო მკითხველთა გულების განგმირვა ელიტური ჭორებით. გაზეთის გვერდები კვლავ დაამშვენეს ელიზაბეთ ტეილორმა, ლაიზა მინელმა, მაიკლ ჯექსონმა. პოლ მაკკარტნისა და ლიზ მარი პრესლის ქორწილი ლამის 9/11-ზე დაწვრილებით გაშუქდა. აღარაფერს ვამბობთ საერთოამერიკული სიყვარულის - ჯულია რობერთსის გათხოვების შესახებ. მაგნატებზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. 9/11-ის შემდგომი წელი უოლ-სტრიტის სკანდალების წელი იყო. კორპორაციულმა ამერიკამ კი, მხოლოდ ამ პერიოდში, აქციონერებს შვიდ ტრილიონამდე დოლარი მოპარა. ამ თანხას, სხვა ქვეყნების ოლიგარქები ვერც კი წარმოთქვამენ. თემიდას აღარაფერი დარჩენოდა იმის გარდა, რომ ზოგიერთი მათგანისთვის ფოლადის სამაჯურები ჩამოეცვა. ამერიკისთვის 9/11-ში მიყენებული ზიანი გაცილებით ჩამორჩება ჰერკულესის ზომებს, ვიდრე უოლსტრითელი თალიბების ყაჩაღობით გამოწვეული ზარალი. კვლავ ჩახჩახებენ თეატრალური ბროდვეის ლამპიონები; კვლავ დატრიალდა "რულეტკები" ლას-ვეგასისა და ატლანტიკ-სითის კაზინოებში. აი, ტურიზმი და მასთან დაკავშირებული ინდუსტრია კი ისევ კოჭლობს. ავიაკომპანიები და გემთმფლობელები ერთმანეთის მიყოლებით კოტრდებიან. თუმცა, ეს “ალ ქაიდას” კი არა, ამერიკის ციკლურ ეკონომიკას ბრალდება.

მოკლედ, ამერიკელებისგან წმინდანთა ერი არ გამოვიდა. და ეს, გარკვეულწილად, თავად ამერიკისთვისაც და მთელი მსოფლიოსთვისაც კარგია, რამეთუ წმინდანთა ასეთ ინფლაციას ვერავინ გაუძლებდა - ვერც თავად ეს ქვეყანა, ვერც დანარჩენი კაცობრიობა და ვერც თვით ვატიკანი. ისიც საკმარისია, რომ ამერიკა, არსებითად, მთელ ჩვენს პლანეტაზე ბატონობს. რაღაში სჭირდებათ ცა? ნუთუ "ვარსკვლავური ომების" არა სპილბერგისეული, არამედ რამსფელდისეული ვერსიისათვის? ღმერთმა დაგვიფაროს...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის
პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქციები კითხვის შედგენისათვის:
[illegible] 20 000 [illegible] 200 [illegible] 400 [illegible] 1971-1991 [illegible]

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

[illegible]

სახელი და გვარი
პირადი მისამართი:
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible] "რუსთავი 2", [illegible] "ხალხის პირისპირ", [illegible] 45, 380077 [illegible] 20-00-42.

[illegible]
[illegible] "24 საათი" [illegible] "რუსთავი 2" [illegible]

[illegible]

www.24hours.ge 24 B

ფრენა და მრისხანება

ჯონ აპდაიკის წერილი ცხელ გულზეა დაწერილი და იგი მოვლენიდან ორიოდე დღის შემდეგ გამოქვეყნდა New Yorker-ში. ჯონ აპდაიკი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ამ მოვლენას გამოეხმაურა არტურ მილერთან, სიუზან სონტაგთან, სალმან რუშდისთან, იან მაკიუენთან, არუნდატი როისთან, ორჰან პამუკთან, ჰარუკი მურაკამისთან და სხვებთან ერთად. ეს წერილი სულთათანაცაა და პროზაც, გამოთხოვებაცა და მომავლის იმედიც, და რაც მთავარია, ესაა რეალობა, რომელიც ასეთი შორი და ირეალური ჩანდა ჩვენთვის სექტემბრის იმ დღეს და რომელიც ასე ხშირად გვახსენებს ხოლმე თავს. დაბოლოს, ამ ლიტერატურას ახლადამოწვერილი მზის სხივები დაჰნათის.

ჯონ აპდაიკი


ჯონ აპდაიკი

REUTERS

REUTERS

უეცრად გავხდით ერთდროულად შთამბეჭდავი და შემზარავი ფაქტის მოწმენი და ჯერ კიდევ ვცდილობთ, როგორმე ის ჩვენს საკუთარ უძლურებამდე არ დავამდაბლოთ.

მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ნგრევას თვალი ბრუკლინ ჰაიტსის ერთ-ერთი შენობის მეათე სართულიდან ვადევნე (ნათესავთან ვიყავი სტუმრად). იქიდან დანახული ტელევიზიისთვის დამახასიათებელი ყალბი ინტიმურობით გამოირჩეოდა. ოთხი წლის გოგონა და მისი გადია, ბიბლიოთეკიდან ტელეფონით სახლში რეკავდნენ და კვამლში გახვეული ჩრდილოეთის კოშკის ფანჯრიდან ყურადღების მიქცევას ცდილობდნენ.

თავიდან მომეჩვენა, რომ ნანახმა ცნობისმოყვარეობა უფრო გამიცხოველა, ვიდრე შემზარა: ნაფლეთებნარევი კვამლი უღრუბლო ცაში იკლაკნებოდა, გრანდიოზული ნაგებობის ზედაპირი ვერტიკალურად დანაოჭებულიყო და იქიდან უცნაური, მელნისფერი ნაკადი ქვემოთ მოედინებოდა.

მსოფლიო სავაჭრო ცენტრის კოშკები ქვედა მანჰეტენს ფერმკრთალ ფონს უქმნიდნენ. "ტყუპები" ნიუ იორკში არც ისე უყვარდათ, როგორც 30-იან წლებში ქალაქის ცენტრში აღმართული ცათამბჯენები, მაგრამ არქიტექტურული სისადავით და მასშტაბებით შენობები დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენდნენ.

ბუშტის ფორმის ალი “ტყუპისცალი” ცათამბჯენიდან ჩვენს თვალწინ ავარდა (იქვე მდებარე შენობის გამო ვერ დავინახეთ, როგორ მიუახლოვდა შენობას თვითმფრინავი), მაგრამ მაინც ვერაფრით ვირწმუნე, რომ ეს ყოველივე რეალობა იყო (ტელევიზორის ცქერისასაც ასე ხდება ხოლმე); მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ სიტუაციის გამოსწორება შეიძლებოდა; რომ ტექნოკრატიაში, რომლის სიმბოლოსაც “ტყუპები” წარმოადგენდნენ, მოიძებნებოდა ცეცხლის ჩაქრობის საშუალება.

და უკვე შემდეგ, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში, ჩემს მეუღლესთან ერთად, ბრუკლინში, შენობის სახურავზე ვიდექი და ვუყურებდი, თუ როგორ გაქრა ჩვენი მხედველობის არედან სამხრეთ კოშკი. ის ლიფტივით ჩასრიალდა; თითქოს, მართლაც ერთ სწორ ხაზზე მოძრაობსო, პირდაპირ მიწისკენ დაეშვა სტვენით, ცახცახითა და ღრიალით. მე და ჩემი ცოლი მაშინვე მივხვდით, რომ ათასობით ადამიანის სიკვდილის მოწმენი გავხდით. ერთმანეთს მაგრად ჩავეჭიდეთ, თითქოს ჩვენც მიწაზე ვეცემოდით. ისტ რივერის გადაღმა, ბრჭყვიალა, უგრძნობ შენობებს შორის, ცის ქვეშ, თითქოს ელექტრონული ბრძანებით, ცარიელი ადგილი გაჩნდა; სქელი კვამლი თანდათან იზრდებოდა, მტვერმა დაფარა მთელი ქვედა მანჰეტენი. მეორე კოშკის ჩამოქცევა ტელევიზორში ვნახეთ, “ტყუპების” მიმართულებით სიჩქარეაკრეფილი თვითმფრინავის, აალებული საწვავის და აფეთქებული კოშკის კადრებს განუწყვეტლივ იმეორებდნენ. და ამ საზარელი კადრების ხელახლა დატრიალება ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს, კოშმარული სპექტაკლის რეპეტიციას ვუცქერდით.

კოშმარი არ დამთავრებულა. დაღუპულთა გვამებს კვლავაც ნანგრევები ფარავს; ჯერაც აღრიცხავენ უკანასკნელი წამების სატელეფონო ზარებს – საოცრად მშვიდი და მოსიყვარულე ტექსტებით; თვითმფრინავის გუგუნის გაგონებაზე მორიგი საფრთხე გვახსენდება; ალბათ, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ბორტზე ყოვლისმცოდნე კაცის უდარდელობით ავდიოდით. მიზანსწრაფულ უცნობებს, რომელთაც წამებულის გზა აირჩიეს, მომავალშიც შეუძლიათ იმ ნგრევის გამოწვევა, რწმენას რომ გვინერგავს.

ომის დაწყების ერთგვარი წინაპირობა მრისხანებაა, რომელიც ბოლომდე გააზრებული არ უნდა იყოს. სწორედ ამ აბსტრაქტული, გაურკვეველი სიბრაზის გამო გამოიყენეს იარაღად თვითმფრინავის მშვიდობიანი მგზავრები (მათ შორის, ბავშვებიც). ამ აბსტრაქტული მრისხანებით მეორე მხარე გამოირჩევა. ჩვენ კი გადარჩენილთა მიწიერი მოვალეობები გვაკისრია – გავამთელოთ ნამსხვრევები, მიწას მივაბაროთ მიცვალებულები, უფრო გავფრთხილდეთ და საკუთარ თავში სიცოცხლისთვის საჭირო ძალა ვიპოვოთ.

თავდასხმისთვის გამოიყენეს ამერიკის ერთ-ერთი სიამაყე – გადაადგილების თავისუფლება. და ამ ფონზე, თითქოს, უპრიანია კითხვა – არის კი ჩვენთვის მისაღები ისეთი თავისუფლება, რომელიც კამიკაძე მფრინავებს, ვთქვათ, ფლორიდის საავიაციო სკოლაში განათლების მიღების შანსს მისცემს? ერთ-ერთი ეჭვმიტანილის ფლორიდელი მეზობელი იგონებს, რომ კამიკაძეს არ მოსწონდა ამერიკა: “ის ამბობდა, რომ ამერიკა ზედმეტად თავისუფალია, რომ ამერიკელები წინდაუხედავები არიან. ამბობდა: “სადაც მომესურვება, ყველგან წასვლა შემიძლია. ვერავინ შემაჩერებს”. მისი ჩივილი ოდნავ უცნაურად ჟღერს, ისე, თითქოს იხვეწებოდეს, გამაკავეთო.

არანაკლებ უცნაური გრძნობაა დადუმებული ცის მოსმენა – ამერიკის თავზე ხომ, ჯერჯერობით, ფრენა შეწყვეტილია და თვითმფრინავების გუგუნი აღარსად ისმის. მაგრამ წერტილი აქ არ უნდა დავსვათ - ფრენა აუცილებლად უნდა განვაგრძოთ. გარისკვა საფასურია, რომელიც თავისუფლების მისაღწევად უნდა გავიღოთ. უფრო მეტიც, როდესაც 11 სექტემბრის შუადღეს ბრუკლინ ჰაიტსზე დავსეირნობდი (ფერფლი ჰაერში დაფარფატებდა, ქუჩებში მანქანების სიხალვათე იგრძნობოდა, მონტეგიუ სტრიტზე, ღია ცის ქვეშ მოწყობილ კაფეებში ბრუკლინელები ისე მშვიდად საუზმობდნენ, თითქოს, არაფერი მომხდარიყოს), ვიგრძენი, რომ ყოველგვარი მარცხის მიუხედავად, ამერიკა ის ქვეყანა იყო, რომლისთვის ბრძოლაც ღირდა. შეუძლებელი იყო, არ მეგრძნო, არ ალმექვა თავისუფლება, რომელიც ქუჩების მრავალფეროვნებაში და ყოველდღიური ცხოვრების სიმშვიდეში ირეკლებოდა. თავისუფლება ხომ კაცობრიობის ელექსირია, იმის მიუხედავად, რომ მას ზოგიერთები საწამლავად იყენებენ.

მეორე დილას ისევ იმ ადგილას დავბრუნდი, საიდანაც წინა დღით ნგრევას ვუყურეთ. შენობების აღმოსავლეთ ფასადებს ახლადამოწვერილი მზე დაჰნათოდა, მდინარეზე ნავები ირწეოდნენ, ნანგრევებიდან კვლავაც ამოდიოდა კვამლი, მაგრამ ნიუ იორკი მაინც დიდებული სანახავი იყო.

ფილმით, ცეკვით და სიმღერით გაცოცხლებული ტრაგედია

ხელოვანები იგონებენ 11 სექტემბერს

თამარ ბაბუაძე

ფილმის ავტორები: ალეხანდრო გონსალეს ინარიტუ, ამოს გიტაი, სამირა მახფალბაფი, კლოდ ლელუში და დენის ტანოვიჩი
REUTERS

ამერიკული ტრაგედია თუ გლობალური კატასტროფა? – თავიდან კითხვა ასე დაისვა. თუმცა, მსოფლიომ მალევე გაიაზრა, რომ “ტყუპების” აფეთქებით, ტერორისტებმა არა მხოლოდ ნიუ იორკელების ღირსება შეურაცხყვეს. ტერაქტები იმ გლობალური საფრთხის სიმბოლო აღმოჩნდა, რომელსაც საერთაშორისო ტერორიზმი დაარქვეს და რომლის წინააღმდეგაც მთელი დასავლური სამყარო გაერთიანდა.

ასე რომ, დღეს აღარ კითხულობენ – რა იყო ეს – მხოლოდ ამერიკელთა პირადი პრობლემა, თუ მთელი მსოფლიოს თავსატეხი. ტერაქტებიდან ერთი წლის თავზე ყველამ კარგად იცის, რომ შარშან, 11 სექტემბერს კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა, ზოგადად, მშვიდობა, სიცოცხლე და მსოფლიო (მერე რა, რომ “ტყუპები” მხოლოდ მანჰეტენს ამშვენებდა და არა, ვთქვათ, რომს. ის მსოფლიო სავაჭრო ცენტრი იყო და ე.ი. მთელ მსოფლიოს მოიცავდა).

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დღეს, ტერაქტების წლისთავზე, დედამიწა გადარჩენას აღნიშნავს, პატივს მიაგებს დაღუპულებს და, უბრალოდ, იხსენებს იმ საზარელ დღეს.

მედია, კინო, თეატრი, წიგნი, მხატვრობა – გახსენებისთვის უამრავი საშუალება არსებობს. მსოფლიოსაც ძალ-ღონე არ დაუშურებია და ერთი წლის წინანდელი მოგონებების გასაცოცხლებლად ყველანაირი რესურსი გამოიყენა. ტერაქტების წლისთავს მიეძღვნა უამრავი კულტურული ღონისძიება, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. დაიგეგმა გამოფენები, ლექციები, სიმფონიური ორკესტრების კონცერტები, სპექტაკლები. შარშანდელი ტრაგედია ცეკვითაც კი გააცოცხლეს. გაიმართა ერნანდო კორტეზის ბალეტის “ორი საათი, რომელმაც მსოფლიო შეაზანზარა” პრემიერა. ერთი სიტყვით, 11 სექტემბრის თემამ მოიცვა სრულიად ხელოვნება და სრულიად მედია.

თუმცა, ტრაგედიების წლისთავისთვის მომზადებულ პროექტებში იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება ხვდა წილად ინტერნაციონალურ ნამუშევარს, ფილმს “11`09`01 – 11 სექტემბერი”. იდეის ავტორია ფრანგი ტელეპროდიუსერი ალან ბრიგანი. ფილმი კონკურს გარეშე აჩვენეს ვენეციისა და ტორონტოს კინოფესტივალებზე, მისი პრემიერა გაიმართა პარიზშიც.

ბრიგანი იგონებს: შარშან, ტერაქტებიდან რამდენიმე წუთში, მსოფლიოს სხვადასხვა ტელეარხები ცდილობდნენ, აეხსნათ შოკის მიზეზი, რომელიც ერთ კითხვაში გამოიხატებოდა – რა მოხდა? ჟურნალისტები და პოლიტიკოსები მაყურებელს სთავაზობდნენ არარსებულ პასუხს შოკზე, შიშსა და სიხარულზეც კი. თუმცა, მართალია – ამდენი ანალიზის, ახსნა-განმარტების და ინფორმაციის ფონზე შოკი მაინც არ ნელდებოდა, ფაქტი ფაქტად რჩებოდა. მაშინ გადაწყვიტა ბრიგანმა, პასუხი სულ სხვაგან ეპოვნა – პოლიტიკისა და მედიისგან შორს – ხელოვნებაში.

სწორედ ამ ძიების შედეგია “11`09`01 – 11 სექტემბერი”, ყველაზე უცნაური, ემოციური და სევდიანი ფილმი. სურათი 11 მოკლემეტრაჟიანი ნამუშევრისგან შედგება, თითოეულს 11 სხვადასხვა ეროვნების ავტორი ჰყავს, თითოეული მათგანი 11 წუთსა და 9 წამს გრძელდება. “მთელი მსოფლიო შეზანზარდა, მაგრამ რას ფიქრობდა ის? ამ კითხვაზე პასუხის საპოვნელად რეჟისორებს სრული თავისუფლება მივეცით. ორადორი შეზღუდვა იყო, დრო და ბიუჯეტი (400 ათასი დოლარი თითო ფილმისთვის). გარდა ამისა, რეჟისორები მუშაობის დაწყებამდე გავაფრთხილეთ, რომ მათ როგორმე გვერდი უნდა აევლოთ ძალადობის, სიძულვილის, რელიგიებსა და კულტურებზე თავდასხმის თემებისგან”, - იგონებს ბრიგანი.

საბოლოოდ, ბრიგანმა მიიღო საკმაოდ საინტერესო ნამუშევარი, რომელშიც, შეიძლება ითქვას, რომ მომხდარის ინტერნაციონალური შეფასებაა წარმოდგენილი. ფილმი საკითხისადმი არასწორხაზოვანი მიდგომითაც გამოირჩევა და 11 სექტემბერზე განსხვავებულ მოსაზრებებს შეიცავს. მაგალითად, სამ მოკლემეტრაჟიან ფილმში ამერიკისადმი კრიტიკული დამოკიდებულება იგრძნობა. ამის გამო ვენეციაში ჩასულმა ამერიკელებმა დაასკვნეს, რომ ბრიგანის პროექტი მთლიანად ანტიამერიკულია. თუმცა, ანტი-ამერიკანიზმი ფილმის განმსაზღვრელი თემა სულაც არ არის, პირიქით, სურათებში, უმეტესწილად, ტრაგედიისადმი რეჟისორების პირადი დამოკიდებულებაა გადმოცემული. 11 სექტემბერის ტრაგედია მაყურებლის ცნობიერებაში სხვადასხვა თემის გავლით აღწევს, კერძოდ, გლოვის, სიყვარულის, ომის და დევნილების თემების. “ჩემი აზრით, “11`09`01 – 11 სექტემბერი” 11 მოკლემეტრაჟიანი ფილმი კი არ არის, არამედ ის ერთი მხატვრული ფილმია, რომელიც 11 დამოუკიდებელი ეპიზოდისგან შედგება ისე, როგორც მოზაიკა”, - განმარტავს ბრიგანი.

როგორც აღვნიშნეთ, ამ მოზაიკიდან ამერიკელები რამდენიმე სურათმა გააღიზიანა. მათ შორის იყო ბრიტანელი რეჟისორის კენ ლოუჩის ფილმი, რომელშიც ჩილელი ლტოლვილი, ვლადიმერ ვეგა ამერიკელებს სამძიმრის ბარათს სწერს და იგონებს, 1973 წლის 11 სექტემბერს ამერიკელებმა მხარი როგორ დაუჭირეს სახელისუფლებო გადატრიალებას, რომელმაც ხალხის მიერ არჩეული სალვადორ ალიენდეს მთავრობა დაამხო. “მეგობრებო, თქვენი ლიდერები ჩვენს გასანადგურებლად მზად იყვნენ”...

კამათი გამოიწვია 76 წლის ეგვიპტელი რეჟისორის იუსუფ ჩაჰინის ფილმმაც. მოქმედება ისრაელის მიერ კონტროლირებად დასავლეთ სექტორში ვითარდება. თვითმკვლელი პალესტინელის მამა ამერიკას აკრიტიკებს: “ბუში ისრაელს ყველაფრის უფლებას აძლევს. ისინიც თვითნებურად წყვეტენ, თუ ვინ არის ტერორისტი”.

მოზაიკის ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდია 22 წლის ირანელი რეჟისორის სამირა მახმალბაფის ნამუშევარიც. ფილმში მოქმედება ავღანელი ლტოლვილების ბანაკში ვითარდება. ახალგაზრდა მასწავლებელი 6-7 წლის აღსაზრდელებს “ტყუპებზე” თავდასხმის შესახებ უამბობს. თუმცა, მომხდარის უკეთ ასახსნელად მას პატარები ეზოში გაჰყავს და მიუთითებს მაღალ საკვამურზე – ასე ბოლავდა და ინგრეოდა მანჰეტენი 2001 წლის 11 სექტემბრის დილას.

ბოსნიელი რეჟისორის დენის ტანოვიჩის ფილმში ნიუ იორკის ტერაქტების თემა ბოსნიაში, სრებრენიცას საშინელი სისხლისღვრის ფონზე ცოცხლდება. (1995 წლის 11 ივლისის ინციდენტს 7 ათასამდე ადამიანი შეეწირა) ყოველი თვის 11 რიცხვში მგლოვიარე ქვრივები მომხდარს იხსენებენ და დაღუპულებს პატივს მიაგებენ. როცა შავოსანი დედები 11 სექტემბრის ამბავს გაიგებენ, ტრადიციულ მსვლელობას მაინც მოაწყობენ, ოღონდ ამჯერად, ამერიკელებისთვისაც.

დანარჩენი ფილმები უფრო პირად ემოციებზეა აგებული, მაგალითად, კლოდ ლელუშის “სიჩუმის 11 წუთი”: ფილმში ყრუ-მუნჯი ქალი ოთახში ზის და დაკარგულ სიყვარულზე მოთქვამს, პარალელურად ტელევიზორში ნიუ იორკში მომხდარი ტერაქტის შესახებ გადმოსცემენ... ანუ, ხდება პირადი და გლობალური ტრაგედიების დაპირისპირება. ძნელი სათქმელია, რამდენად გადაწონის ამერიკელების უბედურება საყვარლისგან მიტოვებული ქალის პირად განცდებს.

ორიგინალური მიგნებებით გამოირჩევა მექსიკელი რეჟისორის ალეხანდრო გონსალესის “ვიზუალური სიჩუმის 11 წუთი”. დროდადრო, სრულიად შავ ეკრანზე, უეცრად ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც მსოფლიო სავაჭრო ცენტრიდან ხტებიან, პარალელურად ისმის მექსიკელი ინდიელების ლოცვა. ისინი მიცვალებულების სულებისთვის ლოცულობენ. ბუნებრივია, შავ ეკრანს რეჟისორი მთავარი სათქმელის გასამძაფრებლად, ერთგვარი კონტრასტის შესაქმნელად იყენებს. ამავე დროს შავ ფერს, ალბათ, სიმბოლური დატვირთვაც აქვს – ერთი შეხედვით ცარიელი ეკრანი, თავისი სიშავით, სრულად გადმოსცემს 11 სექტემბრის ტრაგიკულ განწყობას და მაყურებელს რაღაც უსიამოვნოსთვის ამზადებს.

დაბოლოს, პროექტში მონაწილეობა მიიღო შონ პენმაც. სხვათა შორის, მექსიკელი და ფრანგი კოლეგების მსგავსად, პენმაც გადაწყვიტა 11 სექტემბრის ტრაგედია კერძო ადამიანის გადასახედიდან დაენახა. მის ფილმში დაქვრივებულ მამაკაცს ვხვდებით, რომელიც ყოველ წუთს გარდაცვლილი ცოლის შესახებ მოგონებებით ცოცხლობს. ყოველ დილას ის მეუღლეს ტანსაცმელს ურჩევს. თენდება 11 სექტემბრის დილა, ტელევიზორში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აფეთქებაზე საუბრობენ, მაგრამ ამერიკელი ქვრივი მომხდარის მნიშვნელობას ვერც იაზრებს.

როგორც დაინახეთ, ბრიგანის ეს პროექტი - მართლაც - სრულიად გამორჩეულია. ამის მიზეზი კი საკითხისადმი გულწრფელად მიდგომაა: თითქმის ყველა აღიარებს, რომ შარშანდელი 11 სექტემბერი გლობალური ტრაგედია იყო, მაგრამ რეჟისორები მაინც სვამენ კითხვას – რას ნიშნავდა ეს დღე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ადამიანებისთვის, რამდენად ითავისებს პირადი ტრაგედიით შეწუხებული კერძო პირი დიდი პერიპეტიების სიმძაფრეს, შესწევს თუ არა მას გლობალურად აზროვნების უნარი. დასკვნა კი, ალბათ, მაინც ერთმანეთის სიყვარულია. იგივე, ვლადიმერ ვეგასაც, მართალია, ამერიკის მთავრობისთვის ალიენდეს ჩამოგდება ვერ უპატიებია, მაგრამ მანჰეტენზე დაღუპულთა ოჯახებს მაინც სწერს: “თქვენ ჩვენს გულებში იქნებით. იმედი მაქვს, თქვენც გაგვიხსენებთ”...

კულტურის სამინისტროს საშემოდგომო ვნებათაღელვა

ვენაში ქართული კულტურის დღეები საფრთხეშია

ვერა ნეფარიძე

გუშინ კულტურის სამინისტროში საშემოდგომო გეგმებზე ისაუბრეს. სესილი გოგიბერიძის, შვებულებიდან დაბრუნებამდე, დაწყებული და დაგეგმილი კულტურული პროექტები სამინისტროს თანამშრომლებმა საზოგადოებას ღონისძიებათა თანაორგანიზატორებთან ერთად გააცნეს.

იმის მიუხედავად, რომ ვენაში ქართული კულტურის წარმდგენი შემოქმედები უკვე საათებს ითვლიან, ფესტივალის გამართვას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. სამწუხაროდ, გუშინდელი პრეს-კონფერენციის შემდეგაც გაუგებარი დარჩა, რამდენად სერიოზულია საშიშროება, რომ ქართველი მონაწილეები ვერ მოხვდნენ (რაც ფესტივალის ჩაშლას ნიშნავს) ნანატრ ღონისძიებაზე. ჟურნალისტთა სამართლიანად დაჟინებულ შეკითხვებს გადამწყვეტი პასუხი ვერც ფესტივალის თანაორგანოზატორმა, ნიკა მემანიშვილმა და ვერც გუშინდელი პრეს-კონფერენციის მასპინძელმა, კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ნინო კობახიძემ ვერ უპასუხა. მათი განმარტებებიდან ერთადერთი დასკვნის გამოტანა შევძელით - ფესტივალის ბედი მხოლოდ საქართველოში ავსტრიის კონსულზეა დამოკიდებული.

“ჩემთვის შეურაცხმყოფელია, როდესაც საეჭვო და საყოყმანოა რამდენიმე ათეული ქართველის მოგზაურობა”, – ცდილობდა ემოციები დაემალა პოეტს, რატი ამაღლობელს, რომლის მდგომარეობა სრულიად გასაგებია. გუშინწინ რატი, ფესტივალის მონაწილე სამ მხატვართან ერთად, ვენაში უნდა გაფრენილიყო (48 მონაწილიდან ისინი პირველები უნდა ჩასულიყვნენ ავსტრიის დედაქალაქში), მაგრამ ქართველ ხელოვანებს, როგორც აღმოჩნდა, ავსტრიის კონსული “სიტყვაზე არ ენდო” (აქ ალბათ არც კონსულის გამტყუნება იქნება მართებული, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ევროპული გასტროლების დროს ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრს რადენიმე წევრი აღარ ჩამოჰყვა სამშობლოში). ფესტივალის ორგანიზატორები შეეცადნენ, კორექტულები ყოფილიყვნენ და “ინციდენტს” უწოდეს მცირე გაუგებრობა, რომელიც უახლოეს მომავალში აუცილებლად გამოსწორდება. ეს მომავალი კი, თუკი მართლა უახლოესი არ აღმოჩნდა, ქართველი ხელოვანების საამაყო გასვლას ევროპული კულტურის ცენტრში ნამდვილად ჩაიშლის, რადგანაც ფესტივალის გადადებაზე საუბარი შეუძლებელია – ვენა თბილისი არაა, სადაც ღონისძიებათა ვადები უკანასკნელ წუთებში წყდება. იქ თითოეული დარბაზის სამუშაო გრაფიკი მთელი წლით ადრე იგეგმება, ასე რომ, კონსულის უნდობლობა მთელ ქართულ კულტურას, შეიძლება, მართლა ძალიან ძვირად დაუჯდეს. არადა, საფესტივალო მზადყოფნაშია ქართული კულტურით დაინტერესებული ევროპული საზოგადოება. მემანიშვილის თქმით, მისთვის ცნობილია, რომ მიშა კობახიძის, 40 წლიანი პაუზის შემდეგ, პირველ ნამუშევარზე დასასწრებად ავსტრიის მეზობელი ევროპული ქვეყნებიდან ფესტივალის ორგანიზატორებს ბილეთები შეუკვეთეს; საფესტივალოდ ემზადებიან უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანები: ოთარ იოსელიანი (ფესტივალზე აჩვენებენ მის ბოლო ნამუშევარს “მშვიდობით, სამშობლო”), კლასიკური და ჯაზური მუსიკის ცნობილი შემსრულებელი რევაზ კიკნაძე და კომპოზიტორი გია ყანჩელი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ფესტივალის კინო-პროგრამაში დაგეგმილია დიტო ცინცაძის გერმანიაში გადაღებული ფილმის პრემიერაც.

ნიკა მემანიშვილმა საკმაოდ დეტალურად ისაუბრა თითოეულ ღონისძიებაზე. კიდევ ერთხელ გაიხსენა უსიამოვნებები იმ ქართველ კოლეგებთან, რომლებიც (ვინაობა არ გაუმხელია) ფესტივალის პროგრამაში ვერ მოხვდნენ და გაიმეორა, რომ მათი შერჩევა-დამტკიცება უშუალოდ ავსტრიელმა პარტნიორებმა გადაწყვიტეს.

ავსტრიული დღეებისგან განსხვავებით, საფრთხე არ ემუქრება კულტურის სამინისტროს თანაორგანიზატორობით დაგეგმილ “ევროპის მემკვიდრეობის დღეებს”, რომელიც 25 სექტემბერს გაიხსნება. ყოველწლიური ღონისძიება ევროსაბჭოს ეგიდით ევროსაბჭოს ყველა ქვეყანაში ერთდროულად იმართება. თბილისში დაგეგმილია რამდენიმე გამოფენა, სემინარები.

გუშინ კულტურის სამინისტრომ პირველად გაახმაურა დიდი საკონცერტო დარბაზის ახალ დაქვემდებარებაში გადაყვანის საკითხი. “მეწარმეთა კანონის” (კანონის თანახმად, საწარმოს, რომლის 51 პროცენტს სახელმწიფო ფლობს, უნდა ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო) თანახმად, ქონების მართვის სამინისტროს მესვეურობით შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო. მისი წევრები არიან: მუსიკოსი, თამაზ ყურაშვილი; დირიჟორი, გოგი ჭიჭინაძე; “ისთერნ პრომოუშენის” დირექტორი, მიშა გიორგაძე; რეჟისორი, კონსტანტინე აბაშიძე; ფინანსისტ-ეკონომისტი ქონების მართვის სამინისტროდან, გიორგი ნოზაძე; საბჭოს გურამ გაბიძაშვილი უხელმძღვანელებს. საბჭომ, პირველ რიგში, დიდი საკონცერტო დარბაზის წესდება უნდა შეცვალოს, რის შემდეგაც განხორციელდება საკადრო ცვლილებები. კულტურის მინისტრის მოადგილემ, ნინო კობახიძემ უარყო, რომ ცვლილებები დიდ საკონცერტო დარბაზში ფილარმონიის კულტურის სამინისტროსადმი უშუალო დაქვემდებარებას ნიშნავს. თუმცა, ეს ყველაფერი ცვლილებების განხორციელების შემდეგ უფრო გამოიკვეთება.

პრეს-კონფერენციაზე ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელმა, გია მარსაგიშვილმა 4 სექტემბერს იტალიის ქალაქ ტურინში დაწყებულ გამოფენაზე ისაუბრა. გამოფენაზე “რუსოდან ლიგაბუემდე – ნაივური ხელოვნება”, შალვა ამირანაშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ფიროსმანის ათი ნამუშევარია გაგზავნილი. აღსანიშნავია, რომ გამოფენის გახსნას მუზეუმიდან, უფულობის გამო, ვერავინ დაესწრო. თბილისში სრულ ინფორმაციას გამოფენის შედეგებსა და გამოხმაურებებზე იტალიაში საქართველოს ელჩისგან, რუსუდან ლორთქიფანიძისგან ელიან. ტურინის მერმა თბილისში უკვე გამოაგზავნა წერილობითი გარანტია, სადაც ექსპონატების უსაფრთხოების შესახებ იუწყება. გამოფენა 24 ნოემბერს დაიხურება, ექსპოზიცია კი თბილისში დეკემბრის პირველ ნახევარში დაბრუნდება. ამის შემდეგ, დაგეგმილია ხელოვნების მუზეუმში ექსპონატების რამდენიმედღიანი გამოფენა და იტალიური კატალოგის ქართული ვარიანტის დაბეჭდვა.

”ძია ვანია” ახალ სარდაფში

ანუ როგორ გავაცოცხლოთ მირაჟები

თამარ სუხიშვილი

“ყველასათვის უცნობი “ძია ვანია” – ასე მოიხსენიებდა ჩეხოვი თავის პიესას, რომელმაც გამოქვეყნებისთანავე დიდი პოპულარობა მოიპოვა და რუსეთის პროვინციულ თეატრებში წარმატებით იდგმებოდა. “ჩემი “ძია ვანია” მთელ პროვინციაში დაიარება და მას ყველგან მოწონებით ხვდებიან. აღარც კი იცი, სად იპოვი და სად დაკარგავ. არადა, ამ პიესაზე დიდ იმედებს სრულებითაც არ ვამყარებდი,” – წერდა მწერალი.

მაინც რაზეა ეს პიესა - იქნებ იმაზე, თუ როგორ შემოდის სილამაზე ადამიანთა უბადრუკ და უფერულ ყოფაში, რომლებიც არასოდეს დაფიქრებულან ხვალინდელ დღეზე, იქნებ კიდევ სხვა რამეზეც. ერთი კია, რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხო, ყოველთვის ჩააგაფიქრებს და... დაგანაღვლიანებს.

ახალი სარდაფი პრემიერაზე მუშაობს, მუშაობა სულ ახალი დაწყებულია, ამიტომ არც სპექტაკლში მონაწილე მსახიობთა ზუსტი შემადგენლობაა ცნობილი, მაგრამ ის დანამდვილებით ვიცით, რომ სპექტაკლს, რომელსაც რეჟისორი ოთარ ეგაძე დგამს, საფუძვლად სწორედ “ძია ვანია” დაედება (და კიდევ პლუს ჩეხოვის “რაღაც-რაღაცეები”).

“შეიძლება ითქვას, რომ სპექტაკლის ძირითადი პრობლემა ეკოლოგიაა – თემა, რომელიც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მწვავედ დგას ჩვენს წინაშე, - განმარტავს რეჟისორი ოთარ ეგაძე, - ძალიან უგუნურად ვანადგურებთ ბუნებას და ბუნების განადგურებასთან ერთად ნადგურდება ადამიანიც...”

თამთა ცინცაძეს, ქეთი ცხაკაიას, ბესო ბარათაშვილს, დემეტრე სხირტლაძეს, გიორგი როინიშვილს უკვე გარანტირებული აქვთ სპექტაკლში მონაწილეობა. ახალგაზრდების ამ ჯგუფს, ალბათ, ორი-სამი მსახიობი დაემატება. “ამ ეტაპზე ვცდილობთ, მსახიობთა ანსამბლი შევკრათ, - გვეუბნება ოთარ ეგაძე, - ჩვენ არ ვართ მიჯაჭვულნი ერთ რომელიმე მსახიობზე და თავისუფალი არჩევანის საშუალება გვაქვს, მაგრამ არჩევანის გაკეთება უფრო რთულია...”

ყოველდღიურად, 12 საათზე, ზუსტად იმ დროს, როდესაც სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტში მესამე ლექცია უკვე ნახევარი საათის დაწყებულია, ამავე ინსტიტუტის ეზოში სოკოსავით "ამოზრდილ სარდაფში” რეპეტიცია იწყება. რეჟისორს და მსახიობებს ჩვენც სწორედ ამ რეპეტიციის დროს შევხვდით. რეპეტიციაზე შესვლისას ასეთი სურათი დაგვხვდა.

რეპეტიცია ახალ სარდაფში

იური ლობოდინის ფოტო

სცენაზე მაგიდას უსხედან ოთარ ეგაძე, თამთა ცინცაძე და დემეტრე (იგივე დუტა) სხირტლაძე. რეჟისორს წინ ქსეროქსზე ამობეჭდილი ჩეხოვის პიესა უდევს (რუსულ ენაზე), მსახიობებს კი – გადმოქართულებული როლები აკურატულად აქვთ ჩაწერილი ბლოკნოტებში. რეპეტიცია დროდადრო წყდება – მობილური ტელეფონების (მაგიდაზე ორი მობილური ტელეფონი დევს) ზარებით, აბეზარი ჟურნალისტის მოულოდნელი სტუმრობით თუ დუტა სხირტლაძის ასევე მოულოდნელად წამოსროლილი ფრაზებით, მაგალითად:

“სოფლის ცხოვრება” გახსოვთ? იქ ბოლო გვერდზე ერთი მოცინარ-გალაღებული ხუჭუჭა ბიჭი ეხატა ხოლმე კახური ქუდით – ახალი წლის წინა დღის ნომერში... ან: ქართული ჟარგონი იცით? – უხ, შენი!..

მერე ვილას ახსოვს შენი “ძია ვანია”, საუბრობენ თითქმის ყველაფერზე: რომ ეგაძეების ოჯახში მაგარ სოკოს აკეთებენ და რადგანაც კიკეთის ტყეები სოკოთი აივსო, მსახიობებს რეპეტიციის შემდეგ ისეთი სოკოს დეგუსტაცია მოუწევთ, ჯერ რომ არ გაუსინჯავთ...

მალე ისევ სპექტაკლს უბრუნდებიან.

- “ჩემთვის ეს პიესა იმიტომაც არის საინტერესო, რომ ჩეხოვზე აქამდე არასოდეს მიმუშავია, თანაც ჩემი როლი მომწონს, - ამბობს დუტა სხირტლაძე.

- “ჯერჯერობით არ ვიცი, რა გამოვა,” – წუხს თამთა ცინცაძე და ციტატებს ბლოკნოტში ეძებს.

- “მე მინდოდა, ერთი ჭკვიანური რამ მეთქვა,” – საუბარში ერთვება დუტა სხირტლაძე.

- “ძალიან ძნელია, შენ რომ ჭკვიანობა თქვა, თუ სადმე არ ამოიკითხე,” – იცინის მისი პარტნიორი.

- “მე მინდოდა მეთქვა...” – დუტა სხირტლაძე ბლოკნოტს ფურცლავს და მწვანეთა პარტიის გულანთებული წევრის პათოსით კითხულობს ექიმის ციტატას პიესიდან: “არ შეგვიძლია, მაგალითად, რომ ღუმელი გავახუროთ ტორფით, სახლი ავაშენოთ ქვის, ტყე რატომ უნდა გავანადგუროთ? ილუპება მილიონობით ხე, იხოცება ნადირი და ფრინველი, შრება მდინარეები და ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ გვეზარება დახრა და მიწიდან სათბობის ამოღება. ასე არ არის?”

რეპეტიცია გრძელდება...

ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა, რომელი სპექტაკლით გაიხსნება სეზონი ახალ სარდაფში – ოთარ ეგაძის ჩეხოვით თუ ლევან წულაძის “ვენეციელი ვაჭრით”. ყველაფერი დასწრებაზეა (საბაზრო ეკონომიკის პრინციპი მუშაობს) – ლენტს ის რეჟისორი გაჭრის, ვინც საშემოდგომო სამზადისს უფრო მალე დაამთავრებს. თუმცა, როგორც თეატრში გვითხრეს, სეზონის (და, შესაბამისად, თეატრის) გახსნა ჯერჯერობით ჰაერში კიდია – პრეზიდენტის მიერ 26 მაისს დაპირებული განათებისთვის საჭირო თანხა ჯერ არსად გადარიცხულა.

ამ სეზონში ოთარ ეგაძე და ლევან წულაძე სულ ხუთამდე სპექტაკლს დადგამენ (ჩანაფიქრის თანახმად, ახალ თეატრში მხოლოდ ახალი რეპერტუარი იქნება წარმოდგენილი). სეზონი აქ არაუგვიანეს ოქტომბრისა გაიხსნება. თეატრალურ სარდაფში კი პირველი საშემოდგომო ჩვენება 17 სექტემბერს შედგება, სავარაუდოდ – “ინსტინქტით”. ამას მოჰყვება თეატრის მოყვარულთათვის უკვე ცნობილი Et Cetera, “ხმაური” და ა.შ. ამასთან, თეატრალური სარდაფისათვის უკვე იდგმება სამი ახალი სპექტაკლი.

“როცა ნამდვილი ცხოვრება არ არსებობს, ადამიანი მირაჟებით ცხოვრობს. სულ არაფრობას მაინც ასე სჯობს,” – ამბობს პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირი ვოინიცკი – ძია ვანია. როგორ გაცოცხლდება ეს მირაჟები სარდაფის სცენაზე, ამას პრემიერაზე ვიხილავთ.

ამბები

ქეთა თოფურიამ საზაფხულო რეკორდი მოხსნა

ახალგაზრდა ქართველმა შემსრულებელმა ქეთა თოფურიამ ზაფხულის პერიოდში, სხვა მომღერლებთან შედარებით, ყველაზე მეტ კონცერტში მიიღო მონაწილეობა.

ამჟამად ქეთა თოფურია, ჯგუფ “ინტროსთან" ერთად, ახალ კლიპზე მუშაობს, სექტემბრის ბოლოს კი მომღერალი ისრაელში მიემგზავრება და ფესტივალ “ოქროს იერუსალიმში" მიიღებს მონაწილეობას. ქართველი მომღერალი ფესტივალზე რამდენიმე სიმღერას ივრითზე, ხოლო ერთს - ქართულად შეასრულებს.

ნორჩი მხატვრები თურქეთში გაემგზავრებიან

ფონდ „პარნასის“ ნორჩ მხატვართა შემოქმედებითი კოლექტივები, და ბავშვთა რამდენიმე ქორეოგრაფიული ანსამბლი 29 ოქტომბერს თურქეთს ეწვევა. ისინი მონაწილეობას მიიღებენ თურქეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

ნორჩი მხატვრები თურქეთის ქალაქ დიდიმში საკუთარი ნამუშევრების გამოფენას გამართავენ. ფონდი „პარნასის“ პრეზიდენტის ნინო ბირკაძის თქმით, ბავშვები თურქეთში დიდიმის მერმა მიიწვია. აღსანიშნავია, რომ ფონდი „პარნასის“ მხატვართა შემოქმედებითი კოლექტივების: თბილისის 23-ე საშუალო სკოლასთან არსებული ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სტუდიის ხელოვნების კოლეჯისა და სტუდია „ფავორიტის“ აღსაზრდელების ნამუშევართა გამოფენა დიდიმში ამ ზაფხულსაც გაიმართა. ***მედია-ნიუსი***

რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრი სეზონს განახლებული სპექტაკლით ხსნის

22 სექტემბერს რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრი შემოქმედებით სეზონს აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში, სპექტაკლის "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა" თბილისური პრემიერით გახსნის.

აღნიშნული სპექტაკლი რეზო გაბრიაძემ მარიონეტების თეატრში 80-იან წლებში დადგა, ამჟამად კი ის მაყურებელს სპექტაკლის განახლებულ ვარიანტს სთავაზობს. სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება და მხატვრობა თავად რეზო გაბრიაძეს ეკუთვნის. სპექტაკლის პრემიერა ზაფხულში შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში შედგა, სადაც დასი საგასტროლოდ იმყოფებოდა.

ანტალიის საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართულ ფილმებს კონკურსგარეშე აჩვენებენ

ანტალიის 39-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე, 1-5 ოქტომბერს ქართული ფილმების ჩვენება მოეწყობა. წარმოდგენილი იქნება ლევან ზაქარეიშვილის “ისინი", ზაზა ურუშაძის “აქ თენდება", ნოდარ მანაგაძის “ნათლისღება", მერაბ კოკოჩაშვილის “ნუცას სკოლა" და ელდარ შენგელაიას “ცისფერი მთები". .

ფესტივალზე ქართული ფილმების რეტროსპექტივა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირისა და საქართველოში თურქეთის საელჩოს ხელშეწყობით გაიმართება. კინემატოგრაფისტთა კავშირის დირექტორის, არჩილ შუბაშვილის თქმით, უშუალოდ კონკურსში ქართული ფილმები მონაწილეობას არ მიიღებენ.

კონსერვატორია ეთერ მგალობლიშვილისა და ახალგაზრდა გერმანელი მუსიკოსის კონცერტებს უმასპინძლებს

19 სექტემბერს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსკერვატორიის დიდ დარბაზში პროფესორი ეთერ მგალობლიშვილის საორღანო მუსიკის კონცერტი გაიმართება. მუსიკოსი ბრუკნერის, ბახის, ფრანკის, კლერამბოსა და ბოლმანის ნაწარმოებებს შეასრულებს.

21 სექტემბერს კი, კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ახალგაზრდა გერმანელი ჩელისტის, მაქსიმილიან პორნუნგის კონცერტი გაიმართება. კონცერტს უდირიჟორებს ელდარ ისაკაძე და იგი საქტელერადიოკორპორაციის რევაზ ლაღიძის სახელობის სიმფონიური ორკესტრის თანხლებით წარიმართება. პროგრამაშია დვორჟაკის, მოცარტისა და აზარაშვილის ნაწარმოებები. ***კავკას-პრესი***

პანტომიმის თეატრი გასტროლებზე მიემგზავრება

ქართული პანტომიმის თეატრის 15 კაციანი ჯგუფი ერთ კვირაში ბელორუსიაში გაემგზავრება. 20–22 სექტემბერს ქალაქ გომელის 860 წლის იუბილის აღსანიშნავად ქორეოგრაფიული ხელოვნების მესამე საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება. ფესტივალ მთმ – 2002 – ის ორგანიზატორების თხოვნით, ჟიურის ერთერთი წევრი, პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ამირან შალიკაშვილია. ქართული პანტომიმის თეატრი გომელში “კრიმანჭულით” წარდგება.

ქართველი მსახიობების ბელორუსიაში ცხოვრებაზე (კვება, ექსკურსიები, ჰონორარი და ა.შ.) მასპინძლები იზრუნებენ, ხოლო მგზავრობისათვის საჭირო თანხას თბილისის მერია დაფარავს.

“შევეცდებით პრიზის გარეშე არ დავბრუნდეთ”, - განაცხადა ამირან შალიკაშვილმა.

სამომავლოდ თეატრი ჰოლანდიაში გასტროლებისათვის მოემზადება. სამშობლოში კი სეზონს 25 სექტემბერს გახსნის. ოქტომბერში პანტომიმის თეატრი საერთაშორისო ფესტივალ “საჩუქარში” მიიღებს მონაწილეობას და საჩუქრად მთელს რეპერტუარს (“კიდევაც დაიზრდებიან”, “სტუმარ-მასპინძელი”, “კრიმანჭული”, “დუმილის პოეზია”, “კონტრასტები”) წარმოადგენს.

პანტომიმის სამხატვრო ხელმძღვანელი, პარალელურად, ბათუმის პანტომიმის თეატრს ამზადებს გრანდიოზული წარმოდგენისათვის.

კიდევ ერთი სიახლე: “ჩვენ ვალში ვართ თქვენს წინაშე”, - განუცხადა თეატრს თბილისის მერიამ და მომავალ წელს თეატრის შენობის რეკონსტრუქციას დაჰპირდა. ***"24 საათი".***

კალენდარი

11 სექტემბერი

"მისი ცხოვრება მოთხრობა რომ ყოფილიყო, ალბათ ძნელად თუ დაიჯერებდა ვინმე", - ასე ამბობდნენ უილიამ სიდნეი პორტერზე, ნიუ იორკელთა იუმორისტული ისტორიების ავტორსა და სრულიად მოულოდნელი ფინალების დიდოსტატზე. ადამიანის ბუნების საოცარი შეგრძნება, იუმორის არაჩვეულებრივი ნიჭი და თხრობის განსაკუთრებული უნარი - ეს ყველაფერი აქცევს ო`ჰენრის მწერლად, რომელიც ერთნაირად იზიდავს როგორც კითხვას ახლად დაწაფებულ ბავშვებს, ისე პროფესიონალ მწერლებს.

ო`ჰენრი 1862 წლის 11 სექტემბერს დაიბადა.

თეატრები ☒

✓ **ერთი მსახიობის თეატრი "ვერიკო"**
“ბაგრატიონები”, რეჟ. კოტე მახარაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 3 ლარი

✓ **კინომსახიობთა თეატრი**
პრემიერა. ეფემია ლორიას “ტრანზიტი”, რეჟისორი გიორგი სიხარულიძე. მონაწილეობს მუსიკალური ჯგუფი “ჩვენ”. დას: 19:00

საგამოფენო დარბაზები ☒

✓ **ეროვნული გალერეა**
ამერიკის საელჩო აწყობს 11 სექტემბრის ამსახველი ფოტოებისა და ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენას. დას: 19:00.

✓ **თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თანამედროვე ქართული გრაფიკა და ქანდაკება.

✓ **ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

✓ **ქარვასლა**
თინა კლდიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

✓ **სახანძრო ტექნიკური გამოფენის დარბაზი**
11 სექტემბრის ამსახველი ექსპონატების გამოფენა.

კინოთეატრები ☒

✓ **ამირანი**
ფრანსუა ოზონის ფილმი “რვა ქალი“,
მთავარ როლებში: ფანი არდანი, კეტრინ დენევი და სხვები
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი: 5-6 ლარი

ბრაიან დე პალმას “საბედისწერო ქალი“,
ანტონიო ბანდერასის მონაწილეობით.
დას: 19:00; 21:00; 24:00 სთ; ფასი: 7-8 ლარი.

კონცერტები ☒

✓ **ვაკის პარკში**
ანტიტერორისტული აქცია ცნობილი მსახიობებისა და მუსიკოსების მონაწილეობით. დას: 17:20.

✓ **სტუ -ს მეორე კორპუსის სააქტო დარბაზი**
“მაო ბენდის“ კონცერტი. დას: 20:00.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ, მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი. ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათი, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

"როვერმა" "დე ტომაზო" იყიდა

უდიდესმა ინგლისურმა საავტომობილო კომპანია "MG როვერმა" ახლახან ამერიკული კომპანია "ქვეილ ოტომოტივისგან" შეიძინა კლასიკური სპორტული ავტომობილების მწარმოებელი იტალიური კომპანია "დე ტომაზო" და მის საწარმოო ბაზაზე საკუთარი მარკით სპორტული ავტომობილების გამოშვებას აპირებს.

დღეისათვის "დე ტომაზო", რომლის პროდუქციაც ერთ დროსმსოფლიოში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა, რითაც ის კონკურენციას უწევდა ისეთ "მონსტრებს", როგორებიცაა "ფერარი", "ლამბორგინი", "ლოტუსი" და "პორშე", მხოლოდ ერთი მოდელის, "მანგუსტას" სამ მოდიფიკაციას (კუპე, კაბრიოლეტი და ტარგა) აწარმოებს.

ეს ავტომობილი აღჭურვილია "ფორდის" წარმოების V8 ძრავით, რომლის მუშა მოცულობა 4.6 ლიტრია და სიმძლავრის მაქსიმუმი 320 ცხენის ძალას შეადგენს, რითაც "მანგუსტა" ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარებას 5.5 წამს უნდება, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 280 კილომეტრია საათში.

სწორედ ამ მოდელის ბაზაზე აპირებს "MG როვერი" თავისი ახალი ავტომობილის გამოშვებას. წინასწარი ვარაუდით, ინგლისური კომპანიის სიახლეს კოდურ სახელწოდებად X80 დაერქმევა და ისიც "ფორდის" ანალოგიური ძრავით აღიჭურვება. "ეს ავტომობილი ჩვენი სამოდელო რიგის უმაღლეს საფეხურს დაიკავებს", - განაცხადა "MG როვერის" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა კევინ ჰაუმ. მისივე სიტყვებით, ამ ავტომობილით ინგლისური კომპანია გავა იმ ბაზრებზე, რომელზეც მისი პროდუქცია ჯერაც არასოდეს ყოვილა, მაგალითად - ჩრდილოეთ ამერიკაში. X80-ის წარმოების დაწყება მომავალი წლიდანაა შესაძლებელი.

"კრაისლერი" მოგებაზე გადავიდა

ტრანსნაციონალური კორპორაცია "დაიმლერკრაისლერის" პრეზიდენტმა და დირექტორთა საბჭოს თავამჯდომარე იურგენ შრემპმა ბერლინში გამართულ აქციონერთა 10 ათასიანი აუდიტორიის შეკრებაზე განაცხადა, რომ კორპორაციის ამერიკული განყოფილება "კრაისლერი" უკვე გავიდა წარმოების რენტაბელურ დონეზე. უფრო მეტიც, შრემპის თქმით, სამოდელო წლის შედეგებით, კომპანიამ შესაძლოა, მცირე მოგებაც ნახოს.

შრემპის ეს განცხადება ბევრი აქციონერისა და დირექტორთა საბჭოს ზოგიერთი წევრისთვის დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ გერმანული და ამერიკული ავტოკომპანიების გაერთიანების შემდეგ აქციონერთა დიდი ნაწილი გამუდმებით აკრიტიკებდა შრემპს ამ ნაბიჯის გამო. მიჩნეული იყო, რომ ამ გაერთიანებამ დიდი ზარალი მოუტანა "დაიმლერ-ბენცს", რომელიც მანამდე თითქმის ყოველწლიურად მომგებიან კომპანიად რჩებოდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც "კრაისლერის" სათავეში დიტერ ცეტშე დაინიშნა, კომპანიამ "თვალებში გამოიხედა" და თანდათან უბრუნდება ნორმალურ ფუნქციონირებას. შემოსავლების ზრდის ძირითად მიზეზად ანალიტიკოსები ასახელებენ სამოდელო რიგში რამდენიმე ახალი ავტომობილის (ჯიპ ლიბერტი, დოჯ რემი) გმოჩენას, ასევე საწარმოო ხარჯებისა და სამუშაო ადგილების საგრძნობ შემცირებას.

"დაიმლერკრაისლერს" მომავლისთვისაც დაგეგმილი აქვს რესტრუქტურიზაციის პროგრამის გაგრძელება, რაც ზედმეტი დანახარჯების კიდევ უფრო შემცირებას ითვალისწინებს. შედეგად, მარკეტოლოგთა გათვლებს თუ დავუჯერებთ, 2003 წელს "კრაისლერი" შემოსავლის სახით 2-2.5 მილიარდ დოლარს მიიღებს.

ყველაზე პატარა BMW

დიდი დრო აღარ დარჩა გერმანული საავტომობილო კომპანია BMW-ს (ბაიერიშე მოტორენვერკე) მიერ თავისი ყველაზე პატარა მოდელის, მეორე სერიის ავტომობილის გამოშვებამდე.

როგორც კომპანიის სიახლეთა შექმნის ხელმძღვანელობის პალატის თავმჯდომარემ ბურჰარდ გოეშელმა განაცხადა, მიუხედავად მცირე ზომისა, ავტომობილის წამყვანი თვლები მაინც უკანა იქნება და ამით კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი ბავარიული ავტომობილების შეუდარებელ მართვადობას.

აღსანიშნავია, რომ BMW-ს მომავალი სიახლის უკლებლივ ყველა კონკურენტს - "ფოლკსვაგენ გოლფს", "აუდი A3"-ს, "ფორდ ფოკუსს", "ოპელ ასტრას", "პეჟო 206"-სა და მისთანებს წამყვანი თვლები წინ აქვთ განლაგებული.

"ჰონდა" მზის ელემენტებს ითვისებს

იაპონური კომპანია "ჰონდას" ინჟინრებმა შეიმუშავეს მზის ელემენტებით ენერგიის მასობრივად გამომუშავების ახალი ტექნოლოგია. ამგვარი ელემენტების წარმოებისთვის ნედლეულად გამოიყენება სპილენძი, ირიდიუმი და გალიუმი, ასევე სელენიდი, რომელიც სილიკონებს შეცვლის.

ინჟინრების მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით მიღწეულ იქნა მზის ენერგიის ელექტროენერგიად გარდაქმნის მაქსიმალური კოეფიციენტი, რაც უახლოეს მომავალში ელექროენერგიის მიღებაზე გაწეული ხარჯების 60 პროცენტით შემცირების საშუალებას იძლევა.

უახლესი მზის ელემენტების საშუალებით 1 კილოვატი ელეტროენერგიის ფასი 4 იენამდე შემცირდება. ამგვარი ტექნოლოგიები კი მალე დაინერგება ისეთ საწარმოებში, როგორებიცაა "შიძუოკა ჰაუს პლანტი" და "ჰონდა სანი". ელემენტების წარმოება კი ნავარაუდევია ოჰაიოს შტატში განლაგებულ "ჰონდას" კუთვნილ ქარხანაში.

როგორც "ჰონდა" აცხადებს, მომავალი წლიდან მზის ახალი ელემენტები არამარტო ქარხნებისთვის, არამედ კერძო სახლებისთვისაც დამზადდება.

ახალი "მეგანი" - "რენოს" მორიგი რევოლუცია?

ბოლო წლებში ფრანგულმა კომპანია "რენომ" უკვე რამდენჯერმე დაარღვია ავტოინდუსტრიაში ჩამოყალიბებული ნორმები, როცა სცენაზე გამოუშვა ორი ავანგარდული მოდელი - "ავანტიმი" და "ველ სატისი" და ახლა ისე ჩანს, მორიგ ქმნილებას უმზადებს თავის ერთგულ მომხმარებლებს.

ამჯერად "რენოს" კონსტრუქტორების "მსახვრალი ხელი" სამკარიან ჰეტჩბეკებს მიადგა. კერძოდ, კომპანიამ გამოუშვა სამკარიანი "მეგანი", რომლის უკანა ნაწილიც ერთგვარად "ფორდ ანგლიას" წააგავს და ამით რადიკალურად განსხვავდება თავისი უშუალო კონკურენტების, "ფოლკსვაგენ გოლფისა" და "ფორდ ფოკუსისაგან".

სამივე კარს უჩვეულო, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოყვანილობა აქვს და პრაქტიკაში ხმარების სიმარტივით გამოირჩევა. რაც შეეხება ინტერიერს, აქ ყურადღებას იქცევს ეგრეთ წოდებული ჩართვის "უკონტაქტო გასაღები" და მართვის მრავალფუნქციური პანელი, რომელიც ავტომობილში გამოყენებული მაღალტექნოლოგიური ელექტრონიკის არსებობის დამადასტურებელია.

ახალი "მეგანის" კაპოტის ქვეშ იმალება ინგლისური კომპანია TWR-ს მიერ შექმნილი ტურბომოტორი, რომელიც 260 ცხენის ძალას ავითარებს. გამოცემა "აუტოექსპრესის" ინფორმაციით, ახალი "მეგანის" გაყიდვები მიმდინარე წლის ბოლოდან დაიწყება.

"ფორდის" "დრიმ ტიმი" წარსულის დიდებას აბრუნებს

ყველაფერი 1963 წელს დაიწყო, როცა ჰენრი ფორდ მეორემ საქვეყნოდ განაცხადა, რომ აპირებდა შეექმნა სპორტული ავტომობილი, რომელიც ლეგენდარული ლე მანის 24-საათიან რბოლებში წარმატებით დაიცავდა მისი კომპანიის სახელს.

სულ ერთი წელი დასჭირდათ "ცისფერი ოვალის" კონსტრუქტორებს იმისათვის, რომ პირველი სპორტული ბოლიდი, სახელწოდებით GT40 მედიისთვის წარედგინათ, კიდევ ერთი წლის შემდეგ კი ამ მანქანით კენ მაილსმა და კეროლ შელბიმ დაიტონას 2000-კილომეტრიანი რბოლა მოიგეს.

1966 წლიდან მოყოლებული, ამერიკული ავტოსპორტის ლეგენდამ, ენტონი ჯოზეფ ფოიტმა, ამერიკელმავე დენ გერნიმ, ბელგიელმა, ჯეკი იქსმა და ინგლისელმა ჯეკი ოლივერმა სხვა ნაკლებადცნობილ თანაგუნდელებთან ერთად ზედიზედ ოთხჯერ მოიგეს ამ მანქანით ლე მანის 24-საათიანი რბოლა, რის შემდეგაც "ფორდ GT40" სამუზეუმო ექსპონატად გადაიქცა და წლების განმავლობაში უმღვრევდა სისხლს ჯიშიანი სპორტული ავტომობილების ტრფიალთ.

გავიდა 32 წელი და 2001 წლის მარტში "ფორდის" საკონსტრუქტორო სტუდიამ, სახელწოდებით "ცოცხალი ლეგენდების სტუდია", კომპანიის პროდუქციის განვითარების ჩრდილოამერიკული დივიზიონის ხელმძღვანელ კრის თეოდორის ხელმძღვანელობით, დაიწყო მუშაობა ძველი მოდელის გასაცოცხლებლად, რომელიც წინასწარი ვარაუდით, მცირესერიულ წარმოებაში უნდა წავიდეს.

"რაც კომპანიაში დავიწყე მუშაობა, მას აქეთ ვოცნებობდი ამ მოდელის გაცოცხლებაზე. მერწმუნეთ, როცა არენაზე გამოჩნდება, ის სუპერკარების კლასში სამაგალითო მანქანა იქნება, აქ ახალ სტანდარტებს ჩამოაყალიბებს. ეს იქნება თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ რა შეუძლია ინჟინრულ აზროვნებას და პატარა, მაგრამ მოქნილ საკონსტრუქტორო გუნდებს", - განაცხადა ჯერ კიდევ წლის დასაწყისში, დეტროიტში გამართულ "ჩრდილო ამერიკის საერთაშორისო საავტომობილო შოუზე" თეოდორმა.

დეტროიტში კომპანიამ თავისი გეგმები გააცნო მედიას, სულ ნახევარი წლის შემდეგ კი, დირბორნში (ეს ქალაქი დეტროიტის მახლობლად მდებარეობს და იგი ფორდის ცენტრად ითვლება) მდებარე კომპანიის საკონფერენციო დარბაზ "ლე მანში" მოდელის წარმოებას "მწვანე შუქი" მიეცა.

თეოდორმა საოცნებო პროექტის განსახორციელებლად გარშემო საქმეში ჩახედული ხალხი, სპორტული ავტომობილების შექმნაში გაწაფული საინჟინრო გუნდი შემოიკრიბა და საქმე დაიჭირა იმ მომწოდებლებთან, რომლებსაც "ფორდის" ტექნოლოგიური შესაძლებლობების ჩაურევლად ხელეწიფებათ მათთვის მიწოდებული საჭირო პარამეტრების შესაფერისი მაკომპლექტებელი ნაწილების შექმნა. ეს მიმწოდებლები წლების მანძილზე წარმატებით მოღვაწეობენ ავტოსპორტულ ინდუსტრიაში და მათდამი ნდობა იოტისოდენა ეჭვსაც კი არ იწვევს. ზოგიერთი მათგანი წლების განმავლობაში თანამშრომლობს ფორმულა ერთის გუნდებთან.

"ეს ის მანქანაა, რომელზეც მყიდველი ყოველთვის ოცნებობდა, მაგრამ არასოდეს მიუწვდებოდა მასზე ხელი, რამეთუ ის მხოლოდ რბოლებისთვის იყო განკუთვნილი", - ამბობს "ფორდის" დიზაინერული ცენტრის შეფი ჯეი მეისი.

დიზაინერებმა ყველაფერი ილონეს იმისათვის, რომ ლეგენდარულ მოდელს შეენარჩუნებინა თავისი ძველი გარეგნობა და თანაც ისე, რომ იგი თანამედროვე მოდის შესაფერისიც ყოფილიყო. ერთი შეხედვით ორი კურდღლის დევნა წარმატებით დასრულდა - ახალი GT40 სრულიად დახვეწილი გარეგნობით გამოირჩევა, ამასთან, ოდნავაც არ დაუკარგავს 60-იანი წლების მოდელის ხიბლი.

უკვე ცნობილია, რომ ახალი GT40 აღიჭურვება 8-ცილინდრიანი, V-კონფიგურაციის აგრეგატით, რომელსაც, როგორც კომპანიის კონსტრუქტორები "იმუქრებიან", 500 ცხენის ძალიანი სიმძლავრე ექნება. სავარაუდოდ, ეს ბოლიდი 100 ათასი დოლარის ფარგლებში ეღირება. ეს მაშინ, როცა იგი თავისუფალი იქნება ყოველგვარი ელექტრონული მაღალტექნოლოგიური "სათამაშოებისგან".

და მაინც, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ახალ ავტომობილს არაფერი ექნება საერთო თანამედროვე საავტომობილო ტექნოლოგიებთან. მისი "ტანი" ალუმინისა და კომპოზიციური მასალებით, იმავე ტექნოლოგიით დამზადდება, როგორითაც კეთდება ფორმულა ერთის ავტომობილები.

როგორც მეისი ამბობს, სამარკეტინგო გამოკვლევამ უკვე დაამტკიცა ახალ GT40-ზე დიდი მოთხოვნილება და თუ წლის დარჩენილ ავტოსალონებზეც იგივე ტენდენცია დაფიქსირდა და კომპანიაც შეძლებს შესაბამისი ფინანსური სახსრების გამონახვას, მანქანა უახლოეს ორ-სამ წელიწადში გამოჩნდება მსოფლიოს ავტოსტრადებზე.

ასეა თუ ისე, ბოლო წლებში "ფორდმა" წარსულის უკვე მეორე რელეგენადარულ მოდელს მოჰკიდა ხელი. პირველი სპორტული მოდელი "თანდერბირდი" იყო. მეის ამგვარ საქმეში დიდი გამოცდილება აქვს - იგი მონაწილეობდა "ფოლკსვაგენის" ახალი "ხოჭოსა" და "აუდი თთ"-ს შექმნაში. ახლა, როგორც ამბობენ, "ფორდს" 60-იანი წლების კიდევ ერთი ლეგენდის, ლუქსის კლასის მოდელ "ლინკოლნ მარკ II"-ის აღდგენაც სურს...

ჰიბრიდომობილებს რეკორდების უნარიც აღმოაჩნდათ

ამჟამად მთელი მსოფლიოს წამყვანი ავტომშენებლები ეკოლოგიურად სუფთა საწვავზე მომუშავე ავტომობილების შექმნით არიან დაკავებულნი და ამ საქმეში მილიარდობით დოლარსაც ხარჯავენ.

იმავდროულად, ისინი იმასაც ცდილობენ, რომ მათ მიერ შექმნილმა "მწვანე" ავტომობილებმა სხვადასხვა რეკორდები დაამყარონ და ამითაც გაითქვან სახელი. ჰოდა, "ჯენერალ მოტორსის" მიერ შექმნილმა უახლესმა ექსპერიმენტალურმა ავტომობილმა, რომელიც კონცერნის ევროპული დივიზიონ "ოპელის" მოდელ "ზაფირას" ბაზაზე დამზადდა და რომელსაც კოდურ სახელად "ჰიდროგენ 1" დაერქვა, არიზონას უდაბნოში ჩატარებული ოთხკვირიანი გამოცდების დროს 15 საერთაშორისო რეკორდი დაამყარა.

დამყარებული რეკორდებიდან სამი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ჯერ ერთი, ავტომობილმა 11 საათსა და 30 წუთში გაიარა 1000 კილომეტრი და 87 კილომეტრით გააუმჯობესა ძველი რეკორდი.

შემდეგ მას ჩაუტარდა გამოცდა სისწრაფეზე. ამჯერად მან 100 კილომეტრი 100 კმ2სთ საშუალო სიჩქარით განვლო, რაც ასევე რეკორდული მაჩვენებელია. გარდა ამისა, "ჰიდროგენ 1"-მა გაუძლო უდაბნოს მცხუნვარე პირობებში ჩატარებულ 24 საათიან გამოცდას გამძლეობაზე.

რეკორდების დასაფიქსირებლად არიზონას უდაბნოში წარგზავნილი იყვნენ ფია-სა (საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია - ფედერასიონ ინტერნასიონალ აუტომობილ) და უსაკ-ის (აშშ-ის საავტომობილო კლუბი - იუნაიტედ სტეიტს ოტომობილ კლაბ) დელეგატები, რომელთა გარეშეც "ჰიდროგენ 1"-ის რეკორდები ოფიციალური არ იქნებოდა. რაც შეეხება ავტომობილის აღჭურვილობას, მასში მოთავსებულია საწვავის 200 უჯრედი, რომლებიც ერთმანეთთან მიმდევრობით არიან შეერთებულნი. სპეციალურ მოდულში ხდება წყალბადისა და ჟანგბადის რეაქცია, რომელიც 125-250 ვოლტიანი ძაბვის გენერაციას ახდენს და ენერგიით კვებავს 75 ცხენის ძალიან ელექტროძრავს. თავის მხრივ კი ძრავს მოძრაობაში მოჰყავს წინა თვლები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა წყალბადის ავტომობილში განთავსებას, რადგან ცნობილია, რომ მისი ჟანგბადთან მყისიერი შეერთება აფეთქებას იწვევს. ჰოდა, კონსტრუქტორებმა წყალბადის შესანახად ავტომობილის ძარაზე სპეციალური კრიოგენური რეზერვუარი განათავსეს, რომელიც მუდმივად ინარჩუნებს მინუს 253 გრადუს ტემპერატურას.

აღსანიშნავია, რომ წყალბადის 75-ლიტრიანი მარაგით ავტომობილს დაახლოებით 400 კილომეტრის გავლა შეუძლია, რაც ჩვეულებრივი შიდაწვის ძრავით აღჭურვილი ავტომობილების სვლის მარაგის ადექვატურია.

"ტოიოტა" მსოფლიო ბატონობისთვის ემზადება

"ფაინენშლ ტაიმსის" ცნობით, მსოფლიოში სიდიდით მესამე საავტომობილო კომპანია "ტოიოტა" მოტორსის" მიერ შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, სახელწოდებით "2010 გლობალ ვიჟნ", რომელსაც კომპანიის განვითარების უახლოესი რვაწლიანი პროგრამის შემუშავება ევალებოდა, გამოაქვეყნა პროექტი, რომლის მიხედაითაც, ამ პერიოდში "ტოიოტას" გაყიდვები დღევანდელთან შედარებით 50 პროცენტით გაიზრდება და 2010 წლისთვის მსოფლიო ბაზრის 15 პროცენტს დაიკავებს.

კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, ეს პროგნოზი კეთდება იმ ტენდენციების გათვალისწინებით, რომლებშიც აისახება ამერიკისა და იაპონიის ბაზრებზე "ტოიოტას" პროდუქციის გაყიდვების სტაბილური ზრდა. დღეისათვის ეს ორი დიდი ბაზარი კომპანიის მიერ წარმოებული ავტომობილების 79 პროცენტს ითვისებს.

გარდა ამისა, შესამჩნევია ჩინეთისა და ინდოეთის სწრაფად მზარდ საავტომობილო ბაზრებზე "ტოიოტას" მარკის პოპულარობის მომატება. ჰოდა, ამ ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში, "ტოიოტას" საშუალება ექნება, გაეჯიბროს ისეთ უპირობო ლიდერსაც კი, როგორიც წლების განმავლობაშია "ჯენერალ მოტორსი".

ცნობისათვის, გასულ სამოდელო წელს მსოფლიოს ბაზრის 14.9 პროცენტი "ჯენერალ მოტორსს" ეკუთვნოდა, მეორე ადგილზე კი 12.8 პროცენტით ფორდი იყო.

იმისათვის, რომ მსოფლიო ბაზრის 15 პროცენტს დაეუფლოს, "ტოიოტამ" წელიწადში 9.75 მილიონი ავტომობილი უნდა გაყიდოს, რაც თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე შარშანდელი შესაბამისი მაჩვენებელი (5.1 მილიონი). როგორც სტატისტიკოსები ამბობენ, იაპონურ ავტოგიგანტს ამის დიდი შანსი აქვს, რადგან როგორც ვარაუდობენ, 2010 წლისთვის მსოფლიო ავტობაზარი წლიურად 65 მილიონი ავტომობილის ათვისებას შეძლებს, რაც შარშანდელ შესაბამის მაჩვენებელზე თითქმის 8 მილიონით მეტია.

მართალია, აღნიშნულ პროგნოზს რიგი მსხვილი და ავტორიტეტული ანალიტიკოსებიც ეთანხმებიან, მაგრამ ისინი თვლიან, რომ "ტოიოტას" გათვლები ზედმეტად ოპტიმისტურია. ამასთან, თავად იაპონური კომპანიის წარმომადგენლებიც ვარაუდობენ, რომ რეალობამ შესაძლოა, სულ სხვა სურათი დახატოს.

"ბეემვეზე" დიდი მოთხოვნაა

გერმანული საავტომობილო კომპანია "ბაიერიშე მოტორენვერკეს" პროდუქცია რომ მთელს მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს, ეს ახალი ამბავი არაა, მაგრამ ბოლო თვეების განმავლობაში გაყიდვების დონემ პიკს მიაღწია.

ბავარიულ მანქანებზე იმდენად დიდი მოთხოვნილებაა, რომ კომპანიის ქარხნები ბოლო თვენახევრის განმავლობაში ყოველგვარი შესვენების გარეშე, დღეღამეში სამ ცვლად მუშაობენ და მაინც ვერ ახერხებენ დილერების მიერ მიღებული შეკვეთების დროულად დაკმაყოფილებას.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ქარხნების დირექციები თავიანთ თანამშრომლებს კუთვნილ შვებულებაშიც კი ვერ უშვებენ და მათ სთხოვენ, საზაფხულო არდადეგები რამდენიმე კვირით გადადონ.

მარკეტოლოგების ვარაუდით, კომპანიის მიერ წარმოებულ ავტომობილებზე მოთხოვნა ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ამჟამად მსოფლიო საავტომობილო ბაზარზე მაღალი და ლუქსის კლასის ავტომობილების გაყიდვების სწრაფი ზრდაა დაფიქსირებული, "ბეემვე" კი მეტწილად სწორედ ამ კლასების ავტომობილებს აწარმოებს.

"ახლა ისეთი მდგომარეობაა, კაცი იფიქრებს, ჩვენი გაყიდვების ზრდას ზღვარი არ აქვსო. ყველაზე კარგი ისაა, რომ წარმატებულად ვმუშაობთ არამარტო იმ სეგმენტებში, სადაც წლების განმავლობაში გვეკავა მოწინავე პოზიციები, არამედ იქაც, სადაც ახალი დამკვიდრებულები ვართ", - განაცხადა "ბეემვეს" 55 წლის აღმასრულებელმა ჰელმუტ პანკემ.

წინასწარი ვარაუდით, "ბეემვეს" მარკით წარმოებული ავტომობილების გაყიდვები კომპანიის ისტორიაში პირველად გადასცდება მილიონიან ზღვარს. გაყიდვებმა განსაკუთრებით მოიმატეს აშშ-ის ბაზარზე, რომელსაც კომპანიისთვის გერმანიის შემდეგ მნიშვნელობით მეორე ადგილი უკავია.

ასე განსაჯეთ, ივლისის ჩათვლით "ბეემვეს" ამერიკაში 136835 ავტომობილი ჰქონდა გაყიდული (ყვედაზე დიდი მოთხოვნით მე-3 სერიის მოდელი სარგებლობს), რაც 8.4 პროცენტით მეტია, ვიდრე შარშან, იმავე პერიოდში გაყიდული მანქანების რაოდენობა. ამასთან, ამავე პერიოდში "ბემვემ" 1000 ავტომობილით მეტი გაყიდა, ვიდრე "ტოიოტას" ამერიკულმა დივიზიონმა "ლექსუსმა" და 19 ათასით მეტი, ვიდრე "მერსედეს-ბენცმა".

პანკეს თქმით, "ბეემვეს" გერმანული ქარხნები შაბათობითაც კი სრული დატვირთვით მუშაობენ. რაც შეეხება იმ ქარხანას, სადაც მოდელი "მინი" იწარმოება (მისი სიმძლავრე წელიწადში 120 ათასი ავტომობილია), მასში დასვენების დღე აღარ არსებობს - ქარხანა დღედაღამე შეუსვენებლად მუშაობს.

პანკეს მიაჩნია, რომ ცვლების მომატებით და სამუშაო დღეების გაზრდით საქმე არ გადაიჭრება და დღის წესრიგში დგება ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნა. ჰოდა, უახლოეს ხუთ წელიწადში კომპანიას კიდევ ერთი, ულტრათანამედროვე ტექნოლოგიური ხაზებით აღჭურვილი ქარხანა შეემატება, რომლის წყალობითაც "ბემვეს" წლიური გაყიდვების მოცულობა ამავე პერიოდის ბოლოს 1.3 მილიონ ავტომობილს გაუტოლდება.

კომპანიას 2004 წლის ბოლომდე დაგეგმილი აქვს სამი ახალი მოდელის პრეზენტაცია და ორი ძველი მოდელის განახლება. ამ სიახლეებში არ იგულისხმება არც ახალი "როლს როისი", რომელიც დღის სინათლეს 2003 წელს იხილავს ("ბეემვე" ამ ინგლისურ მარკას 2003 წლის 1 იანვარს ჩაიბარებს "ფოლკსვაგენისგან") და არც "მინის" მოდიფიკაციები.

ამ შემოდგომაზევე, კერძოდ პარიზის ავტოსალონზე, "ბეემვე" წარმოადგენს ახალ სპორტულ როდსტერ Z4-ს, რომელიც შეცვლის ძველ Z3-ს. მომავალი წლის დასაწყისში, დეტროიტის ან ჟენევის ავტოსალონზე, დამთვალიერებელი პირველად იხილავს მე-5 სერიის განახლებულ ვარიანტს.

2004 წელს ბაზარზე გამოვა მე-6 სერიის კუპე, რასაც მალევე მოჰყვება ახალი ჯიპი, სახელად X3. მეხუთე ახალი პროდუქტი, რომელიც ასევე 2004 წელს გადადგამს პირველ ნაბიჯს, იქნება პირველი სერიის მცირელიტრაჟიანი ავტომობილი, რომელიც მე-3 სერიის ქვედა ნიშას შეავსებს.

პარალელურად, ამავე პერიოდში გაიზრდება კომპანიის კუთვნილი, რეგენსბურგისა (გერმანია) და სპარტანბურგის (აშშ) ქარხნების საწარმოო სიმძლავრე, ლაიპციგში კი სრულიად ახალი ქარხანა აშენდება, სადაც 1-ლი სერიის მოდელებს გამოუშვებენ. ამასთან, შესაძლოა ფუნქციონირება დაიწყოს ჩინეთში ახლახან შექმნილი ერთობლივი საწარმოს ქარხანამაც.

წელსვე დაგეგმილია სპარტანბურგის ქარხნის საწარმოო სიმძლავრის 120-დან 150 ათასამდე გაზრდა, რისთვისაც კომპანიამ ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე დამატებით შეიძინა 1000 აკრი ფართობის მიწა.

პირველი სერიის ავტომობილები ძირითადად ევროპაში გაიყიდება, 2005 წლიდან კი დაიწყება მისი აშშ-ში ექსპორტიც. ოღონდ, ევროპისგან განსხვავებით, სადაც აქცენტი ჰეჩბეკის ტიპის ძარებზე შეჩერდება, ამერიკელ დილერებს ძირითადად ამ კლასის სედანებს მიაწოდებენ.

სამაგიეროდ, X3 ჯიპი ძირითადად ამერიკული ბაზრისთვის იქნება განკუთვნილი. თუმცა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ამ მოდელს ევროპელებს არ შესთავაზებენ. ამ ავტომობილს დაამზადებს ავსტრიის ქალაქ გრაცში მდებარე "მაგნა შტეიერის" ქარხანა, რადგან ამერიკაში ახალი ქარხნის აშენებას დაახლოებით სამი წელი დასჭირდება, პანკეს თქმით, კი ამდენ ხანს კომპანია ვერ მოითმენს.

პანკემ და "ბეემვე ჰოლდინგ კორპორეიშნის" (ბეემვეს ამერიკული დივიზიონი) აღმასრულებელმა ტომ პარვისმა დიდად აქეს მე-7 სერიის ახალი თაობის ავტომობილი, რომლის წყალობითაც ბაზრის შესაბამის სეგმენტში აშშ-ში გაყიდვების 41-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. ევროპაში ივნისის თვის გაყიდვების მატებამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 79 პროცენტი შეადგინა.

"როცა ახალი თაობის მე-7 სერიის მოდელის დიზაინი დავამტკიცეთ, წინასწარ ვიცოდით, რომ მისი შეფასებისას აზრი გაიყოფოდა, მაგრამ შეგნებულად წავედით ამაზე. ამასთან, დარწმუნებული ვართ, რომ 2004-05 წლებისთვის აზრთა გაყოფას წერტილი დაესმება და ეს მოდელი საბოლოოდ დაიმკვიდრებს ადგილს ბაზარზე", - განაცხადა პანკემ. თუმცა, იქვე პარვისმა დასძინა, რომ ახალი მოდელის წარმოებაში გაშვების წინ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ მას ესოდენ დიდი წარმატება ელოდა.



"კრაისლერი" ორ კონცეპტს სერიისთვის ამზადებს

კომპანია "კრაისლერი", რომელიც კორპორაცია "დაიმლერკრაისლერის" შემადგენლობაში შედის, დღეისათვის აქტიურად სწავლობს ერთბაშად ორი კონცეპტუალური (მომავლის) მოდელის, "დოჯ M80"-ისა და "ჯიპ კომპასის" სერიულ წარმოებაში გაშვების შესაძლებლობებს.

როგორც ცნობილია, ამ ორი მოდელის პრემიერა იანვარში, დეტროიტის უკანასკნელ საავტომობილო შოუზე შედგა და მათ მნახველთა და სპეციალისტთა დიდი მოწონება და დაინტერესება გამოიწვიეს.

ეს მოდელები პირველ რიგში 24 წლამდე ასაკის მყიდველებზეა გათვლილი. არადა, დღეისათვის კომპანიის სამოდელო რიგში არ მოიპოვება არცერთი ავტომობილი, რომელიც ბაზრის ამ სწრაფად მზარდ სეგმენტს შეესაბამება. სტატისტიკური მონაცემებით, "კრაისლერის" მარკის ავტომობილების მყიდველთა საშუალო ასაკი 54 წელს შეადგენს, "ჯიპისა" - 48 წელს, "დოჯისა" კი - 47 წელს. თუმცა, კომპანიის მარკეტოლოგები თვლიან, რომ 2007 წლისთვის გამოჩნდება მყიდველთა ახალი თაობა, რომელიც არჩევანს მეტწილად შედარებით იაფსა და გარეგნულად მოხდენილ ავტომობილებზე გააკეთებს.

"ამ ტიპის მომხმარებელთათვის ავტომობილები 12-17 ათასი დოლარის ფარგლებში უნდა ღირდეს და ისინი უნდა იყვნენ მიმზიდველნი როგორც გარედან, ასევე შიგნიდან. ტექნიკაზე ლაპარაკი არ არის", - განაცხადა "კრაისლერის" წარმომადგენელმა.

წინასწარი ვარაუდით, ამ ორი მოდელის მომავლის შესახებ გადაწყვეტილება უახლოეს პერიოდში, შესაძლოა წლის ბოლომდე იქნას მიღებული. ამასთან, დიდი შანსია იმისა, რომ ორივე ავტომობილი სერიულ წარმოებაში მოხვდება.

კონცეპტუალური "მაგელანი" მარკას იცვლის

გერმანული კონცერნ "ფოლკსვაგენის" ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ კონცეპტუალური (კონცეპციური ავტომობილი, რომელიც მოდელის პერსპექტივის შესასწავლად იქმნება) ჯიპი "ფოლკსვაგენ მაგელანი", რომელიც პირველად ამა წლის დასაწყისში, დეტროიტის ავტოსალონზე იქნა ნაჩვენები, სერიულ წარმოებაში აუცილებლად მოხვდება. თუმცა, იქვე გაცხადდა, რომ მოდელი კონცერნის შემადგენლობაში მყოფი კომპანია "აუდის" სადილერო ქსელში ამავე მარკით გაიყიდება. წინასწარი ინფორმაციით, "აუდის" მომავალი სიახლე ჯიპ "ფოლკსვაგენ ტუარეგის" პლატფორმაზე აიგება, რომლის დებიუტიც დამდეგი შემოდგომისთვისაა გათვალისწინებული. ამის მიუხედავად, "მაგელანი" არ იქნება სრულფასოვანი ჯიპი - იგი გაცილებით დაბალ ძარას მიიღებს და ამგვარად, ეგრეთ წოდებული "საპარკეტო ჯიპების" კლასში მოხვდება და მისი მთავარი კონკურენტი გახდება "მერსედეს-ბენცის" ასევე ახალი მოდელი GST.

"ოტომოტივ ნიუს იუროპის" ცნობით, თავიდან "მაგელანს" "აუდი A6"-ის პლატფორმაზე დასმას უპირებდნენ, მაგრამ როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, ეს პლატფორმა არ იძლევა ზოგიერთი ტიპის ძრავების გამოყენების საშუალებას.

სიახლის დიზაინერულ ადაპტაციაზე იზრუნებს "ფოლკსვაგენის" დიზაინ-სტუდია, სამუშაოებს კი კოორდინირებას გაუწევს ცნობილი დიზაინერი ვალტერ და სილვა, რომელმაც მანამდე სახელი გაითქვა კონცერნის სამი სპორტული ავტომობილის დიზაინ-პროექტების შექმნით. "აუდის" ახალი ავტომობილის გაყიდვების დაწყება კი 2005 წლისთვისაა დაგეგმილი.

ახალი "კლიო" ორი წლით იგვიანებს

მიუხედავად იმისა, რომ "რენოს" მცირე ჰეტჩბეკი "კლიო" იმავე პლატფორმაზე აიგება, რაზეც უკვე იწარმოება ახალი "ნისან მიკრა", ამ ფრანგული პოპულარული მოდელის დებიუტი 2003 წლამდე მაინც ვერ ესწრება, მისი გაყიდვები კი სავარაუდოდ, 2004 წლიდან დაიწყება.

არადა, "ნისანმა", რომლის აქციების საკონტროლო პაკეტიც სამი წელია, "რენოს" ეკუთვნის, უკვე დაიწყო იაპონიაში "მიკრას" გაყიდვა და მის ევროპაში შემოტანასაც უახლოეს მომავალში აპირებს.

თუმცა, ზოგიერთი ანალიტიკოსის მოსაზრებით, ამგვარ სტრატეგიას გარკვეული უპირატესობა გაჩნია. "კლიოს" ბაზარზე გამოჩენისთვის მისი მთავარი კონკურენტები, როგორებიც არიან "ფორდ ფიესტა", "ჰონდა ჯაზი" და "ფოლკსვაგენ პოლო", საგრძნობლად მოძველდებიან და ეგრეთ წოდებული "ფეისლიფტინგის" (კოსმეტიკური მოდიფიკაცია) პროცესში იქნებიან.

ახალი მოდელისთვის სწორედ ეს დრო იქნება ხელსაყრელი დებიუტისთვის, რადგან სიახლე მომენტალურად მიიპყრობს დიდ ყურადღებას, რაც თავის მხრივ, დადებითად იმოქმედებს "კლიოს" გაყიდვებზე.

"რენოს" მიერ წინასწარ გავრცელებული ინფორმაციით, ახალ "კლიოს" ექნება გაცილებით თანამედროვე, უფრო მომრგვალებულ ფორმებში გადაწყვეტილი გარეგნობა. იგი მიიღებს ახალი, თანამედროვე აგრეგატების მთელ რიგს, რომელთა შორისაც იქნება ეკონომიურობისა და ეკოლოგიურობის ულტრათანამედროვე სტანდარტების შესაფერისი დიზელის ძრავა. გარდა ამისა, იმავე პლატფორმაზე მოგვიანებით დამზადდება ახალი, კომპაქტური ერთმოცულობიანი ავტომბილი. ასევე "რენო ტვინგოს" ახალი თაობის მოდელი.

"სააბის" გაყიდვები გაიზარდა

შვედურმა კომპანია "სააბმა", რომელიც კონცერნ "ჯენერალ მოტორსის" ევროპულ დივიზიონში შედის, მთელ მსოფლიოში საკუთარი პროდუქციის გაყიდვების რეკორდული ზრდის შესახებ გამოაცხადა.

მაგალითად, მარტის განმავლობაში მსოფლიოს ბაზარმა შვედური მარკის 16 052 ავტომობილი აითვისა, რაც კომპანიის ისტორიაში საუკეთესო შედეგია.

წინასწარი პროგნოზებით, გაყიდვების ზრდის ტენდენცია წლის მეორე კვარტალშიც უნდა გაგრძელებულიყო, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყო სამოდელო რიგში დიზელის ძრავიანი მოდიფიკაციების გამოჩენას.

"სააბმა" ჯერ კიდევ აპრილიდან დაიწყო ახალი, ოთხცილინდრიანი დიზელის ძრავებით დაკომპლექტებული მოდელ "სააბ 9-3"-ის გაყიდვები. ახალი ძრავები გამოირჩევა იმით, რომ მათ საწვავი პირდაპირ წვის კამერაში მიეწოდებათ, რითაც იზრდება აგრეგატის მარგი ქმედების კოეფიციენტი, მცირდება გამონაბოლქვის ტოქსიკურობა და მატულობს მისი ეკონომიურობა.

ცნობისათვის, 2.2-ლიტრიანი დიზელის ძრავა 120 ცხენის ძალას ავითარებს და ას კილომეტრზე ოდენ 6.6 ლიტრ დიზელის საწვავს მოიხმარს. მალე ახალი დიზელები მოდელ "სააბ 9-5"-ზეც დამონტაჟდება და საბაზო მოდელი 38 ათასი ევროს ფარგლებში ეღირება.

ანონსი

მომდევნო გამოშვებაში, რომელიც ორ კვირაში გამოვა, თქვენ გაეცნობით: "ჯენერალ მოტორსის" მომავლის ავტომობილებს, "ასტონ მარტინისა" და "იაგუარის" ახალ მოდელებს და სხვა უამრავ საავტომობილო ამბებს.

ბინები

იყიდება

იყიდება ლეონიძის ქუჩაზე 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა სათავსოებით ე.წ. "სტალინის სახლში" მე-3-ე სართულზე. საწყისი ფასი 30 000. ტელ: 99 80 71

იყიდება კაპიტალური, გარემონტებული ბინა ისნის რაიონში, ჩოლოყაშვილის ქ. №52-ში. 77 09 76

იყიდება 2-ოთახიანი კუთხის ბინა ხილიანზე. 8(99)50 05 27

იყიდება 2-ოთახიანი 3-ად გადაკეთებული. 2(3) სართული. ყველა სათავსოთი. ჯანაშიას №9. 23 05 63

იყიდება 3-ოთახიანი მიშენებით ქავთარაძეზე. 30 35 05

იყიდება 1-ოთახიანი ბინა ლოჯით, სამტრედიის ქუჩაზე. 3 (9) სართულზე. სამზარეულო გატანილია ლოჯიაში. სველი წერტილები კაფელში. ფასი 8.500 $. 35 43 67

იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული, მაღალჭერიანი ბინა იტალიურ ეზოში. ს/ფართი 75 კვ.მ. გამცემლიძის №29. 51 60 18

იყიდება 3-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა გლდანის მასივში. VII მკ/რ-ნი. მე-20 კორპ, მე-5 სად., VIII სართ. ტელეფონით და ავტოფარეხით. 37 88 77

იყიდება არასტანდარტული სამოთახიანი ბინა ლოჯიით. ს/ფართი 136 კვ.მ. ჭერი 3.50 მ. ხუთსართულიანის მე-2 სართულზე. ვაკეში, კეკელიძის ქუჩაზე. ბოლო ფასი 46.500. გაფორმებით. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ჩეხური პროექტის კარგად გარემოტებული ბინა (თითქმის უცხოვრებელი) დიდუბეში, მირცხულავას ქუჩაზე. ბელეტაჟზე. ძვირფასი ავეჯით მთელ ბინაზე. ბოლო ფასი 30.000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება კომერციული ფართი ვერაზე, 39 კვ.მ., რომელიც იყო გაქირავებული აგვისტომდე 400 $-ად. საწყისი ფასი 36.000. 8(99) 51 02 99

სასწრაფოდ იყიდება დიდუბეში, მირცხულავას ქუჩაზე ჩეხური 4-ოთახიანი სარემონტო ბინა მე-5 სართულზე. ბოლო ფასი 22.500 გაფორმებით. 98 52 81 საღამოს

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი არასტანდარტული სუფთა ბინა ვაკეში, მცხეთის ქუჩაზე, მე-2 სართულზე. ბოლო ფასი 45.000. ს/ფ. 144 კვ.მ. 98 52 81 საღამოს

სასწრაფოდ იყიდება ჩეხური პროექტის სამოთახიანი და ოროთახიანი კუთხის გაერთიანებული, გადაკეთებული, გარემონტებული ბინა 4 სველი წერტილით მე-4 სართულზე. წერეთლის №55. ავტოფარეხით. ბოლო ფასი 55.000. 8(99) 51 58 54

ვცვლი ბინას თბილისიდან პეტერბურგში. 8(77) 78 18 57

სასწრაფოდ იყიდება 2-ოთახიანი იზოლირებული ბინა ნინოშვილზე. 95 87 41

სასწრაფოდ იყიდება ხილიანზე 3 (16) 1,5 ოთახიანი სუფთა ბინა. საწყისი ფასი 12.000. 98 52 81

სასწრაფოდ იყიდება 1997 წლის გამოშვებული ორი ჯიპი: "ჰუნდაი გალოპერი" ერთ ბენზინზე", მეორე დიზელი. ორივე კარგ მდგომარეობაში. კონდიციონერებით. თითოს ბოლო ფასი 9.000. 8(99) 51 58 54

იყიდება 4-ოთახიანი უცხოვრებელი ბინა 6/9-სართულზე დიდ დიღომში, მე-3 მკ/რ-ში, მე-5 კორპუსი. ფასი 8500. ტელ: 23-13-74 (საღამო), 877 40 78 50

იყიდება 3-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა, 6(9) ვარკეთილის მე-3 მკ/რ-ში. ტელ: 59-05-59.

იყიდება 3-ოთახიანი ბინა საირმეზე. ტელ: 37-88-90.

იყიდება 1-ოთახიანი გადაკეთებული 2-ად დიღმის მასივში. ტელ: 52-10-31

იყიდება 5-ოთახინი ბინა ქიაჩელზე. ტელ: 93-65-53.

იყიდება 2-ოთახიანი ბინა რუსთავში. ტელ: 8 24 15 72 62

იყიდება 2-ოთახიანი ბინა, საერთო ფართი 80 კვ.მ. ვერაზე. ტელ: 22-48-91

იყიდება 4-ოთახიანი ბინა ვაშლიჯვარის დასაწყისში, კინოსტუდიის კორპუსში. ტელ: 53-06-68.

იყიდება სახლი. ტელ: 63-32-44

იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი დიდი ეზოთი ან სახლის ნახევარი. ტელ: 33-25-77.

იყიდება მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის 3 მკ/რ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 32-52-82

იყიდება ბინა მარჯანიშვილზე. ტელ: 95-26-46.

იყიდება მიწის ნაკვეთი წავკისში. ტელ: 877-73-32-19.

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ვერაზე. ტელ: 29-33-73.

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას 4 კვ. 10 კორპუსი. 31-61-68.

იყიდება ბინა 3,5-ოთახიანი სამედიცინო ინსტიტუტის პირდაპირ. 15 (18) სართული. ევრორემონტით, ტელეფონით, სარდაფით, ორსართულიანი ავტო-ფარეხით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-16-26, 899-558355

იყიდება ან იცვლება ნაკლებ ფართზე 2-ოთახიანი ტიპური სუფთა ბინა. 4 (8) წერეთელზე 12 000-ად. 34-61-29

ვყიდი კერძო კაპიტალურ სახლს დოლიძის ქუჩაზე 500 კვ.მ. ნაკვეთით. 38-29-50

იყიდება 4-ოთახიანი ბინა ავტოფარეხით, ბ/აირით, ტელეფონით ვაშლიჯვრის კინოსტუდიის სახლში. 53-06-68

იყიდება პეკინზე 4-ოთახიანი ბინა 140 კვ.მ. ფართის. 7/6 სართულზე. ფასი 31. 000. 899-562754

იყიდება ჩელუსკინელების ქუჩაზე 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით 5/5 სართულზე, დიდი სხვენით. ფასი 20.000. 899-562754

იყიდება 2-ოთახიანი ბინა დიდი ლოჯიით, ბუდაპეშტის ქ. № 10. 8/5 სართულზე, რემონტით. ფასი 18.000. 37-45-14 (საღამოს)

იყიდება 1,5 ოთახიანი ბინა-სახელოსნო ევრორემონტით, ვაკეში, კავსაძის 4. 2/2 სართულზე. ბუხრით, აივნით, რკინის კარით. ფასი 15.000. 893-311772

იყიდება 4-ოთახიანი ბინა I სართულზე 130 კვ.მ., სარდაფი 60 კვ.მ., რომელიც გამოდგება სარესტორნედ. ქიაჩელის ქუჩაზე (ვერაზე). ფასი 52.000. 893-311772

ვიყიდი 2-ოთახიან ბინას I სკოლის უკან ახალ სახლში (35.000-ად). 96-17-35

იყიდება ვერაზე 3-სართულიანი სასტუმრო 800 კვ.მ. ეზოთი. ფასი 650.000. 893-311772

იყიდება 2,5-ოთახიანი ბინა 8/9 სართულზე, სუფთა. წერეთელზე (კოკა-კოლასთან). ფასი 17.000. 961735

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ვაკეში ფალიაშვილის ქუჩაზე, მიშენებით. 5/5 სართულზე. ფასი 35.000. 95-39-97

იყიდება 2-სართულიანი სახლი 140 კვ.მ. ეზოთი (65 კვ.მ.), მეტრო ავლაბართან. ფასი 18.000. 893-311772

იყიდება 4-ოთახიანი ბინა დოლიძის დასაწყისში, 16/2 სართულზე. სუფთა მდგომარეობაში. კაპიტალური ავტოფარეხით. ფასი 45.000. 893-311772

იყიდება 2-ოთახიანი ბინა I სკოლის უკან, ლესია უკრაინკას ქუჩაზე, 7/5 სართულზე. კაპიტალური რემონტით, რკინის კარებით, ავტოფარეხით. ფასი 40.000. 893-311772

იყიდება 6700 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ისნის რაიონში, გზატკეცილზე. 95-39-97

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით გამსახურდიას გამზირზე, 8/3 სართულზე. ფასი 18.000. 96-17-35

იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი ეზოთი, 200 კვ.მ. თამარ მეფის გამზირზე. ფასი 100.000. 95-39-97

იყიდება 4-ოთახიანი ბინა პავლოვზე, 5/5 სართულზე, 240 კვ.მ. სხვენით. ფასი 67.000. 95-39-97

იყიდება 1-ოთახიანი ბინა ბუნებრივი აირით თემქაზე- 2 700-ად. 61-73-58; 61-05-49

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ვერაზე. 29-33-73

იყიდება გარემონტებული 3-ოთახიანი ბინა ნუცუბიძის IV მკ.რ-ში ტელეფონით და კაპიტალური ავტოფარეხით. 8(99) 50-89-02; 66-07-74

იყიდება 5-ოთახიანი ქიაჩელზე. 93-65-53

იყიდება 3-ოთახიანი „ღრმაღელესთან". 61-87-21

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ვარკეთილის 3-ის I მკ.რ-ში. 75-96-30

იყიდება 3-ოთახიანი გლდანში. 95-78-96; 95-93-39

იყიდება ახალაშენებული კერძო სახლი. 63-32-44

იყიდება 270 კვ.მ. ერთსართულიანი სახლი ანჩისხატის ტერიტორიაზე. დასაკმაყოფილებელია 2 ოჯახი. 8(99) 23-59-13

იყიდება სახლი წავკისში. 22-68-39

იყიდება 1-სართულიანი კაპიტალური შენობა საბჭოს მოედანზე. 79-61-43 საღამოს 98-46-76 დღისით.

იყიდება 1 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი დიღომში, მანქანების ბაზრობის მოპირდაპირე მხარეს. 94-20-04; 94-12-92 18.00-მდე.

იყიდება სოფელ დიღომში დიდი სახლი ეზოთი და ნაკვეთით- 20 000-ის ფარგლებში. 52-16-84.

იყიდება ბინები ახლად აშენებულ კომპლექსში, ყიფშიძეზე-230-დან. 8(99) 58-24-39

სასწრაფოდ იყიდება 4-ოთახიანი ბინა თავისი ნაკვეთით ხაშურის რაიონში, სოფ. ტეზერში. ფასი 2500-მდე. 99-38-02

სხვადასხვა

ქირა, გირაო

ქირავდება 3-ოთახიანი ბინა მეტრო "სამედიცინო ინსტიტუტთან". ფასი 150 $. 39 88 77

ქირავდება 2 ოთახი60 ლარად. ხარფუხის უბანში. 75 10 16

ვაქირავებ 1-ოთახიან ბინას საბურთალოზე. 32 14 92

ვაქირავებ 2-ოთახიან კეთილმოწყობილ ბინას ბარათაშვილის ქუჩაზე. 93 43 06

53 66 22

ქირავდება დიდი ოფისი თავისუფლების მოედანთან რემონტით და ახალაშენებული ევროოფისი ვაჟაზე. 8 (99) 51 02 99

ქირავდება გარემონტებული ბინა ვაკეში. 8(99) 50-82-42

ვიგირავებ ბინას კორპუსში. 1500-ად. ტელ: 60-12-74

ქირავდება 1-ოთახიანი ბინა, ბუნებრივი აირით, ტელეფონით. მეტრო "სამედიცინოსთან". ტელ: 71-35-19

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა რუსთავში. ტელ: 8 24 15 72 62

ქირავდება 1,5-ოთახიანი ბახტრიონზე. ტელ: 37-17-48; 899-511525

ქირავდება იზოლირებული 2-ოთახიანი ბინა ვერაზე. ტელ: 23-57-75; 899-193232

ვიგირავებ ბინას. 79-75-68; 8(99) 23-20-94

ვიგირავებ. 39-04-40; 8(99) 549506

ვაგირავებ. 39-04-40; 8(99) 54-95-06

ქირავდება გარემონტებული 54 კვ.მ. ფართობი კომერციული საქმიანობისთვის ელიავაზე. 34-25-22; 8(99) 96-33-79

ქირავდება 1,5 ოთახიანი ნაკაშიძის ქუჩაზე. ფასადი გადის პუშკინზე. საოფისედ ან სამაღაზიედ. 986102, 798790

ქირავდება კამოს ქ. №117 3-ოთახიანი ბინა ავტოფარეხით, I სართულზე (გამოდგება საოფისედ). ფასი 200. 374514 (საღამოს).

ვიქირავებ 2-ოთახიან ბინას ვერაზე ან მთაწმინდაზე (200-ად). 95-39-97

ქირავდება 3-ოთახიანი არასტანდარტული ბინა ახალ სახლში, I სკოლის უკან, ავეჯით. ფასი 500. 96-17-35

სწავლება

ვარ ინგლისური ენის სპეციალისტი. მაქვს აბიტურიენტებთან მეცადინეობის დიდი ხნის სტაჟი. შეიძლება ბინაზე მისვლა. 30 63 26

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ყველა საგანში ინგლისურის ჩათვლით. 77 50 08

ვასწავლი გერმანულს ნებისმიერი ასაკის მსურველს ნებისმიერი პროგრამით. 29 32 89

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს მათემატიკაში სახლში მისვლით. 79 24 99

ვამზადებ ფრანგულსა და გერმანულში. 1 საათი 5 ლარი. 33 12 05

ვამზადებ მოსწავლეებს ინგლისურ ენაში (ბინაზე მისვლით). ტელ: 32-63-47

მოვამზადებ ინგლისურში. ტელ: 30-28-00

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ინგლისურში. ტელ: 92-05-26

მოვამზადებ ფრანგულ ენაში. ტელ: 79-79-96

მოვამზადებ ინგლისურში და იტალიურში. ტელ: 52-31-35.

მოვამზადებ ფრანგულში საფუძვლიანად. ტელ: 63-37-77.

მოვამზადებ გერმანულში. ტელ: 96-76-95.

მოვამზადებ ინგლისურში. 33-47-79

მოვამზადებ ინგლისურში. 99-59-37

შევასწავლი იტალიურ ენას. 69-09-22 ნათია.

ვასწავლი გერმანულს გერმანული სკოლის მოსწავლეებს. 33-50-07

მოვამზადებ მათემატიკაში. 79-95-24

მოვამზადებ ინგლისურში მოსწავლეებს. 57-63-37

მოვამზადებ ინგლისურში მოსწავლეებს და აბიტურიენტებს 63-03-53

შევასწავლი თანამედროვე მუსიკას ბინაზე მისვლით. 70-61-02 ნინო

მოვამზადებ რუსულში 30-52-88

ვთარგმნი ინგლისურიდან ქართულად და პირიქით. 68-37-04

მოვამზადებ გერმანულში. 96-76-95

ვასწავლი ესპანურ ენას. პროგრამა შეირჩევა მოსწავლის სურვილისა და ასაკის მიხედვით. 61-00-84 (საღამოს).

მოვამზადებ ქართულში და ინგლისურში თვეში 20 ლარად. დაგიწერთ ნებისმიერ თემას. 68-37-04

ინგლისური ენის სპეციალისტი მომამზადებს სკოლის მოსწავლეებს ნებისმიერი პროგრამით, მოთხოვნილების გათვალისწინებით. 94 24 89 შორენა

სხვადასხვა

იყიდება მიკრო-ავტობუსი "ფოლცვაგენი", მუქი ლურჯი, 1983 წლის. კარგ მდგომარეობაში. მუშაობს ბუნებრივ აირზე. ბოლო ფასი 1000. 41 03 31

სასწრაფოდ იყიდება პიანინო "როსლერი" კარგ მდგომარეობაში. 23 53 55

ვიქირავებ ან შევიძენ განვადებით ნაყინის მაცივარს. 39 70 41

გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადების მქონე პირები დაგვიკავშირდით: 53 87 19, 33 58 40, 8(77) 43 89 70

შევიძენ თანამედროვე როიალს და პიანინოს. 95 08 87

იყიდება როიალის "გერბშტატი". 39 09 27

ვიქირავებ კაფეს ან რესტორანს. 8(99) 58 04 41

იყიდება სუპერმარკეტი. 75 04 28

გამოცდილი ბუღალტერი ვეძებ სამუშაოს. ვიცი კომპიუტერის საოფისე პროგრამები. 78 05 46

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Exell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი . Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი

მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69, (899) 551504

იყიდება "დობერმანპინჩერის" 3 თვის ლეკვები. 38 31 93 61 79 62

იყიდება ჩამწერი დიქტოფონი. ციფრული. 100$. 98 38 71 ნათია

ვარ მზარეული. მოვემსახურები უცხოელებს. 79 65 33

იყიდება "პენტიუმ-2" და ლაზერული პრინტერი. 77 41 63, 8(99)11 46 47

იყიდება "რაფი". კარგ მდგომარეობაში. ფასი 300 $. 62 02 42 62 52 41

იყიდება "ლანჩია-ცემა", 1989 წლის. ნაცრისფერი. ფასი შეთანხმებით. 23 14 15

იყიდება წითელი ფერის "ფოლცვაგენ-ჯეტა" 800-ად. კარგ მდგომარეობაში. ვაყოლებ 4 საბურავს და სავალი ნაწილების ახალ კომპლექტს. 8(99) 93 09 19 ზურა.

იყიდება 1997 წელს გამოშვებული "ფოლსცვაგენ-პასატი", მწვანე მეტალიკი კლიმატკონტროლით, ღია სალონით, ნადგომი. ბოლო ფასი 8.500. 98 52 81. საღამოს

იყიდება კომპიუტერი PENTIUM I. ფასი 12 $. 30 83 45. ზურა

ავაწყობ პიანინოებს და როიალებს უმაღლეს დონეზე. შეღავათიან ფასში. 58 63 37 ან 8(97) 58 87 85, მალხაზი

იყიდება მერსედესი 123. ფასი 188 $. 39 80 77

დაიკარგა ყავისფერი ცალთვალა პუდელი. მპოვნელი დასაჩუქრდება. 33-32-27

ვერაზე დაიკარგა წითური კოკერ-სპანიელი, მპოვნელი დასაჩუქრდება. 93-59-49; 8(77) 72-48-27

საესტრადო სიმღერების შესწავლა ფორტეპიანოსა და გიტარაზე. 69-25-86

„ციკლოვკა". 96-38-89

მოვემსახურები მანქანით. 38-04-42

შევიძენ კონდიციონერს და გაზქურას. 70-01-90

შევიძენ პიანინოს 70-61-02 ნინო

იყიდება პიანინო „ბელარუსი", 3-პედლიანი. ფასი შეთანხმებით. 76-80-90

იყიდება არყის ხის საძინებელი, 4 500-ად. 8(77) 45-38-84

იყიდება გაზზე მომუშავე სახაჭაპურე ღუმელი. 98-61-02, 79-87-90

კარდიო-დაზღვევა გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადების მქონე პირთათვის. 53-87-19, 8(77) 438970

იყიდება საოჯახო ნივთები. 530668

იყიდება უძველესი, ანტიკვარული ბუხარი, 600-ად. 96-31-99

იყიდება 1853 წელს გამოშვებული პიანინო „ბერლინი". 33-40-35 საღამოს.

იყიდება საძინებლები. 53-07-55; 8(77) 41-90-72

იყიდება მაღაზია. ალ. ყაზბეგის 25-ა. 39-39-63

სასწრაფოდ იყიდება „მერსედეს-230E", შავი ფერის. 1985 წლის. კარგ მდგომარეობაში. 8(99) 58-41-83; 8(77) 42-05-75

იყიდება ბენზინგასამართი ავჭალაში. 53-33-26

იყიდება საძინებელი „ლუდოვიკო". 34-25-22; 8(99) 96-33-79

ვიმუშავებ კურიერად. ტელ: 69-93-73

ვიმუშავებ ოჯახში მზარეულად ან ბავშვის მომვლელად. ტელ: 63-61-58

მოვამზადებ ქიმიაში ბინაზე მისვლით. ტელ: 29-39-15.

იყიდება ბატიბუტის აპარატი. ტელ: 62-15-64.

იყიდება შავთეთრი ტელევიზორი მუშა მდგომარეობაში. ტელ: 62-15-64. მარინა.

ვიმუშავებ გამყიდველად. ტელ: 25-25-02.

ვიმუშავებ მზარეულად სასტუმროში. ტელ: 33-25-77.

ვიმუშავებ მზარეულად სასტუმროში. ტელ: 79-65-33.

იყიდება "მერსედესი -123/ 230". ტელ: 899-15-19-39.

მოვუვლი მოხუცს ან ავადმყოფს (არა მძიმეს). ტელ: 52-77-23.

იყიდება ცომის გასაბრტყელებელი. ტელ: 77-62-78.

მოვუვლი ნებისმიერი ასაკის ბავშვებს ან ახლაშობილს. ტელ: 22-19-80.

მოვამზადებ ინგლისურსა და ბიოლოგიაში. ტელ: 79-87-10, 79-53-44.

იყიდება ეკლესიის მაკეტი. ტელ: 98-31-32.





სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი

ჯორჯიან რისარჩი

[illegible] 1997 [illegible]

- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]

[illegible] 10 [illegible]

ჩვენი ტელეფონები: 25-35-48; (899) 51-19-94

გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების ქვითარი

ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვასწავლი, მომსახურება, სამუშაო, მკურნალობა

უფასო განცხადებების ქვითარი მოიტანეთ სარეკლამო სამსახურში ვაჟა-ფშაველას 45, სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა 12 გაურკვევლად დაწერილი განცხადებები არ გამოქვეყნდება

სამედიცინო ხასიათის განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება

ორთაბრძოლები

მედლების მასა მასაში

გიგა გურასაშვილი

საქართველოში არატრადიციული სპორტის სახეობებიდან ერთ-ერთი გამორჩეული კიკბოქსინგი და ტაილანდური კრივია. 1993 წლიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც სპორტის ამ სახეობებს საქართველოშიც გაუჩნდნენ მიმდევრები, არაერთ ტურნირსა თუ ჩემპიონატში გვიასპარეზია და საკმაოდ შთამბეჭდავადაც. ცხრა წლის განმავლობაში ქართველმა სპორტსმენებმა, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირს თუ არ ჩავთვლით, ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატებზე 60 მედალი მოიპოვეს. იტალიაში ახლახან დასრულებული მსოფლიო ჩემპიონატიდანაც მედლებით დახუნძლული დავბრუნდით.

საკურორტო ქალაქ მასაში 70-ზე მეტი ქვეყნის 2500-მდე ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის მსოფლიოს საუკეთესო წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. შეჯიბრებები ორ ასაკობრივ ჯგუფში – პატარებსა და დიდებს შორის გაიმართა.

სამდღიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ პირდაპირ ასპარეზობებში მოვხვდით, თანაც, სხვებზე მეტი ორთაბრძოლის გამართვა მოგვიწია (ეს იმიტომ, რომ კენჭისყრაზე დაგვაგვიანდა). მიუხედავად ამისა, ჩვენმა ნაკრებმა 9 საპრიზო ადგილი დაიკავა. აქედან ერთი ოქრო, ორი ვერცხლი, დანარჩენი კი ბრინჯაოა. ყველაზე მეტ წარმატებას ტაილანდურ კრივში მივაღწიეთ. 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში არჩილ ლაფაჩიშვილს, მასპინძლის სახით, საკმაოდ ძლიერი მეტოქე შეხვდა. ბუნებრივია, მსაჯი იტალიელს უფრო სწყალობდა, მაგრამ ქართველმა სპორტსმენმა მეტოქეს გასაქანი არ მისცა და ორი წლის წინათ დაკავებულ მეორე ადგილს ჩემპიონობაც დაუმატა. წარმატების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან ლევან ყაველაშვილმა. მან ფინალამდე იოლად გაიკვლია გზა და უკვე ჩემპიონობისთვისაც ვემზადებოდით, მაგრამ...

“ჩემპიონატის ორგანიზატორებისგან ვიცოდით, რომ ფინალები მეორე დღეს უნდა გამართულიყო, - გვეუბნება საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელი გოჩა ჯავახია, - ლევანიც ადგა და სასტუმროში დასასვენებლად წავიდა. მოულოდნელად გაირკვა, რომ ფინალი სწორედ იმ დღეს გაიმართებოდა. სასწრაფოდ დავუკავშირდით ლევანს, მაგრამ უკვე გვიანი იყო - მოგება მის მეტოქეს ჩაუთვალეს, არადა, ყველა აღიარებდა, რომ ის ლევანს ვერ დაამარცხებდა. მოგებული ორთაბრძოლა წაგებად ჩაუთვალეს ევროპის ჩემპიონატის შარშანდელ გამარჯვებულს კობა კალაიჯიშვილსაც. იგი თავიდანვე ფავორიტად ითვლებოდა. ჩემპიონობისთვის მებრძოლ მასპინძელ მეტოქეზე მთელი თავით მაღლაც იდგა, მაგრამ უნებლიე შეცდომამ ჩემპიონობა დააკარგვინა. საქმე ის არის, რომ კიკბოქსინგში მეტოქისთვის მუხლის დარტყმა აკრძალულია. კობამ კი, შემთხვევით, იტალიელ სპორტსმენს სახეში მუხლი გაარტყა. მსაჯებმა იტალიელს მიაკუთვნეს გამარჯვება. ასე დავკარგეთ მესამე ოქროს მოპოვების შესაძლებლობა. წარმატებასთან ახლოს იყო შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული ზემძიმე წონაში თემურ მუხიაშვილი. მან ყველა მეტოქე იოლად ჩამოიშორა გზიდან, მაგრამ ნახევარფინალში მასზე საკმაოდ მაღალ და 20 კილოგრამით მძიმე გერმანელ მეტოქესთან, იმის მიუხედავად, რომ დუელი თანაბარი იყო, გამარჯვება, რატომღაც, თემურის მეტოქეს მიაკუთვნეს. კარგად ჩაატარა ორთაბრძოლები არმენ აზიზიანმა, მაგრამ ნახევარფინალში რუსეთის წარმომადგენელთან 1:2 დამარცხდა. აქაც მიკერძოებული მსაჯობა იყო. მართალია, შედეგი გავაპროტესტე, მაგრამ ამას ნაყოფი არ გამოუღია.

მოულოდნელობა იყო ნაკრების ახალბედა წევრის, ბათუმელი მინდია ბოლქვაძის მიერ მოპოვებული ბრინჯაო. მესამე ადგილები დაიკავეს შალვა ავთანდილაშვილმა და ლელა ავეტისიანმა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ნაკრების ყველაზე პატარა წევრის, 10 წლის ცოტნე სამუშიას პაექრობები. სამუშიამ ლამაზად და ტექნიკური სტილით დაამარცხა მეტოქეები, მაგრამ ნახევარფინალში დამარცხდა ინგლისელ მეტოქესთან, თუმცა, მესამე ადგილიც კარგი შედეგია.

გოჩა ჯავახია "24 საათის" რედაქციაში

ლევან ხერხეულიძის ფოტო

- უცნაურია, მაგრამ ფაქტია: თქვენ გაცილებით ნაკლები დაფინანსება გაქვთ და, ფაქტობრივად, ცარიელ ენთუზიზმზე მუშაობთ, მაგრამ შედეგიანობით გამოირჩევით. ამას როგორ ახსნით?

- ჩვენთან, ასე ვთქვათ, დიდი კონკურენციაა. ყოველ თვეში შეჯიბრებებს ვაწყობთ. გვაქვს ყოველდღიური ორჯერადი ვარჯიშები. რეგულარულად ვატარებთ საქართველოს ჩემპიონატს. როგორც ბიჭები ამბობენ, მათ საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობა უფრო უჭირთ, ვიდრე სხვაგან. ყოველივეს ჯანსაღი კონკურენცია განაპირობებს და, ალბათ, იმიტომ.

- იტალიაში 13-კაციანი შემადგენლობით იყავით. ამ გაჭირვების ჟამს ეს როგორ მოახერხეთ?

- სპორტსმენთა ერთმა ნაწილმა თავად გამონახა ჩემპიონატზე გამგზავრების საშუალება. ცოტა ჩვენც მივდექ-მოვდექით. ამასთან, საქართველოს კონსულმა სოსო დანელიამაც დიდი დახმარება გაგვიწია იტალიაში.

- ახლა რა გეგმები გაქვთ?

- მექსიკაში, ერთ-ერთ ტურნირზე ვართ მიწვეული. თუ რამე საშუალება გამოვნახეთ, ალბათ, იქაც წავალთ. სხვათა შორის, ევროპიდან მარტო ჩვენ დაგვდეს ასეთი პატივი.

ფეხბურთი

ვილტორდი საუკეთესოა

ლონდონის “არსენალის” ფრანგები კიდევ ერთხელ მოექცნენ ინგლისელთა ყურადღების ცენტრში. ბარკლეიკარდის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, “არსენალის” ფრანგი ფორვარდი სილვიან ვილტორდი პრემიერ ლიგაში აგვისტოს საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. “მეთოფეთა” კლუბში გოლების გატანა, ტრადიციულად, ვენგერის მეორე ფრანგის, ტიერი ანრის საქმეა, მაგრამ ახალ სეზონში ვილტორმა თანამემამულე ფორვარდის ბრწყინვალება ოდნავ დაჩრდილა. არსენ ვენგერი მიიჩნევს, რომ ვილტორი ამჟამად საუკეთესო ფორმაშია და თავისი საოცარი ოსტატობით მეტოქე გუნდის მცველებს სულ იოლად აუბნევს თავგზას.

˝შალკეს˝ პრობლემები

გელზენკირხენულ “შალკეს” ბუნდესლიგშიც და უეფას თასზეც თავისი ორი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე მოუწევს თამაში, რადგან იორგ ბიომემ და ემილ მპენზამ ტრავმა მიიღეს. გერმანელი ნახევარმცველი ვარჯიშზე დაშავდა. მას მუხლის მყესები დაუზიანდა და ოთხი კვირის განმავლობაში მოედანზე ველარ გავა. შავკანიანი ბელგიელი ემილ მპენზა კი შაბათს გამოვიდა წყობიდან, როცა ბელგიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს ატარებდა ბულგარელებთან. ბელგიელებმა შეხვედრა მოიგეს, მპენზა კი ტრავმირებული დაბრუნდა ბრიუსელში.

ისევ მოვიდა 11 სექტემბერი

შარშან, ამ დღეს, მთელი საფეხბურთო სამყარო ჩემპიონთა ლიგის სტარტისთვის ემზადებოდა და არავის აზრად არ მოსვლია, რომ იმ საღამოს ფეხბურთი მსოფლიოს ჩვეულ სიამოვნებას ველარ მიანიჭებდა. წლეულს ყველა ძრწოლვით იხსენებს იმ დღეს და თავს ხრის ტერაქტის მსხვერპლთა წინაშე. 11 სექტემბერს გერმანიაში პირველი ლიგის ხუთი და მეორე ლიგის ოთხი მატჩია დაგეგმილი, ინგლისში კი პრემიერლიგის რვა შეხვედრაა. ყველა მატჩის დაწყების წინ ფეხბურთელები და სტადიონებზე მისული საზოგადოება ფეხზე წამოდგება და წუთიერი დუმილით პატივს მიაგებს 2001 წლის 11 სექტემბრის მსხვერპლთა ხსოვნას.

˝ტოპი˝ ˝ასპირინებს˝ არ ღალატობს

ლევერკუზენის “ბაიერის” თმახუჭუჭა თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი კიდევ სამი წლის განმავლობაში იქნება “ასპირინების” ხელმძღვანელი. გუშინ ტოპმიოლერმა და “ბაიერის” პრეზიდენტმა რაინერ კალმუნდმა ოფიციალურად განაცხადეს კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე. დიდი ხნის განმავლობაში გერმანიაში ჭორი დადიოდა, რომ “ტოპი” მომავალი სეზონიდან საზღვარგარეთ გააგრძელებდა კარიერას, მაგრამ ტოპმიოლერმა ლევერკუზენიდან წასვლა არ ისურვა და თავისი მომავალი ისევ “ასპირინებს” დაუკავშირა.

მორენო პოლიტიკით დაინტერესდა

რომ არა იტალია-სამხრეთ კორეის სკანდალური მერვედფინალური მატჩი, რომელიც “სკუადრა აძურას” მუნდიალიდან გამოვარდნით დასრულდა, ეკვადორელი მსაჯი ბირონ მორენო, ალბათ, არასოდეს გახდებოდა მთელ მსოფლიოში ასე პოპულარული. არაობიექტური და არაკვალიფიციური არბიტრი იტალიაში ახლაც კარგად ახსოვთ და შემთხვევას არ უშვებენ, გულშემატკივრებს რაიმე საინტერესო ფაქტი არ გააცნონ მის შესახებ. ასე, მაგალითად, ცოტა ხნის წინ მორენოს, თურმე, კიდევ ერთხელ უსახელებია თავი. ეკვადორის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში ერთმანეთს ადგილობრივი “ბარსელონა” და “დეპორტივო” ხვდებოდნენ. მორენო, რა თქმა უნდა, მატჩის მთავარი გმირი იყო. მან ჯერ ორი პენალტი დანიშნა “ბარსელონას” კარში, შემდეგ კი ერთი ფეხბურთელი გააძევა, ბუნებრივია, სრულიად სამართლიანად. შეხვედრის ძირითადი დრო რომ ამოიწურა, მორენომ ექვსი წუთი დაამატა და ფეხბურთელები თორმეტი წუთი ათამაშა. ამასობაში, “დეპორტივომ”, რომელიც 2:3 აგებდა, ანგარიშის გათანაბრებაც მოასწრო და გამარჯვების გოლის გატანაც. მატჩის შემდეგ მორენო ძლივს გადაურჩა “ბარსელონას” განრისხებულ ფანებს და ეკვადორის ფეხბურთის ფედერაციას თხოვნით მიმართა, ცოტა ხნით შვებულება მომეცით, მინდა, ჩემი შესაძლებლობები პოლიტიკაშიც მოვსინჯოო. მორენო თუ პოლიტიკოსი გახდება, ფეხბურთი ჭეშმარიტად დიდ მსაჯს დაკარგავსო, ირონიულად შენიშნავენ ჩვენი იტალიელი კოლეგები.

˝მაკას˝ ˝ინტერში˝ არ უნდა

მოკლედ, ეს ინგლისელი “რეალმა” ვერაფრით ვერ მოიშორა. რას არ აკეთებს დელ ბოსკე, რომ სტივ მაკმანამანს გუნდიდან წასვლა აიძულოს: ხან საერთოდ ავიწყდება შემადგენლობაში მისი დასახელება, ხან სათადარიგოთა სკამზე დასვამს და, თვალებამოღამებულს, მთელი 90 წუთი ამაოდ ალოდინებს. “მაკას” კი მაინც არ სურს “სამეფო კლუბის” დატოვება. მადრიდელებიც ვერ აძალებენ, თუნდაც, იმიტომ, რომ ინგლისელი ნახევარმცველი ნამდვილი გაჭირვების ტალკვესია. როცა დელ ბოსკე მოწყალებას მოიღებს და მოედანზე უშვებს, “მაკას” ან გოლი გააქვს, ან საგოლე მომენტს ქმნის. მოდი და, ახლა გააგდე ასეთი ფეხბურთელი! რონალდო რომ იყიდა, “რეალს” ათი მილიონი ევრო კიდევ დარჩა გადასახდელი, რომლის გასტუმრებასაც მადრიდელები “ნატურით” გეგმავენ და მილანელებს სთავაზობენ, სოლარისა და მაკმანამანს შორის გააკეთონ არჩევანი, მაგრამ, როგორც ჩანს, “რეალს” მაინც ფულის გადახდა მოუწევს, რადგან “ინტერს” ახალი ფეხბურთელები არ სჭირდება, მაკმანამანი კი თავს იკლავს, მადრიდიდან არ წავალო.

ფოგტსი გადარჩა

ბევრი ფიქრობდა, რომ შოტლანდიის ნაკრების გერმანელ თავკაცს, ბერტი ფოგტსს, ფარერების კუნძულზე ნათამაშევი მძიმე მატჩის შემდეგ განკითხვის დღე ელოდა, მაგრამ, თავისდა საბედნიეროდ, გერმანელი ეგზეკუციას გადაურჩა.

კუნძულზე გამარჯვების იმედით ჩასულ შოტლანდიელებს ადგილობრივმა მუშურ-გლეხურმა საფეხბურთო კოლექტივმა ლამის ისტორიული სირცხვილი აჭამა. მასპინძლებმა, რომელთა უმრავლესობა მოყვარული ფეხბურთელი იყო, პროფესიონალ შოტლანდიელებს ორი გოლი გაუტანეს და ფოგტსის გუნდმა ძლივს შეძლო ერთი ქულის გადარჩენა. ამის მიუხედავად, შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა დევიდ ტეილორმა განაცხადა, რომ ფოგტსი თავისი ხასიათით კარგად შეესაბამება შოტლანდიურ მენტალიტეტს და გერმანელი სწორედ ისეთია, ნაკრებს რომ სჭირდება. ასე რომ, ფოგტსს კიდევ აქვს შოტლანდიაში დარჩენის შანსი.

გერმანელი ხულიგნები

პარასკევს და შაბათს ლიტვის პოლიცია თავგამოდებით ებრძოდა გერმანელ ხულიგნებს, რომლებიც ვილნიუსში ლიტვა-გერმანიის საკვალიფიკაციო მატჩის სანახავად ჩავიდნენ. გერმანელმა ფანებმა ჯერ ახალგაზრდული ნაკრებების თამაშზე გამოიჩინეს თავი. მიუხედავად იმისა, რომ გაიმარჯვეს (4:1), სტუმრები, რატომღაც, უკმაყოფილონი დარჩნენ და მოედანზე სხვადასხვა საგნების სროლა დაიწყეს, რის გამოც პოლიციამ 50-მდე გულშემატკივარი დააპატიმრა. უსიამოვნებები მეორე დღესაც გაგრძელდა. გერმანელი ფანების ერთმა ჯგუფმა ხმაური ატეხა ლიტვის ჰიმნის შესრულებისას და გამომწვევად ხმამაღლა იმღერა გერმანიის ჰიმნი, ხოლო როცა ლოჟაში გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი გამოჩნდა, ხულიგნები მას შეურაცხმყოფელი სიტყვებით შეხვდნენ. ამან მაიერ-ფორფელდერი ძალიან ააღელვა და თქვა, რომ ასეთი საქციელით გერმანული ფეხბურთის ღირსება ლაფში ისვრება. ინციდენტში გერმანიის ფეხბურთის ფედერაცია ადანაშაულებს ლიტველ კოლეგებსაც, რომელთაც იცოდნენ, რომ ვილნუსში გერმანელი ხულიგნები ჩადიოდნენ და არავითარი ზომები არ მიიღეს. პირიქით – სტადიონზე ალკოჰოლის გაყიდვაც კი ნებადართული იყო და ამის გამო ფანების უსაქციელობამ, მართლაც, ყოველგვარ საზღვრებს გაადაჭარბა.

რაგბი

ირლანდიურ-რუსული სამიზნე

ირლანდიელთა მწვრთნელი საქართველოს ნაკრებს რუსებზე მაღლა აყენებს

პაატა თოთაძე

დაახლოებით ერთი თვე დარჩა იმ გადამწყვეტ ბრძოლამდე, რომელსაც საქართველოსა და რუსეთის მორაგბეთა ნაკრებების დაპირისპირება ჰქვია და რომელმაც მსოფლიო თასის დასკვნით ეტაპზე გამსვლელი გუნდის ვინაობა უნდა გაარკვიოს. ამ მატჩისთვის გუნდები აქედანვე ემზადებიან. ერთმანეთთან დაპირისპირებამდე ქართველებსაც და რუსებსაც ირლანდიელებთან უწევთ თამაში და კელტებთან მატჩსაც, გადამწყვეტი ბრძოლის წინ, გენერალურ რეპეტიციად გამოიყენებენ.

საქართველოს ნაკრებზე ადრეც ვწერდით. გუნდი საფრანგეთშია და იქ ემზადება ამ ბრძოლებისთვის. რუსები და ირლანდიელები სამშობლოში ემზადებიან. ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, რუსეთში ჩემპიონატი გაზაფხულ-შემოდგომის პრინციპით ტარდება და ამიტომ ნაკრებსაც აქამდე არ ჰქონდა შეკრების საშუალება. გუშინდლიდან კი, ანუ მას შემდეგ, რაც რუსეთის ჩემპიონატი დასრულდა, გუნდი ათდღიან შეკრებაზე გაემგზავრა ჟელეზნოგორსკში. ნაკრები იქიდან 20 სექტემბერს დაბრუნდება, მეორე დღეს კი კრასნოიარსკში ირლანდიელებს შეხვდება. რა თქმა უნდა, მატჩის მიმართ ინტერესი დიდია, მაგრამ, რეალურად, რუსები არ არიან სტუმართა დამმარცხებლები და, როგორც აღვნიშნეთ, შეხვედრას ქართველებთან მატჩისთვის მოსამზადებლად გამოიყენებენ. ჯერჯერობით გარკვეული არ არის, თუ სად მოემზადებიან ამ მატჩისთვის რუსები. ვარიანტი სამია: ისევ ჟელეზნოგორსკი, ანტალია ან სამხრეთი აფრიკა. რა თქმა უნდა, აფრიკული ვარიანტი საუკეთესოა, თუმცა, მოლაპარაკებები იქაურ კლუბებთან ორი, ან თუნდაც, ერთი ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე წარუმატებლად მიმდინარეობს. მხოლოდ შეკრებისთვის კი ასეთ მანძილზე წასვლა სლავებს არ უღირთ. რუსთა სამხრეთაფრიკელი მწვრთნელის ჯეიმს შტოფბერგის თქმით, ყველაზე უარესი ჟელეზნოგორსკის ვარიანტია. ჯობს, ახლოს ვიყოთ იმ ადგილთან, სადაც გადამწყვეტი მატჩი გაიმართება, იქაურ კლიმატურ პირობებთან შეგუება რომ არ გაგვიჭირდესო. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, რუსებმა ანტალია აირჩიონ.

სანამ რუსები შეკრების ადგილს არჩევენ, ირლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ადრე შერჩეული 37 მორაგბიდან 11 შინ გააბრუნა და ახლა მხოლოდ 26-ს ავარჯიშებს. სწორედ მათგან შეირჩევა ის 22 მორაგბე, რომლებიც 21 სექტემბერს კრასნოიარსკში, 28 სექტემბერს კი დუბლინში ითამაშებენ რუსეთისა და საქართველოს ნაკრებების წინააღმდეგ. ეს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმემ რუსებთან მატჩში ტრავმა არ მიიღო ან მწვრთნელის უკმაყოფილება არ დაიმსახურა. მაშინ მათი შემცვლელი შეირჩევა იმ ოთხეულიდან, რომელიც 22 რჩეულს შორის ვერ მოხვდა. მართალია, ირლანდიელთა თავკაცი ედი ოსალივანი საბოლოო შემადგენლობას მომავალ ოთხშაბათს დაასახელებს, მაგრამ უკვე გადაწყვეტილია, რომ რუსების წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ ბრაიან ოდრისკოლი, გერი ლონგველი და რონან ოჰარა. ისინი რუმინეთთან მატჩში დაშავდნენ. კლებასთან ერთად ირლანდიელთა რიგებში მატებაცაა. ძმის სიკვდილის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა კაპიტანი ქით ვუდი. მასთან ერთად, რუსებთან მატჩისთვის ნაკრებს დაემატნენ მარკუს ჰორანი, ჯასტინ ბიშოპი და პედი უოლესი. სამივემ ახლახან მოიშუშა ტრავმა და მწვრთნელმაც უმალ ნაკრებში იხმო. ირლანდიელთა დამრიგებლის თქმით, მათთვის უმთავრესი საქართველოსთან მატჩი იქნება: “ვფიქრობ, საქართველო უფრო მაღალი კლასის გუნდია, ვიდრე რუსეთი და ამიტომაც მასთან უფრო საინტერესო და დაძაბული თამაში გველის. ამასთან, ქართველებს, ალბათ, არც ოთხი წლის წინანდელი 70:0 ექნებათ დავიწყებული, თუმცა, იმედი მაქვს, ეს მათ დამარცხებაში ხელს არ შეგვიშლის”.

ირლანდიელები მაიკლ გელვეი (მარცხნივ) და ქეით ვუდი, რუსებთან თამაშისთვის ემზადებიან

REUTERS

სკანდალი

ჩაი, ყავა და სექსი

რას ინებებთ - ყავას, ჩაის თუ ორალურ სექსს? ასე ეწოდება წიგნს, რომლის რამდენიმე ფრაგმენტი ამერიკულ ყოველკვირეულ “The National Enquuirer”-ში გამოქვეყნდა. წიგნის ავტორია 34 წლის ჯოან კროუფორდი, რომელიც ექვს წელიწადს სტიუარდესად მუშაობდა “ინსელ თაუნს ეირვეიზის” ბოინგ 747-ზე და ამ ხნის განმავლობაში ემსახურებოდა გამორჩეულ ამერიკელებს, მაიკლ ჯექსონით დაწყებული და ტონი მეოლათი დამთავრებული.

ყველაფერი “პან ამერიკანიდან” ჯოანას დათხოვნით დაიწყო. იმ პერიოდში ავიაკომპანიამ დიდი ფინანსური ზარალი განიცადა და ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, სამუშაო ადგილები შეემცირებინა. მაშინ ჯოანას ურჩიეს, მიემართა “ინსელ თაუნს ეირვეიზისთვის”, რომელიც საგანგებოდ VIP კლიენტებს ემსახურებოდა. სანამ მუშაობას დაიწყებდა, ჯოანამ ჩააბარა რამდენიმე ტესტი, რომელიც, ადვილი მისახვედრია, რა სახისაც იქნებოდა.

ძნელია ახსნა, რამ გადააწყვეტინა ჯოან კროუფორდს, მოეყოლა ყოველივე, რაც ავიაკომპანიაში მუშაობის ექვსი წლის განმავლობაში გადახდა, თუმცა, ფაქტია, რომ ეს გააკეთა და ლამის ყველა გამორჩეული ამერიკელის მტერი გახდა. “ჩვენ იძულებულნი ვიყავით, კლიენტის ყველა კაპრიზი დაგვეკმაყოფილებინა - ისინი ფულს ამისთვის გვიხდიდნენ. ანაზღაურება კი მართლაც დიდი იყო. თითოეული რეისის შემდეგ, თუ კარგად ვიმუშავებდი, დაახლოებით 6-7 ათასი დოლარი მრჩებოდა. იმის გამო, რომ კვირაში ექვსი-შვიდი რეისი გვიწევდა, იქ მუშაობის პერიოდში დიდი თანხა დამიგროვდა”, - აღიარებს კროუფორდი.

საბრძოლო ნათლობა სტიუარდესამ 1992 წელს ფილმი “ბაქსის” გადამღებ ჯგუფთან ფრენისას მიიღო, გამომცდელი კი სემ უორენ რიჩი იყო. შემდეგ იყვნენ ბრუს უილისი, შონ პენი, რობერტ დე ნირო, უიტნი ჰიუსტონი, ჯუდი ფოსტერი და უამრავი სხვა, თუმცა, ამ წიგნის მიმართ ჩვენს ინტერესს ეს ადამიანები არ განაპირობებენ. საქმე ის არის, რომ ჯოანა არაერთ გამორჩეულ სპორტსმენს მომსახურებია.

ყველაზე აუტანელი მათგან მაიკლ ჯორდანი ყოფილა. ის ყოველთვის სამ ქალს ითხოვდა, თანაც, სხვადასხვა ფერისას - თეთრს, შავს და ყვითელს. მაიკ ტაისონზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. მისი მომსახურება, თურმე, არც ერთ სტიუარდესას არ სურდა.

გასაკვირია, მაგრამ ყველაზე მეტ პრობლემას ჯოანს ქალები უქმნიდნენ. მოციგურავე ნენსი კერიგანი მაზოხისტი ბისექსუალი ყოფილა და ლესბოსური ურთიერთობის წინ ცემას ითხოვდა. ყველაზე მეტი ფული კი ჯოანმა 1992 წელს ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკის კალათბურთელთა ნაკრების გადაფრენისას გააკეთა. ფრენის ხანგრძლივობის გამო სტიუარდესას ბევრი მუშაობა მოუხდა, თუმცა, კმაყოფილებით იგონებს კალათბურთელთა კარგ მოპყრობას და ერთ დღეში გაკეთებულ 15 ათას დოლარს.

“მართალია, ბევრი მტერი გავიჩინე, მაგრამ ხალხს უნდა სცოდნოდა, რას წარმოადგენენ მათი კერპები. ვფიქრობ, ასეთი საქციელის გამო მომავალში ბევრი გამამართლებს”, - აღნიშნა წიგნის ავტორმა. მისივე თქმით, უიტნი ჰიუსტონს, რომელმაც უკვე უჩივლა სასამართლოში ავტორსა და გამომცემლებს, ბევრი სხვაც მიჰბაძავს, რადგან წიგნში უამრავი სხვა პიროვნების სახელიც ფიგურირებს. მოკლედ, ამერიკა ახალი სექსუალური სკანდალის პირასაა. მთავარი მოვლენები მომავალ კვირას, წიგნის გამოსვლის შემდეგ განვითარდება. ჯერჯერობით კი მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ კროუფორდის დასჯას ნენსი კერიგანი და მაიკლ ჯორდანიც ითხოვენ.

ჯეიმს ბონდი პროდიუსერის როლში



პირს ბროსნანი REUTERS

“ბონდიანას” სერიებმა პირს ბროსნანს კინოს სამყაროში კარი ფართოდ გაუღო –საკუთარ ნიჭს იგი მხოლოდ გადასაღებ მოედანზე კი არ ამჟღავნებს,არამედ უკვე წარმატებული პროდიუსერიც გახდა. მისი კერძო საპროდიუსერო კომპანია Irish DreamTime და საქვეყნოდ განთქმული ფილმი “თომას ქრაუნის თაღლითობანი” ამის საუკეთესო მაგალითია. ტორონტოს ფესტივალზე ორშაბათს ნაჩვენები “ეველინიც” (2002 წ.) ბროსნანის ორივე ტალანტს, მსახიობობას და პროდიუსერობას, აერთიანებს

ფილმში სახელგანთქმული ჯეიმს ბონდი ე.წ. “ისტორიული მამის” დესმონდ დოილის როლს ასრულებს. მის ცხოვრებას ირლანდიაში ყველა იცნობს. დოილი გახლავთ უმუშევარი მხატვარი, რომელსაც ცოლი მიატოვებს და იძულებული გახდება, ბავშვები მარტომ აღზარდოს. თუმცა, მალევე სასამართლო გადაწყვეტს, რომ დოილი შვილებს ტრადიციული ოჯახური მეთოდებით არ ზრდის და პატარებს ობოლთა თავშესაფრებში გაანაწილებს. ასე ამხედრდება შვილებწართმეული მამა, 50-იანი წლების დასაწყისში, კათოლიკური ეკლესიისა და მოძველებული კანონების წინააღმდეგ – იწყება გახმაურებული საქმე, რომელიც ირლანდიის უზენაეს სასამართლომდეც მიაღწევს...

ბროსნანის თქმით, საკუთარი კომპანია მას საშუალებას აძლევს ხარისხიან და ნაკლებ პრეტენზიულ პროექტებში მიიღოს მონაწილეობა. “ეველინი” სწორედ ასეთი ფილმია: “დოილის ისტორია ჩემთვის ძალიან ახლობელია, რადგან მე მამა ვარ და თანაც, ირლანდიელი. გარდა ამისა, სცენარმაც მომხიბლა. მასში სიმართლე დავინახე”, - განაცხადა მსახიობმა. ერთი სიტყვით, ბროსნანს პროდიუსერობა მოსწონს, მაგრამ მაინც ვერ ეგუება იმ ფაქტს, რომ თავად არის პასუხისმგებელი ფინანსურ საკითხებსა და გადაღებების განრიგზე. თუმცა, ბროსნანი გულს იმით იმშვიდებს, რომ, როგორც პროდიუსერს, საშუალება აქვს, ფილმის ხარისხიანობაზე მეტად იზრუნოს. “საშინლად მაბრაზებს ჰოლივუდის მესვეურთა პოლიტიკა,რომლებიც ფულის შოვნაზე არიან გადასულები და ფილმების ინტელექტუალური და სულიერი მხარე არაფრად მიაჩნიათ. მერე ჩვენი ბავშვები მიდიან და ამ ნაგავს უცქერენ”, - აცხადებს ის.

“ეველინში” პირს ბროსნანს პარტნიორობას უწევენ: ჯულიანია მარგულისი, სტეფან რი და აიდან ქუინი.

ცოლ-ქმარი ცხადში და კინოში

ფილმის Moonlight Mile-ის გადაღებამდე მსახიობებს სიუზენ სარანდონსა და დასტინ ჰოფმანს ერთად არ უთამაშიათ. თუმცა, ეს სურათი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ტორონტოს ფესტივალზე საზოგადოებას ისინი საუკეთესო მეგობრებად მოევლინონდნენ. პრესამ ისიც შენიშნა, რომ სარანდონი-ჰოფმანი ნამდვილი წყვილივით იქცეოდნენ (Moonlight Mile-შიც ცოლ-ქმარს განასახიერებენ).

“მსოფლიოში უამრავი ადამიანი არსებობს, ვისზე დაქორწინებაც შეიძლებოდა. ასე მგონია, რომ სწორედ ეს იდუმალება სუფევს ჩემსა და სიუზენს შორის. ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენ ოჯახი შეგვექმნა, რადგან ბევრი საერთო გვაქვს. თუმცა, ცოლ-ქმრულ ჩხუბში სიუზენს ვერასდროს ვაჯობებდი”, - განაცხადა დასტინ ჰოფმანმა ტორონტოში მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე.

სუზენ სარანდონი REUTERS



დასტინ ჰოფმანი REUTERS

“საოცარია, რომ ამ ფილმამდე ჩვენ ერთად არ გვიმუშავია. ამიერიდან კი, ვაპირებთ, მხოლოდ იმ ფილმებში მივიღოთ მონაწილეობა, რომლებშიც ერთად ვითამაშებთ. ამას დასტინი დამპირდა”, - აღნიშნა სარანდონმაც, - “არ ვიცი, როგორ გითხრათ – როცა ფილმი ვნახე, ჩემთვის გავიფიქრე: “ნუთუ, მართლა დაქორწინებულები ვიყავით? დასტინი ძალიან გულღიაა, სასაცილო, ნიჭიერი და სექსუალური. მასთან ერთად მართლაც ოჯახში ვგრძნობდი თავს”.

Moonlight Mile-ში სარანდონი და ჰოფმანი ცოლ-ქმრის, ჯოჯო და ბენ ფლოსების, როლებს ასრულებენ. იღუპება მათი ქალიშვილი და შვილმკვდარი მშობლების ნუგეშისცემას მათი სასიძო ცდილობს. თუმცა, მალე მას სხვა ქალი შეუყვარდება და აღარ იცის, კვლავაც გარდაცვლილი საცოლის მშობლებთან იცხოვროს, თუ საყვარელ ქალს მიხედოს...

სკანვორდი



კათოლიკური საეკლესიო გალობა
ზნეობა
იაპონელი მწერ., ნობელ-ის პრემიის ლაურეატი
ქართველი მევიოლინე ქალი
არაოფიციალური მისიით წარგზავნილი პირი
კუბელი მოკრივე, სამგზის ოლიმპ. ჩემპ
ფრანგული საავტომობილო კომპანია
ჩეხური ავტომობილების მარკა
სოფელი ხევსურეთში
მე-17 საუკუნის იტალიელი ფიზიკოსი და ასტრონომი
მინერალური ლურჯი საღებავი
სცენაზე წარმოსადგენი დრამატული ნაწარმოები
რაიმე ზემოქმედები საპასუხო მოქმედება
მიმღებ-გადამცემი მოწყ

N100-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი

ათოსი; ფიდელიო; შტანგა; ალავესი; შაპიტო; ადაპტაცია; ნონეშვილი; ეტლი; ორბი; რამიშვილი; ფიასკო; ატლანტი; გუდაური; ლოლიტა; დიქტატურა; ცეილონი; ციციკორე; ორნამენტი; ეროზია; დეგუსტაცია; დრამა; გრეიდერი; ცეხინი; დელფინი; რევერსი; გალატეა; ეპიგრამა; მოპასანი; გამა; მუტაცია; არღანი; ცეპელინი; სამოა; რეგლამენტი; მუსხელიშვილი; პროტესტანტი; ტრაკაი; ღამურა; ტალანტი; მასრა; სარასატე; ლანდაუ; ასტეროიდი.

TV პროგრამა 11 სექტემბერი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჟუნგლების წიგნი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ვის უნდა ოცი ათასი
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი “ოცნების კოშკები”
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 დრაკონთა მომთვინიერებელი
18.55 სერიალი “ტალღის ქიმზე”
19.50 სერიალი “ოცნების კოშკები”
22.00 “ხალხის პირისპირ”
22.50 კურიერი
00.20 მხ.ფილმი “13 დღე”

პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 “დრო და ფული”
10.00 მხ. ფილმი “დღის მატარებელი”
11.35 “ზოოპარკი”
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 სერიალი “რვაფეხა”
13.00 ნაშუადღევს
14.05 “ქართული ენის გაკვეთილი”
14.25 “ადამიანის უფლებები”
14.40 სერიალი “ძილის წინ”
15.15 მხ. ფილმი “სიცოცხლე, სქესობრივი გზით გადამდები უკურნებელი სენი”
17.05 50-50 17.40 დოკ. სერიალი “გემრიელად მიირთვით, ბავშვებო”
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 “ისტორიანი”
19.05 “ვიდეოპატრული”
19.20 ტელეთამაში “იმღერე რამე”
21.00 სერიალი “რვაფეხა”
22.00 “დრო და ფული”
22.15 “ამერიკა 11 სექტემბრის შემდეგ”
23.00 “დღის ბოლოს”
23.40 დოკ. ფილმი “რეისი ტ93”
00.40 მხ. ფილმი “შტორმის შემდეგ”

მეორე არხი

19.00, 22.00 “მოამბე” მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი “მხოლოდ შენთვის”
20.30 და არც მუსიკა
21.00 დოკ. ფილმი “საოცარი ისტორია”
21.30 წარსულის ისტორია
22.10 მხ. ფილმი “ჯაჭვი”

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 “ვესტი”
10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45, 22.30 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25 სალონი
15.15 ჩვენ ვასწავლით კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 საუბრები მწვანე ბუხართან. ს. ცინცაძის საავტორო გადაცემა
21.30 თინეიჯერი
23.30, 00.30 მხ.ფ. “განკიცხულნი”

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. “ნადირთა მბრძანებელი”
10.00, 13.00, 15.00, ახალი ამბები
10.20 ძველი კინო “ვითაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა”
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 საბავშვო სერიალი “ არაჩვეულებრივი არდადეგები”
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. “სახიფათო სიახლენი”
22.15 მხ.ფ. “პინერო”
00.30 ღამის ფილმი

პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 “მორწმუნის ძლევამოსილი ხმა”
08.00 მუსიკ-გასართობი პროგრამა “ტოროლა”
12.00 “მუსიკალური ათეულის” განმეორებით
13.45 მხ.ფილმი
17.00 “სწ.მედია” მხ.ფ. “მომიტანეთ მევის დევისის თავი”
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 მიქს-ათეული
21.45 “მოკლე სეანსი”
22.00 “ინფორმატორი”
22.30 “არასარეკლამო ათეული”
22.45 “პა-სეანსი”
23.00 მუსიკა
00.00 “ბრავო” მხ.ფ. “დოლარი მიცვალებულისათვის”.
01.50 “ღამურა” მხ.ფ. “ველური რამ”
03.20 ნონ-სტოპი

კავკასია

12.00 მხ.ფ. “სკარლეტი 2”
15.00 მხ.ფ. “მემკვიდრეობა”
17.00, 19.00, 20.30, 00.00 “დღეს”
17.15 მხ.ფ. “ინკოგნიტო”
19.20 სპექტრი
21.00 მხ.ფ. “ბოლერო”

მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 “დღის ამბები”
09.20 მულტფილმი “შეჰრაზადი” 46-ე სერია
09.45 საბავშვო სერიალი “ალ. მაკის სამყარო” 46-ე სერია
10.15 მხ. სერიალი “მოჯადოება”
11.15 დოკ. ფილმი “ბინ-ლადენი”
13.15 დოკ. ფილმი “ფრანგული ცირკი”
14.45, 20.00 “ევროპის სტადიონებზე”
15.15 დოკ. ფილმი “დეკუალეს პლანეტა”
16.15, 18.45, 22.00, 00.20 მუსიკა
10.30 მხ.სერიალი “დაშნის დედოფალი”
17.45 მულტფილმი “შეჰრაზადი” 47-ე სერია
18.15 საბ. სერიალი “ალ. მაკის სამყარო” 47-ე სერია
19.00 მხ. ფილმი “მოჯადოება”
20.20 დოკ.სერიალი “ჩემი ქვეყანა”
21.10 დოკ. ფილმი “დეკუალეს პლანეტა”
22.10 მხ.ფ. “სანპერელი ქურივი”. მთ.
00.40 მხ.ფ. “უცხო მიწა”.

აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია “საუკეთესო მეგობრის ქორწილი”
13.55 თრილერი “საიდუმლო აგენტი”
16.15 მულტფილმი “შესანიშნავი ბარტოკი”
17.20 დრამა “სიკვდილისწინა სურვილი”
19.20, 22.30, 00.30 “ნოვოსტი”
19.30 დოკუმენტური ფილმი
20.20 ქართული მხატვრული ფილმი
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება “დღეს”
22.50 “Пресс-папье”
23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.10, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.05 მხატვრული ფილმი “ვეფხვების ქვეყანა”
03.30 თრილერი “დაცემა”
05.00 დოკუმენტური ფილმი

VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მელოდია
09.25 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 “აჩიკუდა”
10.05 “სახლიდან გაუსვლელად” - აუდიო - ვიდეო - ტელე
10.35 მოკლედ... სპორტი
10.40 “ფაქტი, აზრი, კომენტარი” (განმეორებით)
10.50 “პაემანი” (განმეორებით)
11.40 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
11.45 “სახლიდან გაუსვლელად” - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
12.15 ანიმაცია
12.30 მუსიკალური ბიორითმი - ბრიტნი სპირსი
12.55 დოკ.ფ. “ბრძოლა წესების გარეშე”
13.20 დისნეი და მისი მეგობრები
13.40 “სახლიდან გაუსვლელად” - კომპიუტერული ტექნიკა
14.25 სპორტი
14.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 “სახლიდან გაუსვლელად” - აუდიო - ვიდეო - ტელე
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 “აჩიკუდა”
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 “სახლიდან გაუსვლელად” - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
20.10 “ფაქტი, აზრი, კომენტარი”
20.25 მუსიკალური ობიექტივი
20.50 “ლა-ლა-ლა”
21.25 “კინოკლუბი” - მხ.ფილმი “ტყუილები” - მე-2 სერია .
22.55 სპორტული პროგრამა - ევროპული ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი - “შტუტგარტი” - “შალკე”
00.45 მელოდია
01.00 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
01.10 “სახლიდან გაუსვლელად” - აუდიო - ვიდეო - ტელე
01.40 მუსიკალური ბიორითმი - ბრიტნი სპირსი
02.00 “სახლიდან გაუსვლელად” - კომპიუტერული ტექნიკა
02.35 პრესის მიმოხილვა

ОРТ

07.00 Телеканал "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15, 19.20 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ".
11.15 Сериал "ДОЧЬ МАГАРАДЖИ"
12.15 Программа "100%"
12.35 "ТВИНИСЫ"
13.15 "СТАРЫЙ ПОРТВЕЙН"
15.00, 20.50 фильм "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ - 2".
16.15 "Дикие штучки"
16.45 фильм "УБОЙНАЯ СИЛА"
17.50 "Большая стирка"
20.15 Смехопанорама Евгения Петросяна.
22.00 Время.
22.35 фильм "УБОЙНАЯ СИЛА"
23.40 "Американская трагедия: Наши. Год спустя".
00.35 "УБОЙНАЯ СЛУЖБА"
01.00 Ночное "Время"
01.30 "БЕЗ ПРЕДУПРЕЖДЕНИЯ" (США)
03.15 Шахматы. Россия- Сб. мира.

РТР

06.45 "Доброе утро, Россия".
09.45 Сериал "КАМЕНСКАЯ-2"
10.50 К годовщине теракта в Америке. Док.фильм "Легенда о двух башнях". 1-я ч.
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 ВЕСТИ.
12.20 Док.фильм "Легенда о двух башнях".
13.25 Ток-шоу "Цена успеха"
14.30 "Москва-Минск".
14.45 ВЕСТИ.- МОСКВА.
15.20 ВЕСТИ.- СПОРТ.
15.25 "Что хочет женщина".
16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ.ВОЗВРАЩЕНИЕ".
17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ".
18.20 ФУТБОЛ. ЦСКА - ДИНАМО (Москва).
20.00 Сериал "ВОРОВКА.СЧАСТЬЕ НАПРОКАТ".
20.50 Спокойной ночи, малыши.
21.35 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.-МОСКВА.
21.55 Сериал "КАМЕНСКАЯ-2"
23.05 К годовщине теракта в Америке. Фильм "Точка отсчета"
00.35 Док. фильм Роберта Де Ниро "11 сентября".

РТР

07.00 Утро на НТВ.
09.55 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2"
11.00, 12.00, 13.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00,
23.00 Сегодня.
11.20 Погода на завтра.
11.25 "Растительная жизнь" Л. Ярмольник.
12.05 Совершенно секретно.
13.05 Криминал
13.15 "БЕЗ ОБРАТНОГО АДРЕСА"
15.05 "Криминальная Россия"
15.35 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО"
16.40 Ток-шоу "Принцип "Домино".
18.05, 23.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
19.20 Чистосердечное признание
20.00 Сегодня с Т.Митковой
20.35 Сериал "КЛЮЧИ ОТ СМЕРТИ" 2-я с.
21.45 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ - 2"
00.40 "КЛЮЧИ ОТ СМЕРТИ"
01.45 ГОРДОН
02.40 До встречи!

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

გაზეთი 24 საათი

9 სექტემბრიდან

გაძლევთ საშუალებას გამოაქვეყნოთ უფასო განცხადებები ბინების, აგარაკების, მანქანების, ავეჯის ყიდვა-გაყიდვისა და მომსახურების შესახებ.

მოგვაწოდეთ ინფორმაცია ტელეფონით:
98 86 43 53 76 43 (9.00-22.00)

ტელ:
20-24-24

თქვენი
რეკლამა
ჩვენს
გაზეთში

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში